

სატენდერო დოკუმენტაცია  
დანადგარის და მასთან დაკავშირებული  
სამუშაოების შესყიდვისათვის

შესყიდვის დასახელება:

---

*ქ. თბილისში #55 საჯარო სკოლის, პირველი  
ექსპერიმენტული საჯარო სკოლისა და #200 საჯარო  
სკოლის ენერგო-ეფექტურობის გაუმჯობესება*

---

*დოკუმენტის ქართული ვერსია მხოლოდ ტენდერის მონაწილეთათვის დამხმარე  
დოკუმენტად არის შექმნილი (შეუსაბამობის არსებობის შემთხვევაში, უპირატესობა  
მიენიჭება ინგლისურ ვერსიას)*

გამოქვეყნებულია: 2019 წლის 8 ივლისი

ტენდერი No: NEFCO/DB-L-1-2019

დამკვეთი: საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი

ქვეყანა: საქართველო

# სატენდერო დოკუმენტი

## სარჩევი

<b>ნაწილი 1 – სატენდერო პროცედურები</b>	<b>Error!</b>
<b>Bookmark not defined.</b>	
I თავი ინსტრუქციები ტენდერის მონაწილეთათვის	<b>Error!</b>
<b>Bookmark not defined.</b>	
II თავი შეფასების და საკვალიფიკაციო კრიტერიუმები	20
III თავი სატენდერო ფორმები	21
IV თავი უფლებამოსილი ქვეყნები	33
<b>ნაწილი 2 – დამკვეთის მოთხოვნები</b>	<b>Error!</b>
<b>Bookmark not defined.</b>	
V თავი დამკვეთის მოთხოვნები	42
<b>ნაწილი 3 – კონტრაქტის ფორმები</b>	<b>43</b>
VI თავი კონტრაქტის ზოგადი პირობები	44
VII თავი კონტრაქტის კონკრეტული პირობები	66
VIII თავი კონტრაქტის ფორმები	74

# I თავი – ინსტრუქციები ტენდერში მონაწილეთათვის

## ა. ზოგადი

1. სატენდერო წინადადებების მოცულობა
  - 1.1. დამკვეთი, საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი (მგფ), გამოსცემს სატენდერო დოკუმენტაციას *ქ. თბილისში #55 საჯარო სკოლის, პირველი ექსპერიმენტული საჯარო სკოლისა და #200 საჯარო სკოლის ენერგო-ეფექტურობის გაუმჯობესების სამუშაოების შესყიდვისათვის*, როგორც ეს მითითებულია დამკვეთის მოთხოვნების V თავში.

მითითებული დანადგარისა და მასთან დაკავშირებული სამუშაოების შესყიდვა დაფინანსდება: ჩრდილოატლანტიკური ქვეყნების გარემოსდაცვითი ფინანსური კორპორაციის (შემდგომში NEFCO) და საქართველოს მთავრობის (შემდგომში სმ) სახსრებით.
  - 1.2. სხვაგვარი მითითებების არარსებობის შემთხვევაში, წინამდებარე სატენდერო დოკუმენტში არსებული განსაზღვრებები და ინტერპრეტაციები გაწერილია VI თავში მოცემულ კონტრაქტის ზოგად პირობებში.
2. დაფინანსების წყარო
  - 2.1 NEFCO-საგან სესხის მიმღებს, მგფ-ს განზრახული აქვს ამ სახსრების ნაწილი გამოიყენოს ნებადართული გადახდების განსახორციელებლად იმ კონტრაქტ(ებ)ის ფარგლებში, რომლისთვისაც გამოიცა წინამდებარე სატენდერო დოკუმენტაცია.
  - 2.2 NEFCO-ს მიერ გადახდები განხორციელდება მხოლოდ სესხის მიმღების მოთხოვნისა და NEFCO-ს მხრიდან თანხმობის საფუძველზე საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და NEFCO-ს შორის გაფორმებული დაფინანსების ხელშეკრულების პირობებისა და დებულებების შესაბამისად.
3. თაღლითობა და კორუფცია
  - 3.1 NEFCO-ს პოლიტიკა მოითხოვს, რომ სესხის ამღებებმა, ასევე კონკურსის მონაწილეებმა, მიმწოდებლებმა კონტრაქტორებმა, ქვე-კონტრაქტორებმა, კონსულტანტებმა და ქვე-კონსულტანტებმა NEFCO-ს მიერ ფინანსირებადი კონტრაქტების შესყიდვისა და განხორციელების დროს იხელმძღვანელონ ეთიკის უმაღლესი სტანდარტებით. ამ პოლიტიკის შესაბამისად NEFCO:
    - ა) წინამდებარე დებულების მიზნებისათვის შემდეგნაირად განსაზღვრავს ქვემოთ მოცემულ ტერმინებს:
      - (i) „კორუფცია“ ნიშნავს რაიმე ფასეული ნივთის შეთავაზებას, მიცემას, აღებას ან მოთხოვნას, რაც ზეგავლენას მოახდენს სხვა მხარის ქმედებაზე შესყიდვების პროცესში ან კონტრაქტის აღსრულებისას; და

(ii) „თაღლითობა“ ნიშნავს ფაქტების არასწორ ინტერპრეტაციას, რათა გავლენა მოახდინონ შესყიდვების პროცესზე ან კონტრაქტის შესრულებაზე სესხის ამღების საზიანოდ და მოიცავს მონაწილეთა შეთანხმებას (საკონკურსო წინადადებების წარდგენამდე ან წარდგენის შემდეგ), რომლის მიზანია საკონკურსო წინადადებების ხელოვნური და არაკონკურენტული ფასების დაწესება, რათა სესხის ამღებს არ მიეცეს თავისუფალი და ღია კონკურენციის უპირატესობებით სარგებლობის საშუალება.

(iii) “შეთქმულება” ნიშნავს გარკვეული სახის გეგმას ან შეთანხმებას ორ ან მეტ კონკურსის მონაწილეს შორის სესხის ამღების მალულად, ან მისი საქმის კურსში ყოფნით, რაც მიზნად ისახავს საკონკურსო ფასების ხელოვნურად, არაკონკურენტუნარიან დონეზე განსაზღვრას; და

(iv) “ზეწოლა” ნიშნავს გარკვეული ზიანის მიყენებას ან მუქარას, პირდაპირი ან არა-პირდაპირი გზით პირების ან მათი საკუთრების მიმართ, რათა მოხდეს გარკვეული გავლენის განხორციელება მათ მონაწილეობაზე შესყიდვების პროცესში ან კონტრაქტის განხორციელებაზე;

(v) “ქურდობა” ნიშნავს სხვა მხარის კუთვნილი ქონების უკანონოდ მითვისებას.

ბ) გააუქმებს კონტრაქტის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილებას, თუ დაადგენს, რომ კონტრაქტის მისანიჭებლად შერჩეული მონაწილე, მომწოდებელი, ქვე-მომწოდებელი, კონტრაქტორი, ქვე-კონტრაქტორი, კონსულტანტი ან ქვე-კონსულტანტი გარეული იყო კორუფციასა, ზეწოლასა და თაღლითობაში მოცემული კონტრაქტისათვის კონკურენციის პროცესში.

გ) გააუქმებს NEFCO-ს სესხის იმ ნაწილს, რომელიც გამოყოფილი იყო დანადგარის და მასთან დაკავშირებული სამუშაოების კონტრაქტის დასაფინანსებლად, თუ ნებისმიერ დროს დაასკვნის, რომ ამ კონტრაქტის შესყიდვის ან განხორციელების დროს სესხის ამღების ან ბენეფიციარის წარმომადგენლები გარეული იყვნენ კორუფციაში ან თაღლითობაში, ხოლო სესხის ამღებმა არ მიიღო ბანკისათვის დამაკმაყოფილებელი დროული და სათანადო ზომები სიტუაციის გამოსასწორებლად.

დ) განუსაზღვრელი ვადით ან გარკვეული დროით გამოაცხადებს ფირმას არაუფლებამოსილად, რომ მიენიჭოს NEFCO-ს მიერ დაფინანსებული კონტრაქტები, თუ ნებისმიერ დროს აღმოაჩენს, რომ ის გარეული იყო კორუფციასა და თაღლითობაში NEFCO-ს მიერ დაფინანსებული კონტრაქტის შესყიდვის ან განხორციელების დროს.

ე) უფლებამოსილია, რომ საბოლოო გადაწყვეტილებით ან სასამართლო პროცედურით, თავისივე ქვეყნის ქვეყნის ფარგლებში, ან სხვა საერთაშორისო ორგანიზაციის აღსრულების (ან ანალოგიური) მექანიზმის საფუძველზე, ორმხრივი

აღსრულების უწყებების ჩათვლით, სესხის მიმღების ან კომპანიის ბრალეულობის დამტკიცების შემთხვევაში:

(i) მთლიანად ან ნაწილობრივ გაუუქმოს ამგვარ სესხის მიმღებს NEFCO-ს სესხი;

(ii) განაცხადოს, რომ კონკრეტული ან განუსაზღვრელი პერიოდის განმავლობაში ამგვარი ფირმა უფლებამოსილი არ არის მიენიჭოს NEFCO-ს დაფინანსებული კონტრაქტი;

ვ) სარგებლობს უფლებით, მოითხოვოს, რომ NEFCO-ს სესხის სახსრებიდან დაფინანსებულ კონტრაქტებში შეტანილი იქნას მოთხოვნა მიმწოდებლების, კონტრაქტორების, ქვე-კონტრაქტორების, კონსულტანტებისა და ქვე-კონსულტანტების მიმართ, რომ მათ ნება დართონ ბანკს შეამოწმოს აღნიშნულ კონტრაქტთან დაკავშირებული მათი ანგარიშები და სააღრიცხვო დოკუმენტაცია და NEFCO-ს მიერ დანიშნულმა აუდიტორულმა ფირმამ ჩაატაროს აღნიშნული დოკუმენტაციის აუდიტი.

3.2. გარდა ამისა, ტენდერის მონაწილე უნდა იცავდეს VI და VII თავებში, კონტრაქტის ზოგად და კონკრეტულ პირობებში მითითებულ დებულებებს.

**4. უფლებამოსილი ტენდერის მონაწილეები**

4.1 წინამდებარე მოწვევა საკონსკურსო ვაჭრობაზე ღიაა ნებისმიერი ქვეყნის კონტრაქტორებისათვის

**5. ერთობლივი საწარმო ან ასოციაცია**

5.1 ერთობლივი საწარმოს შემთხვევაში, (ა) ერთობლივი საწარმოს ან ასოციაციის ყველა მხარე უნდა აკმაყოფილებდეს წინამდებარე სატენდერო დოკუმენტაციაში მითითებულ იურიდიულ, ფინანსურ, სამართლებრივ და სხვა მოთხოვნებს; (ბ) ყველა მხარე უნდა იყოს ერთობლივად და ცალ-ცალკე პასუხისმგებელი კონტრაქტის შესრულებაზე კონტრაქტის პირობების შესაბამისად. გ) ერთობლივი საწარმო ან ასოციაცია ირჩევს წარმომადგენელს, რომელსაც ენიჭება ყველა საქმიანი ურთიერთობის წარმოების უფლება, ერთობლივი საწარმოს ან ასოციაციის ყველა ან თითოეული წევრის სახელით, ტენდერის პროცესში და კონტრაქტის განხორციელების დროს (ერთობლივი საწარმოსათვის ან ასოციაციისათვის კონტრაქტის მინიჭების შემთხვევაში).

**ბ. სატენდერო წინადადების მომზადება**

**6. ტენდერში  
მონაწილეობის  
ხარჯები**

- 6.1 სატენდერო წინადადების მომზადებისა და წარდგენის ყველა ხარჯს გაიღებს ტენდერის მონაწილე და დამკვეთი არც ერთ შემთხვევაში არ არის პასუხისმგებელი ამ ხარჯებზე ტენდერის პროცესის ან მისი შედეგების მიუხედავად.
- 6.2 ტენდერის მონაწილე უფლებამოსილია გავიდეს ობიექტზე და დათვალიეროს იგი, იმისათვის რომ მოიპოვოს ყველა სახის ინფორმაცია, რომელიც შესაძლოა მისთვის საჭირო გახდეს სატენდერო წინადადების მოსამზადებლად და კონტრაქტის გასაფორმებლად. ობიექტზე გასვლის ხარჯი ტენდერის მონაწილის მიერ უნდა იქნას დაფარული. ტენდერის მონაწილემ, რომელსაც სურს ობიექტზე გასვლა, წინასწარ უნდა შეუთანხმოს ეს ვიზიტი დამკვეთს.

**7. სატენდერო  
წინადადების  
ენა**

- 7.1. სატენდერო წინადადება ინგლისურ ენაზე უნდა იყოს მომზადებული. დამხმარე დოკუმენტები, რომელიც ადგილობრივი ხელისუფლების მიერ ქართულ ენაზე არის გაცემული, შესაძლებელია არ ითარგმნოს ინგლისურად და ადგილობრივ ენაზე იქნას წარმოდგენილი.
- 7.2. ტენდერის მონაწილის დასახმარებლად სატენდერო დოკუმენტაციის მომზადებაში, დამკვეთმა ასევე უნდა გამოსცეს სატენდერო დოკუმენტის, ან მისი გარკვეული ნაწილების ქართული ვერსია. სატენდერო წინადადების ინტერპრეტაციისას უპირატესობა ინგლისური ვერსიის ფორმულირებას მიენიჭება.

**8. სატენდერო  
წინადადების  
შემადგენელი  
დოკუმენტები**

- 8.1. ტენდერის მონაწილე, რომელსაც რაიმეს სახის განმარტება ესაჭიროება სატენდერო დოკუმენტაციასთან დაკავშირებით, უფლებამოსილია წერილობითი სახით დაუკავშირდეს დამკვეთს და თავის წერილობითი თხოვნა ქვემოთმოყვანილ მისამართზე გააგზავნოს:

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი

საკონტაქტო პირი: გიორგი შენგელია, აღმასრულებელი დირექტორი

ელფოსტა: [procurement@mdf.org.ge](mailto:procurement@mdf.org.ge)

განმარტებების მოთხოვნა უნდა განხორციელდეს სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის გამოყენებით.

დამკვეთმა უნდა მიიღოს განმარტების შესახებ თხოვნა არა უგვიანეს: წინადადებების წარმოდგენის ბოლო თარიღამდე **14 დღით** ადრე, განმარტებებს დამკვეთი განათავსებს სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონულ სისტემაში. სატენდერო დოკუმენტაციის ნებისმიერ დამატებას/ცვლილებას დამკვეთი განათავსებს სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონულ სისტემაში.

- 8.2. ტენდერის მონაწილეს რეკომენდაცია ეძლევა, რომ მან

საჭიროებისამებრ განახორციელოს ობიექტზე გასვლა და მისი შესწავლა, რათა თავის პასუხისმგებლობით მოიპოვოს ყველა სახის ინფორმაცია, რომელიც შესაძლოა მას დასჭირდეს სატენდერო წინადადების მოსამზადებლად და კონტრაქტის გასაფორმებლად, დამკვეთის მოთხოვნების გათვალისწინებით.

8.3. სატენდერო წინადადება უნდა მოიცავდეს შემდეგ დოკუმენტებს:

(ა) სატენდერო განაცხადი სატენდერო ფორმების III თავში მოცემული ფორმის შესაბამისად;

(ბ) შევსებული უწყისები სატენდერო ფორმების III თავში მოცემული ფორმის შესაბამისად; სატენდერო წინადადების ხელმომწერის უფლებამოსილების წერილობითი დასტური;

(გ) ტენდერის მონაწილის მიერ შემოთავაზებული დანადგარისა და მასთან დაკავშირებული სამუშაოების შესყიდვის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტური მტკიცებულება;

(დ) ტენდერის მონაწილის მიერ კონტრაქტის შესასრულებლად საჭირო კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია შეფასებისა და საკვალიფიკაციო კრიტერიუმების II თავის მოთხოვნების შესაბამისად, და სატენდერო ფორმების III თავში უზრუნველყოფილი შესაბამისი ფორმების გამოყენებით;

(ე) დოკუმენტური მტკიცებულება, რომელიც ადასტურებს ტენდერის მონაწილის მიერ შემოთავაზებული დანადგარისა და მასთან დაკავშირებული სამუშაოების შესაბამისობას სატენდერო დოკუმენტაციასთან, სათანადო ფორმების გამოყენებით, რომელიც უზრუნველყოფლია სატენდერო ფორმების III თავში;

(ვ) ერთობლივი საწარმოს, კონსორციუმის ან ასოციაციის მიერ სატენდერო წინადადების წარმოდგენის შემთხვევაში, სატენდერო წინადადება უნდა მოიცავდეს ერთობლივი საწარმოს ხელშეკრულების ასლს, რომელიც ყველა წევრის მონაწილეობით არის გაფორმებული და რომელშიც სულ მცირე მოიცავს დამკვეთის მოთხოვნების ნაწილებს, რომელსაც შესაბამისი პარტნიორები განახორციელებენ;

(ზ) სამუშაოების კეთილსინდისიერად შესრულების ხელშეკრულება, სატენდერო ფორმების III თავში მოცემული ფორმით;

(თ) სატენდერო წინადადების საგარანტიო დეკლარაციის ფორმა, სატენდერო ფორმების III თავში მოცემული ფორმით.

8.4 ტენდერის პოტენციური მონაწილეების წარმომადგენლებმა

სასურველია მონახულონ ობიექტი ადგილზე.

ობიექტების მისამართებია:

- 55-ე საჯარო სკოლა, ი. ჭავჭავაძის გამზ., #38, თბილისი.
- სსიპ პირველი საჯარო ექსპერიმენტული სკოლა, საირმის ქ., #84, თბილისი.
- მე-200 საჯარო სკოლა, ქერჩის ქ., #22, თბილისი.

ტენდერის მონაწილემ, რომელსაც სურს ობიექტზე გასვლა, წინასწარ უნდა შეუთანხმოს ეს ვიზიტი დამკვეთს.

ობიექტების მონახულებასთან დაკავშირებული ყველანაირი ხარჯი ტენდერის მონაწილემ უნდა დაფაროს.

ობიექტის მონახულების მიზანს წარმოადგენს ტენდერის მონაწილის მიერ საპროექტო ობიექტის გაცნობა, მისი მასშტაბებისა და ხარჯების უკეთ აღსაქმელად და შესაფასებლად. ობიექტზე გასვლა ძალზედ მიზანშეწონილი და სასურველია ტენდერის მონაწილეთათვის ან მათი წარმომადგენლებისთვის, მაგრამ სავალდებულო არ არის.

- 8.5 ტენდერის მონაწილის მიერ განსაზღვრული წარმომადგენელი მოწვეული იქნება წინასატენდერო შეხვედრაზე, რომელიც ჩატარდება 2019 წლის **22 ივლისს, 15:00**, ქვემოთ მითითებულ მისამართზე:

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი  
საქართველო, თბილისი 0112, დავით აღმაშენებლის გამზირი #150  
მე-3 სართული, საკონფერენციო დარბაზი

კონფერენციის მიზანს წარმოადგენს გარკვეულ საკითხებთან დაკავშირებით განმარტებების და შეკითხვებზე პასუხების მიღება, რაც იმ ეტაპზე წამოჭრილ ნებისმიერ პრობლემას შეიძლება ეხებოდეს. სასურველია, მაგრამ სავალდებულო არ არის ყველა ტენდერის მონაწილის დასწრება.

- 8.6 წინასატენდერო შეხვედრის ოქმი, დასმულ შეკითხვებთან დაკავშირებული ტექსტის ჩათვლით, წყაროს მითითების გარეშე, და გაცემული პასუხები, ნებისმიერი იმ პასუხის ჩათვლით, რომელიც კონფერენციის შემდეგ მომზადდება, აიტვირთება ერთიან ელექტრონულ სისტემაში. წინამდებარე სატენდერო დოკუმენტში შესატანი ნებისმიერი ცვლილება, რომელიც შესაძლოა წინასატენდერო კონფერენციის შედეგად გახდეს საჭირო, დამკვეთის მიერ ექსკლუზიურად განხორციელდება ცვლილების გამოქვეყნების სახით და არა წინასატენდერო



შეხვედრის ოქმის მეშვეობით.

8.7 წინასატენდერო შეხვედრაზე დაუსწრებლობა ან ობიექტზე გაუსვლელობა არ წარმოადგენს ტენდერის მონაწილის დისკვალიფიკაციის საფუძველს და არ იქნება გათვალისწინებული ტენდერის განხილვისას.

9. ალტერნატიული სატენდერო წინადადება არ განიხილება

9.1. ალტერნატიული სატენდერო წინადადებები არ განიხილება

10. სატენდერო წინადადების ფასები და ფასდაკლება

10.1. ტენდერის მონაწილის მიერ სატენდერო განაცხადში და უწყისებში წარმოდგენილი ფასები ფიქსირებული უნდა იყოს.

10.2. წინამდებარე სატენდერო დოკუმენტაციაში მოცემული ნებისმიერი სხვა დებულების მიუხედავად, უცხოეთიდან მოსაწოდებელი დანადგარისათვის გადახდილი უნდა იყოს საბაჟო გადასახადი (DDP) და მისი მოწოდება უნდა განხორციელდეს პირდაპირ ობიექტზე, ინკოტერმს 2010, ხოლო საქართველოდან მოსაწოდებელი დანადგარი ობიექტზე იქნება მოწოდებული.

10.3. ტენდერის მონაწილე შეავსებს უწყისებში აღწერილი საპროექტო, დანადგარისა და მასთან დაკავშირებული სამუშაოების ყველა პუნქტის განაკვეთებსა და ფასებს. დამკვეთი არ აანაზღაურებს იმ სამუშაოებს, რომლებისთვისაც არ არის მითითებული ერთეული განაკვეთები და ფასები. მიჩნეული იქნება, რომ ეს ხარჯები დაიფარება სამუშაოთა მოცულობების უწყისში აღნიშნული სხვა პუნქტების განაკვეთებისა და ფასების ხარჯზე.

10.4. ტენდერის მონაწილე პროექტირების, დანადგარისა და სამუშაოების მთლიანი მოცულობების ფასის კოტირებას “ერთიანი პასუხისმგებლობის” საფუძველზე განახორციელებს, იმგვარად რომ სატენდერო წინადადების მთლიანი ფასი მოიცავდეს კონტრაქტორის ყველა ვალდებულებას, რომელიც გაწერილია, ან გონივრულად იგულისხმება სატენდერო დოკუმენტაციაში პროექტირებასა და დამზადებასთან, შესყიდვებთან, ქვე-კონტრაქტების გაფორმებასთან (საჭიროების შემთხვევაში), მოწოდებასთან, მშენებლობასთან, მონტაჟთან და სამუშაოების დასრულებასთან დაკავშირებით. ეს კი მოიცავს კონტრაქტორის მოვალეობების ფარგლებში სამუშაოების გამოცდის, გაშვება-გამართვის და ექაპლუატაციაში

ჩაბარების ყველა მოთხოვნას, და სატენდერო დოკუმენტაციაში ამგვარი მოთხოვნის არსებობის შემთხვევაში, ყველა ნებართვის, თანხმობის, ლიცენზიის და ა.შ. მოპოვებას; საექსპლუატაციო, ტექნომსახურებისა და ტრენინგის განხრით მომსახურებას და სხვა ამგვარ პუნქტებსა და მომსახურებებს, რომელიც შესაძლოა მითითებული იყოს სატენდერო დოკუმენტაციაში, კონტრაქტის ზოგადი პირობების მოთხოვნების შესაბამისად. ის პუნქტები, რომლებისთვისაც ტენდერის მონაწილეს ფასი არა აქვს მითითებული, შესრულებისას არ იქნება გადახდილი დამკვეთის მიერ და დაიფარება სხვა პუნქტების ფასების ხარჯზე.

10.5. ტენდერის მონაწილეებმა უნდა წარმოადგინონ იმგვარი და იმდენად დეტალური განფასება, როგორც ეს მოთხოვნილია სატენდერო ფორმების III თავში შეტანილ უწყისებში.

**11. სატენდერო წინადადების შემადგენელი დოკუმენტები**

11.1. ტენდერის მონაწილემ უნდა წარმოადგინოს სატენდერო წინადადება, რომელიც მოიცავს აღჭურვილობას, პერსონალს, გრაფიკს და ყველა სხვა ინფორმაციას III თავის (სატენდერო ფორმები) მოთხოვნათა შესაბამისად. აღნიშნული ინფორმაცია საკმარისად დეტალური უნდა იყოს, რომ წარმოაჩინოს ტენდერის მონაწილის წინადადების ადეკვატურობა სამუშაოების მოთხოვნებისა და დასრულების ვადის დასაკმაყოფილებლად.

**12. სატენდერო წინადადების გამოხმობა, ჩანაცვლება და მოდიფიცირება**

12.1 სატენდერო წინადადების წარდგენის შემდეგ, ტენდერის მონაწილეს შეუძლია ამ წინადადების გამოხმობა, ჩანაცვლება ან მოდიფიცირება სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის რეგულირების მიხედვით.

12.2 დაუშვებელია სატენდერო წინადადებების გამოხმობა, ჩანაცვლება ან მოდიფიცი-ცირება შუალედურ პერიოდში სატენდერო წინადადებების წარდგენის საბოლოო ვადასა და სატენდერო წინადადებების მოქმედების ვადის (რო-მელიც სატენდერო წინადადების წერილშია მითითებული) ან მისი გაგრძელების ვადის გასვლას შორის.

**13. დამხმარე სამუშაოები**

13.1 დამხმარე სამუშაოებს წარმოადგენს:

ობიექტზე განსახორციელებელი სამუშაოები, რაც მოიცავს სამონტაჟო ნახაზების მომზადებას, ობიექტის საწყის ინსპექტირებას, მონტაჟს, შესაცვლელი აღჭურვილობის ექსპლუატაციიდან მოხსნას, დამონტაჟებული აღჭურვილობის ექსპლუატაციაში გაშვებას, დანადგარის დამკვეთისათვის ჩაბარებას, და

სხვა სამუშაოებს რომელიც მოთხოვნილია დამკვეთის მოთხოვნებისა და უწყისების შესაბამისად.

დამხმარე სამუშაოები ასევე მოიცავს საბოლოო დანიშნულების ადგილზე ადგილობრივი ტრანსპორტირების ტარიფებს ან ფასებს, როგორც ეს მითითებულია სატენდერო დოკუმენტაციაში, ასევე სამუშაოების მოწოდებისათვის დამახასიათებელ დაზღვევასა და სხვა მომსახურებას, ყველანაირ შრომით რეურსს, კონტრაქტორის აღჭურვილობას, დროებით სამუშაოებს, მასალებს, ნედლეულს, ნებისმიერი სახის ნივთსა და საგანს, ექსპლუატაციის და ტექნომსახურების ჩათვლით, საექსპლუატაციო და ტექნომსახურების ინსტრუქციების უზრუნველყოფას, ტრენინგსა და ა.შ. რომელიც სატენდერო დოკუმენტაციაში საჭიროებისამებრ არის განსაზღვრული მონტაჟის და სხვა მომსახურების სათანადოდ განსახორციელებლად, გადასახადებსა და მოსაკრებლებს, რომლებიც გადასახდელია დამკვეთის ქვეყანაში, სატენდერო წინადადების წარმოდგენის ბოლო ვადამდე ოცდარვა (28) დღით ადრე პერიოდის მდგომარეობით.

14. სატენდერო წინადადების ვალუტა

14.1 ტენდერის მონაწილეების მიერ კოტირებული ფასები ლარში უნდა იყოს წარმოდგენილი

15. ტენდერის მონაწილის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები

15.1 ტენდერის მონაწილემ კონტრაქტის შესრულებისათვის საჭირო თავისი კვალიფიკაციის დასადასტურებლად უნდა წარმოადგინოს III თავში (სატენდერო ფორმები) მოთხოვნილი შესაბამისი ინფორმაცია.

15.2 სატენდერო წინადადების მიღების შემთხვევაში, ტენდერის მონაწილის მიერ კონტრაქტის შესასრულებლად საჭირო კვალიფიკაციის დოკუმენტური მტკიცებულება, დამკვეთის მოთხოვნების შესაბამისად ქვემოთმოყვანილს უნდა აკმაყოფილებდეს:

(ა) ტენდერის მონაწილეს უნდა გააჩნდეს დამაკმაყოფილებელი ფინანსური, ტექნიკური და წარმოების შესაძლებლობა და უნარი კონტრაქტის წარმატებით შესასრულებლად, ხოლო მისი საშუალო წლიური ბრუნვა ბოლო ხუთი წლის განმავლობაში უნდა იყოს სულ მცირე **4,640,000 ლარის** ოდენობით; წარმოდგენილი ბრუნვები დადასტურებული უნდა იყოს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის აუდიტორების/აუდიტორული ფირმების რეესტრში რეგისტრირებული აუდიტორის მიერ. ერთობლივი საწარმოს შემთხვევაში, აღნიშნულ ფინანსურ მოთხოვნას

100%-ით უნდა აკმაყოფილებდეს ერთობლივი საწარმოს სულ მცირე ერთი წევრი.;

(ბ) ტენდერის მონაწილეს ბოლო ხუთი წლის განმავლობაში წარმატებით უნდა ჰქონდეს შესრულებული მსგავსი სახის სამუშაოების და დანადგარების მიწოდების კონტრაქტები, რაც ქვემოთ არის მითითებული, რომლებიც დამაკმაყოფილებლად და არსებითად იქნა დასრულებული კონტრაქტორის, ქვეკონტრაქტორის, ერთობლივი საწარმოს წევრის ან მმართველი კონტრაქტორის როლში:

- (i) რეაბილიტაციის/რეკონსტრუქციის/მშენებლობის მინიმუმ ერთი კონტრაქტი, არანაკლებ **3,100,000 ლარის** ღირებულებით, რომელიც მოიცავდა ტექნიკური სისტემების მშენებლობას/რეკონსტრუქციას;

ან, რეაბილიტაციის/რეკონსტრუქციის/მშენებლობის მაქსიმუმ ხუთი კონტრაქტი, რომელთაგან სულ მცირე ერთი კონტრაქტის ღირებულებაა **1,550,000 ლარი**, მაგრამ ჯამურად წარმოდგენილი კონტრაქტების საერთო ღირებულება არანაკლებ **3,100,000 ლარია** და რომელიც მოიცავდა ტექნიკური სისტემების მშენებლობას/რეკონსტრუქციას;

- (ii) დეტალური დიზაინის მომზადების სულ მცირე ერთი კონტრაქტი, რომელიც მოიცავდა კონსტრუქციული დიზაინის მომზადებას და ტექნიკური სისტემების პროექტირებას, ან რეაბილიტაციის ერთი კონტრაქტი, რომელიც მოიცავდა აღნიშნულ საპროექტო მომსახურებას არანაკლებ **93,000 ლარის** ღირებულებით.

ან, დეტალური დიზაინის მომზადების ან რეაბილიტაციის მაქსიმუმ ხუთი კონტრაქტი, რომლებიც მოიცავდა კონსტრუქციული დიზაინის მომზადებას და, ტექნიკური სისტემების პროექტირებას და რომელთაგან, სულ მცირე ერთი კონტრაქტის ღირებულებაა არანაკლებ **46,500 ლარის** ღირებულების, მაგრამ ჯამურად წარმოდგენილი კონტრაქტების საერთო ღირებულება არანაკლებ **93,000 ლარია**;

ერთობლივი საწარმოს შემთხვევაში, აღნიშნულ ტექნიკურ მოთხოვნას ერთობლივი საწარმოს ყველა წევრი ერთობლივად უნდა აკმაყოფილებდნენ 100%-ით.

(გ) ტენდერის მონაწილე არ არის გაკოტრებული ან გაკოტრების პროცესში მყოფი ორგანიზაცია, ეროვნული კანონმდებლობის ან რეგულაციების საფუძველზე. ზემოთმოყვანილი ინფორმაცია უნდა დადასტურდეს

იურიდიული პირებისა და ინდივიდუალური მეწარმეების რეესტრიდან ამონაწერით, რომელშიც მითითებული იქნება, რომ ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად, ტენდერის მონაწილე არ წარმოადგენს გაკოტრებულ ორგანიზაციას და არ მიმდინარეობს მისი ლიკვიდაციის პროცედურები.

**16. დანადგარისა და მასთან დაკავშირებული სამუშაოების შესყიდვის უფლებამოსილების დამამტკიცებელი დოკუმენტაცია**

16.1. დანადგარისა და მასთან დაკავშირებული სამუშაოების შესყიდვის უფლებამოსილების დასადასტურებლად, ტენდერის მონაწილემ უნდა შეავსოს სატენდერო ფორმების III თავში შეტანილი ფორმები.

16.2. დანადგარისა და მასთან დაკავშირებული სამუშაოების შესატყვისობის დასადგენად, ტენდერის მონაწილემ უნდა წარმოადგინოს ქვემოთმოყვანილი დოკუმენტური მტკიცებულება:

(ა) დანადგარისა და მასთან დაკავშირებული სამუშაოების ძირითადი ტექნიკური და საექსპლუატაციო პარამეტრების დეტალური აღწერა;

(ბ) ქვემოთმოყვანილის დეტალური ნუსხა: დამკვეთის მიერ დანადგარის ექსპლუატაციის დაწყების შემდგომ 3-წლიანი პერიოდის განმავლობაში დანადგარის შეუფერხებელი და გამართული ფუნქციონირებისათვის საჭირო სათადარიგო ნაწილებისა და სპეციალური ხელსაწყოების ხელმისაწვდომი წყაროები და ფასები.

(გ) 'დამკვეთის მოთხოვნების' შესაბამისი დოკუმენტაცია, რომლითაც მოხდება დანადგარისა და მასთან დაკავშირებული სამუშაოების 'დამკვეთის მოთხოვნების' სპეციფიკაციებთან, ან გადახრების უწყისებთან და გამონაკლისებთან შესაბამისობის დემონსტრირება.

(დ) ტენდერის მონაწილეს ან მის წარმომადგენელს ძალუძთ საგარანტიო ვალდებულებების შესრულება.

(ე) იმ შემთხვევაში, თუ ტენდერის მონაწილე კონტრაქტის ფარგლებში გვთავაზობს იმგვარი დანადგარის მოწოდებას, რომელსაც იგი არ აწარმოებს ან სხვაგვარად არ ამზადებს, მტკიცებულება, რომ ტენდერის მონაწილე დანადგარის მწარმოებლის მიერ სათანადოდ უფელაბამოსილია მიაწოდოს დანადგარი დამკვეთის ქვეყანას.

დანადგარისა და მასთან დაკავშირებული სამუშაოების სატენდერო დოკუმენტაციასთან შესაბამისობის დოკუმენტური მტკიცებულება წარმოდგენილი უნდა იქნას საინფორმაციო ბეჭდური მასალის, ნახაზებისა და სხვა მონაცემების ფორმით.

**17. სატენდერო წინადადების**

17.1 სატენდერო წინადადება ძალაში რჩება დამკვეთის მიერ დადგენილი სატენდერო წინადადებების

მოქმედების  
ვადა

წარდგენის საბოლოო ვადის შემდეგ ოთხმოცდათი  
**(90) დღის** განმავლობაში. უფრო მოკლე მოქმედების  
ვადის მქონე სატენდერო წინადადებები  
უარყოფილი იქნება დამკვეთის მიერ, როგორც  
შეუსაბამო.

**18. სატენდერო  
წინადადების  
ფორმატი და  
ხელმოწერა**

18.1 სატენდერო წინადადება ხელმოწერილი უნდა იყოს  
ტენდერის მონაწილის სახელით სათანადოდ  
უფლებამოსილი პირის მიერ. ეს უფლებამოსილება  
დადასტურებული უნდა იყოს სატენდერო  
წინადადებაზე თანდართული წერილობითი  
დოკუმენტით. სატენდერო წინადადების ყველა  
გვერდზე დასმული უნდა იყოს სატენდერო  
წინადადებაზე ხელმოწერი პირის ინიციალები.

ერთობლივი საწარმოს მიერ წარმოდგენილი  
სატენდერო წინადადება ქვემოთმოყვანილ  
კრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილებდეს:

(ა) სატენდერო წინადადებაზე ხელი იმგვარად უნდა  
იყოს მოწერილი, რომ მას ყველა წევრისათვის  
სავალდებულო ძალა ჰქონდეს

(ბ) წარმოდგენილი უნდა იქნას ერთობლივი საწარმოს  
წარმომადგენლის ავტორიზაცია, რომელიც შეიცავს  
ერთობლივი საწარმოს სახელით ხელმოწერის  
იურიდიული უფლების მქონე პირების  
მინდობილობას.

(გ) ზემოთმოყვანილი მოთხოვნების გარდა,  
ერთობლივი საწარმოს ან სხვა ასოციაციის მიერ  
წარმოდგენილი სატენდერო წინადადება უნდა  
შეიცავდეს ერთობლივი საწარმოს/ასოციაციის შექმნის  
შესახებ ყველა წევრს შორის გაფორმებული  
ხელშეკრულების ასლს, ან ერთობლივი  
საწარმოს/ასოციაციის შექმნის განზრახვის წერილს,  
რომელიც ხელმოწერილი უნდა იყოს ყველა წევრის  
მიერ და წარმოდგენილი იქნას სატენდერო  
წინადადებასთან ერთად, შემოთავაზებული  
ხელშეკრულების ასლთან ერთად.

## გ. სატენდერო წინადადების წარდგენა და გახსნა

### 19. სატენდერო წინადადებები ს წარდგენა

19.1. ტენდერის მონაწილეებმა უნდა წარმოადგინონ სატენდერო წინადადებები ელექტრონულად სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის გამოყენებით.

19.2 მონაწილემ საკონკურსო წინადადების ფასი უნდა დააფიქსიროს ერთიანი ელექტრონული სისტემის შესაბამის ველში. წინააღმდეგ შემთხვევაში მისი წინადადება იქნება უარყოფილი.

19.3 ტენდერი ტარდება „ეროვნული საკონკურსო ვაჭრობის“ (National Competitive Bidding) პროცედურების შესაბამისად ჩრდილოატლანტიკური ქვეყნების გარემოსდაცვითი ფინანსური კორპორაციის (NEFCO) შესყიდვების სახელმძღვანელოს მიხედვით. აღნიშნულ შესყიდვაზე არ ვრცელდება სახელმწიფო შესყიდვის პროცედურები. სატენდერო წინადადებების წარდგენა და წინადადებების გახსნა ჩატარდება ელექტრონულად სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის გამოყენებით. ელექტრონულ სისტემაში შესყიდვის წინასწარი/სავარაუდო ღირებულება ღიაა, თუმცა ტენდერის მონაწილეებს შეუძლიათ წარმოადგინონ წინადადების ფასი, რომელიც შეიძლება იყოს სავარაუდო ღირებულების ტოლი ან დაბალი. ამასთან, სატენდერო წინადადების ფასის დადგენა არის ტენდერის მონაწილის პასუხისმგებლობა, რაც დაფუძნებული უნდა იყოს მიმდინარე საბაზრო ფასებზე და სხვა ფაქტორებზე, რომლებმაც შეიძლება გავლენა მოახდინონ წარმოდგენილი სამუშაოების განფასებაზე. იმ ტენდერში მონაწილის სატენდერო წინადადება, რომელიც შესყიდვის დასაშვებ ღირებულებაზე მაღალ ფასს დააფიქსირებს, შესაძლოა იქნას უარყოფილი.

### 20. სატენდერო წინადადებები ს წარდგენის ბოლო ვადა

20.1 ტენდერში მონაწილეებმა სატენდერო წინადადებები უნდა წარმოადგინონ ელექტრონულად არაუგვიანეს იმ თარიღისა და დროსა, რომელიც მითითებულია სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონულ სისტემაში.

20.2 დამკვეთი არ განიხილავს სატენდერო წინადადების მიღების ბოლო ვადის ამოწურვის შემდეგ ელექტრონულად ატვირთულ

სატენდერო წინადადებებს.

**21. სატენდერო წინადადებების გახსნა**

- 21.1. წინადადებების გახსნა ჩატარდება ელექტრონულად სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის გამოყენებით.
- 21.2. ტენდერის გახსნის ოქმი განთავსდება შესყიდვების ერთიანი ელექტრონულ სისტემაში.

**დ. სატენდერო წინადადებების შემოწმება**

**22. კონფიდენციალურობა**

- 22.1 სატენდერო წინადადებების შეფასების შესახებ ინფორმაცია არ უნდა ეცნობოს ტენდერის მონაწილეებს ან ნებისმიერ სხვა პირს, რომელიც ამ პროცესში ოფიციალურად არ არის ჩართული, იქამდე, სანამ კონტრაქტის მინიჭების შესახებ ინფორმაცია არ ეცნობება ტენდერის ყველა მონაწილეს.
- 22.2 ტენდერის მონაწილის ნებისმიერმა მცდელობამ გავლენა მოახდინოს დამკვეთის მიერ სატენდერო წინადადების შეფასებასა და კონტრაქტის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების მიღებაზე, შეიძლება გამოიწვიოს სატენდერო წინადადების უარყოფა.
- 22.3 სატენდერო წინადადებების გახსნიდან კონტრაქტის მინიჭებამდე პერიოდში, თუ ტენდერის მონაწილე მოინდომებს დამკვეთთან დაკავშირებას სატენდერო პროცესთან დაკავშირებულ რაიმე საკითხზე, მას ამის გაკეთება შეუძლია, მხოლოდ წერილობითი ფორმით.

**23. სატენდერო წინადადების განმარტება**

- 23.1 დაკვეთმა საკუთარი შეხედულებისამებრ შეიძლება მოსთხოვოს ტენდერის მონაწილეს სატენდერო წინადადების განმარტების წარმოდგენა სამი (3) დღის ვადაში. დამკვეთის მოთხოვნა განმარტების წარმოდგენის შესახებ და ტენდერის მონაწილის პასუხი წერილობით უნდა განხორციელდეს. აკრძალულია სატენდერო წინადადების ფასის ან შინაარსის ცვლილების მოთხოვნა, შეთავაზება ან დაშვება. გამონაკლისს წარმოადგენს მხოლოდ ის შემთხვევები, როდესაც საჭიროა დამკვეთის მიერ სატენდერო წინადადების შეფასების დროს აღმოჩენილი არითმეტიკული შეცდომების გასწორების დადასტურება.
- 23.2 თუ ტენდერის მონაწილე არ წარმოადგენს სატენდერო წინადადების განმარტებას იმ თარიღისა და დროისათვის, რომელსაც დამკვეთი მიუთითებს განმარტების შესახებ მოთხოვნაში, მისი სატენდერო წინადადება შეიძლება უარყოფილი იქნას.



## ე. სატენდერო წინადადებების შეფასება და შედარება

### 24. შეფასება და ართმეტიკ ული შეცდომები ს შესწორება

24.1 დამკვეთი გამოიყენებს მხოლოდ შეფასების და საკვალიფიკაციო კრიტერიუმების II თავში მითითებულ კრიტერიუმებსა და მეთოდოლოგიას. ნებადართული არ არის რაიმე სხვა შეფასების კრიტერიუმების ან მეთოდოლოგიის გამოყენება.

24.2 სატენდერო წინადადების შეფასება და შედარება და შემდგომი კონტრაქტის მინიჭების პროცედურა განხორციელდება სატენდერო წინადადების შეფასების სახელმძღვანელო პრინციპების შესაბამისად.

24.3 დამკვეთის მიერ სატენდერო წინადადების განხილვა უნდა ეფუძნებოდეს თვით სატენდერო წინადადების შინაარსს და უნდა მოიცავდეს შემდეგ პროცესებს, რომელიც დეტალურად არის აღწერილი შეფასების და საკვალიფიკაციო კრიტერიუმების II თავში.

(ა) **ადმინისტრაციული განხილვა** ტარდება იმის დასადგენად, თუ რამდენად სრულყოფილია სატენდერო წინადადება, ყველა მოთხოვნილი დოკუმენტისა და ფორმის ჩათვლით. შესაძლოა ტენდერის მონაწილეს მოეთხოვოს დამატებითი ინფორმაციის ან დოკუმენტაციის წარმოდგენა და/ან სატენდერო წინადადებაში აღმოჩენილი დოკუმენტაციის მოთხოვნებთან დაკავშირებული უმნიშვნელო შეუსაბამობების შესწორება. თუ ტენდერის მონაწილე ვერ შეძლებს მოთხოვნის დაკმაყოფილებას ამ მოთხოვნაში მითითებული ვადის განმავლობაში, ამას შეიძლება მოჰყვეს მისი სატენდერო წინადადების უარყოფა.

(ბ) **შესაბამისობის განსაზღვრა** ტარდება ტენდერის პირობებთან შესაბამისობის დასადგენად. ეს პროცესი გულისხმობს დეტალურ ტექნიკურ განხილვას. შესაძლებელია დამკვეთმა ტენდერის მონაწილეს მოსთხოვოს მისი სატენდერო წინადადების განმარტება. დამკვეთი უფლებას იტოვებს თავის შეხედულებისამებრ ყველაზე დაბალი ფასის მქონე სატენდერო წინადადებით დაიწყოს და თანმიმდევრულად ჩაატაროს შესაბამისობის განსაზღვრა. იმ შემთხვევაში, თუ სატენდერო წინადადება მოცემული სატენდერო დოკუმენტაციის არსებითად შესაბამისი არ არის, იგი უარყოფილი იქნება და ვერც შემდგომში გახდება შესაბამისი მასში არსებული მნიშვნელოვანი გადახრის შესწორების გზით.

(გ) **კვალიფიკაციის განხილვა** ტარდება იმის განსასაზღვრად აკმაყოფილებს თუ არა ტენდერის მონაწილე შეფასების და საკვალიფიკაციო კრიტერიუმების II თავში აღწერილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს და ტენდერის მონაწილისათვის განსაზღვრულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. ზემოხსენებულის განსაზღვრა მოხდება დოკუმენტური მტკიცებულების სახით

წარმოდგენილი ტენდერის მონაწილის საკვალიფიკაციო მონაცემების შემოწმების საფუძველზე, რაც მოიცავს წარსული გამოცდილების აღრიცხვას, რეკომენდაციების გაცნობას, და ნებისმიერი სხვა წყაროების მოხმობას, რომელსაც დამკვეთი თავის შეხედულებისამებრ ჩათვლის საჭიროდ. კვალიფიკაციის დადებითად შეფასება ტენდერის მონაწილისათვის კონტრაქტის მინიჭების წინაპირობას წარმოადგენს.

(დ) **ფასის შემოწმება** ხორციელდება იმისათვის, რომ ფასების ფორმები არითმეტიკულ შეცდომებზე, გამოტოვებებზე ან განმარტებებზე შემოწმდეს, და მოხდეს სატენდერო წინადადებების რანჟირება უმდაბლესიდან უმაღლესამდე. არითმეტიკული შეცდომების კორექტირების პროცედურები მოცემულია II თავში - შეფასების და საკვალიფიკაციო კრიტერიუმები. იმ შემთხვევაში თუ ტენდერის მონაწილე არ მიიღებს შეცდომების კორექტირებას, მისი სატენდერო წინადადება უარყოფილი იქნება.

(ე) **შემოწმების თანმიმდევრობა:** დამკვეთი უფლებას იტოვებს ნებისმიერი თანმიმდევრობით განახორციელოს შემოწმების პროცესი და არ განიხილოს უმაღლესი ფასის მქონე სატენდერო წინადადებები, იმ შემთხვევაში, თუ უმდაბლესი ფასის მქონე სატენდერო წინადადება უარყოფილი არ იქნება.

**25. მინიჭების კრიტერიუმები**

25.1. დამკვეთი მინიჭებს კონტრაქტს ტენდერის იმ მონაწილეს, რომლის წინადადებაც მიჩნეული იქნება ყველაზე დაბალი შეფასებული ფასის მქონე წინადადებად, რომელიც არსებითად შეესაბამება სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნებს იმ პირობით, რომ ტენდერის მონაწილე მიჩნეული იქნება საკმარისად კვალიფიციურად კონტრაქტის დამაკმაყოფილებლად შესრულებისათვის.

**26. კონტრაქტის მინიჭების შესახებ შეტყობინება და კონტრაქტის ხელმოწერა**

26.1. სატენდერო წინადადების მოქმედების ვადის გასვლამდე, დამკვეთმა „კონტრაქტის მინიჭების განზრახვის შესახებ შეტყობინება“ უნდა ატვირთოს ერთიან ელექტრონულ სისტემაში, მასში მითითებული უნდა იქნას, რომ დამკვეთი ოფიციალურ მიღების წერილსა და საკონტრაქტო ხელშეკრულების პროექტს გამოსცემს წარუმატებელი ტენდერის მონაწილეების მიერ პრეტენზიებისა და საჩივრების წარმოსადგენად გამოყოფილი ხუთ (5) დღიანი პერიოდის ამოწურვის შემდეგ. „კონტრაქტის მინიჭების განზრახვის შესახებ შეტყობინების“ მიწოდება არ წარმოადგენს კონტრაქტის გაფორმების ფაქტს დამკვეთსა და წარმატებულ ტენდერის მონაწილეს შორის და ზემოხსენებული შეტყობინების მიწოდების შედეგად არ მოხდება არანაირი იურიდიული ან სამართლებრივი უფლებების წარმოქმნა.

26.2. „კონტრაქტის მინიჭების განზრახვის შესახებ შეტყობინების“ გამოცემის შემდეგ, დამკვეთი მყისიერად, წერილობით გასცემს პასუხს ნებისმიერ წარუმატებელ ტენდერის მონაწილეს,

რომელიც ტენდერის შედეგებთან დაკავშირებული შეტყობინების მიღების შემდეგ წერილობით მოითხოვს დაწვრილებით ინფორმაციას.

26.3. პრეტენზიებისა და საჩივრების წარმოდგენის ხუთ (5) დღიანი პერიოდის ამოწურვის შემდეგ, დამკვეთი მიღების წერილს გაუგზავნის ტენდერის წარმატებულ მანაწილეს.

27. დამკვეთის უფლება მიიღოს ან უარყოს ნებისმიერი ან ყველა სატენდერო წინადადება

დამკვეთი უფლებას იტოვებს კონტრაქტის მინიჭებამდე ნებისმიერ დროს მიიღოს ან უარყოს ნებისმიერი სატენდერო წინადადება ან გააუქმოს სატენდერო პროცესი და უარყოს ყველა სატენდერო წინადადება, ტენდერის მონაწილეთათვის ვალდებულების დაკისრების გარეშე.

28. მოცულობების ცვლილება კონტრაქტის მინიჭების დროს

დამკვეთი უფლებას იტოვებს კონტრაქტის მინიჭებისას 20%-მდე გაზარდოს ან შეამციროს მოთხოვნების გრაფიკში მითითებული მოსაწოდებელი მომსახურების მოცულობა, საქონლის ან მომსახურების ერთეულის ფასებისა ან ტარიფების ან სხვა პირობებისა და ვადების ცვლილების გარეშე.

29. შედეგების განმარტება/საჩივრები

ტენდერის მონაწილე, რომელიც არ ეთანხმება ტენდერის შედეგებს, შეუძლია მიმართოს დამსაქმებელს. იმ შემთხვევაში, თუ ტენდერის მონაწილისთვის მიღებული ახსნა-განმარტება არაა დამაკმაყოფილებელია, მათ შეუძლიათ დამსაქმებელთან კორესპონდენცია გაუგზავნონ NEFCO-ს. ტენდერის მონაწილეებს, ასევე, შეუძლიათ პირდაპირ მიმართონ NEFCO-ს თუ დამსაქმებლის მიერ სატენდერო პროცედურების მართვა არაა დამაკმაყოფილებელია. ყველა კომუნიკაცია უნდა გაიგზავნოს NEFCO -ს აღმასრულებელ დირექტორთან.

უფრო დეტალური ინფორმაცია იხილეთ NEFCO-ს ვებ-გვერდზე: (<https://www.nefco.org/work-us/our-services/procurement>)

## II თავი. შეფასების და საკვალიფიკაციო კრიტერიუმები

### შეფასების კრიტერიუმები და მეთოდოლოგია

#### არითმეტიკული შეცდომების შესწორება

ა) თუ არსებობს შეუსაბამობა ერთეულ განფასებასა და ამ განფასების მოცულობაზე გამრავლების შედეგად მიღებულ მთლიან ფასს შორის, უპირატესობა ენიჭება ერთეულ განფასებას და მთლიანი ფასი შესწორებული უნდა იქნას.

ბ) თუ დაშვებულია შეცდომა ქვეჯამების შეკრება-გამოკლების შედეგად მიღებულ მთლიან ფასში, უპირატესობა ენიჭება ქვეჯამებს და მთლიანი ფასი უნდა გასწორდეს

გ) თუ არსებობს შეუსაბამობა თანხის რიცხობრივ და სიტყვიერ აღნიშვნას შორის, უპირატესობა ენიჭება სიტყვიერ აღნიშვნას. გამონაკლისს წარმოადგენს ის შემთხვევა, როდესაც სიტყვიერად აღნიშნული თანხა არითმეტიკულ შეცდომასთან არის დაკავშირებული და მაშინ უპირატესობა ენიჭება თანხის რიცხობრივ აღნიშვნას ზემოთ მოყვანილი ა) და ბ) ქვეპარაგრაფების შესაბამისად.

#### ერთიან ვალუტაში გადაყვანა (კონვერტირება)

შეფასების და შედარების მიზნებისათვის, სატენდერო განაცხადის ვალუტა(ები) ერთიან ვალუტაში - ლარში - უნდა იქნას გადაყვანილი. კონვერტირებისათვის გამოყენებული უნდა იქნას საქართველოს ეროვნული ბანკი ([www.nbg.gov.ge](http://www.nbg.gov.ge)). გადაცვლის კურსის თარიღად დაფიქსირებული უნდა იქნას სატენდერო წინადადების წარდგენის დღე.

#### საკვალიფიკაციო კრიტერიუმები

კონტრაქტის მინიჭებაზე საკვალიფიკაციოდ, ტენდერის მონაწილემ დამკვეთს უნდა დაუმტკიცოს, რომ იგი არსებითად აკმაყოფილებს უფლებამოსილებასთან, გამოცდილებასთან, აღჭურვილობასთან, ფინანსურ სტატუსთან და სასამართლო დავების ისტორიასთან დაკავშირებულ ქვემოთმოყვანილ მოთხოვნებს:

ა) ტენდერის მონაწილეს უნდა გააჩნდეს დამაკმაყოფილებელი ფინანსური, ტექნიკური და წარმოების შესაძლებლობა და უნარი კონტრაქტის წარმატებით შესასრულებლად, ხოლო მისი საშუალო წლიური ბრუნვა ბოლო ხუთი წლის განმავლობაში უნდა იყოს სულ მცირე **4,640,000 ლარის** ოდენობით; წარმოდგენილი ბრუნვები დადასტურებული უნდა იყოს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის აუდიტორების/აუდიტორული ფირმების რეესტრში რეგისტრირებული აუდიტორის მიერ. ერთობლივი საწარმოს შემთხვევაში, აღნიშნულ ფინანსურ მოთხოვნას 100%-ით უნდა აკმაყოფილებდეს ერთობლივი საწარმოს სულ მცირე ერთი წევრი.

ბ) ტენდერის მონაწილეს ბოლო ხუთი წლის განმავლობაში წარმატებით უნდა ჰქონდეს შესრულებული მსგავსი სახის სამუშაოების და

დანადგარების მიწოდების კონტრაქტები (ორი კომპონენტი), რაც ქვემოთ არის მითითებული, რომლებიც დამაკმაყოფილებლად და არსებითად იქნა დასრულებული კონტრაქტორის, ქვეკონტრაქტორის, ერთობლივი საწარმოს წევრის ან მმართველი კონტრაქტორის როლში:

- (i) რეაბილიტაციის/რეკონსტრუქციის/მშენებლობის მინიმუმ ერთი კონტრაქტი, არანაკლებ **3,100,000 ლარის** ღირებულებით, რომელიც მოიცავდა ტექნიკური სისტემების მშენებლობას/რეკონსტრუქციას;

ან, რეაბილიტაციის/რეკონსტრუქციის/მშენებლობის მაქსიმუმ ხუთი კონტრაქტი, რომელთაგან სულ მცირე ერთი კონტრაქტის ღირებულებაა **1,550,000 ლარი**, მაგრამ ჯამურად წარმოდგენილი კონტრაქტების საერთო ღირებულება არანაკლებ **3,100,000 ლარია** და რომელიც მოიცავდა ტექნიკური სისტემების მშენებლობას/რეკონსტრუქციას;

- (ii) დეტალური დიზაინის მომზადების სულ მცირე ერთი კონტრაქტი, რომელიც მოიცავდა კონსტრუქციული დიზაინის მომზადებას და ტექნიკური სისტემების პროექტირებას, ან რეაბილიტაციის ერთი კონტრაქტი, რომელიც მოიცავდა აღნიშნულ საპროექტო მომსახურებას არანაკლებ **93,000 ლარის** ღირებულებით.

ან, დეტალური დიზაინის მომზადების ან რეაბილიტაციის მაქსიმუმ ხუთი კონტრაქტი, რომლებიც მოიცავდა კონსტრუქციული დიზაინის მომზადებას და, ტექნიკური სისტემების პროექტირებას და რომელთაგან, სულ მცირე ერთი კონტრაქტის ღირებულებაა არანაკლებ **46,500 ლარის** ღირებულების, მაგრამ ჯამურად წარმოდგენილი კონტრაქტების საერთო ღირებულება არანაკლებ **93,000 ლარია**.

ერთობლივი საწარმოს შემთხვევაში, აღნიშნულ ტექნიკურ მოთხოვნას ერთობლივი საწარმოს ყველა წევრი ერთობლივად უნდა აკმაყოფილებდნენ 100%-ით.

(გ) ტენდერის მონაწილეს ან მის წარმომადგენელს ძალუძთ განახორციელონ საგარანტიო ვალდებულებები.

(დ) ტენდერის მონაწილე არ არის გაკოტრებული ან გაკოტრების პროცესში მყოფი ორგანიზაცია, ეროვნული კანონმდებლობის ან რეგულაციების საფუძველზე.

სპეციალიზებული სამუშაოებისათვის ნებადართულია ქვე-კონტრაქტორების დაქირავება. ქვე-კონტრაქტორების გამოცდილება დამატებით, 31(ბ) მოთხოვნასთან ერთად უნდა იქნას დასაბუთებული. ქვე-კონტრაქტორის წლიური შემოსავალი არ დაემატება ტენდერის მონაწილისას 31(ა)-სთან საკვალიფიკაციო შესაბამისობის დასამტკიცებლად.

### III თავი. სატენდერო ფორმები

#### ფორმა 1: სატენდერო განაცხადი

ტენდერის მონაწილემ სატენდერო განაცხადი უნდა მოათავსოს თავის ბლანკზე, რომელზეც გარკვევით იქნება მითითებული ტენდერის მონაწილის სრული სახელი და მისამართი

შენიშვნა: დახრილი შრიფტით მოცემული ტექსტი არის ამ ფორმის შევსების ინსტრუქციები, რაც საბოლოო ფორმაში უნდა წაიშალოს.

თარიღი: .....

(ვის):.....

ჩვენ, ქვემოთ ხელისმომწერი, ვაცხადებთ, რომ:

- (ა) ჩვენ შევისწავლეთ სატენდერო დოკუმენტაცია და არა გვაქვს რაიმე შენიშვნები მასთან დაკავშირებით, „ინსტრუქციები ტენდერში მონაწილეთათვის“ შესაბამისად გამოცემული ცვლილებებისა და დამატებების ჩათვლით;
- (ბ) ჩვენ გთავაზობთ სატენდერო დოკუმენტაციის შესაბამისად შემდეგი დანადგარისა და დამხმარე სამუშაოების განხორციელებას:.....
- (გ) ჩვენი სატენდერო წინადადების მთლიანი ფასი, იმ ფასდაკლების გამოკლებით, რომელიც შემოთავაზებულია ქვემოთმოყვანილ (დ) პუნქტში, შეადგენს:.....
- (დ) შემოთავაზებულია შემდეგი ფასდაკლებები და მათი გამოყენების მეთოდიკა:.....
- (ე) ჩვენი სატენდერო წინადადება ძალაშია [ჩასვით, „ინსტრუქციები ტენდერში მონაწილეთათვის“ მითითებული ხანგრძლივობა] განმავლობაში, სატენდერო წინადადებების წარდგენის საბოლოო ვადის გასვლის შემდეგ სატენდერო დოკუმენტაციის შესაბამისად და ეს წინადადება სავალდებულოა ჩვენთვის და შეიძლება მიღებული იქნას ნებისმიერ მომენტში მისი მოქმედების ვადის გასვლამდე;
- (ვ) თუ ჩვენი სატენდერო წინადადება მიღებული იქნა, ჩვენ ვიღებთ ვალდებულებას, წარმოვადგინოთ კონტრაქტის შესრულების გარანტია სატენდერო დოკუმენტაციის შესაბამისად;
- (ზ) ჩვენი ფირმა, მისი ფილიალები და შვილობილი კომპანიები, კონტრაქტის ნებისმიერი ნაწილის ყველა ქვეკონტრაქტორისა და მიმწოდებლის ჩათვლით, არ ვართ არაუფლებამოსილად გამოცხადებული ქვეყნების წარმომადგენლები.
- (თ) ჩვენ ვაკმაყოფილებთ უფლებამოსილების მოთხოვნებს და არა გვაქვს ინტერესთა კონფლიქტი;
- (ი) ჩვენ, ამ ტენდერის ფარგლებში არ მიგვიღია მონაწილეობა ერთზე მეტი სატენდერო წინადადების წარდგენაში, როგორც ტენდერის მონაწილეს ან ქვეკონტრაქტორს;
- (კ) ჩვენი ფირმა, მისი ფილიალები და შვილობილი კომპანიები, კონტრაქტის ნებისმიერი ნაწილის ყველა ქვეკონტრაქტორისა და მიმწოდებლის ჩათვლით,

არ ვიყავით უარყოფილნი ან არაუფლებამოსილად გამოცხადებულნი NEFCO-ს მიერ, დამკვეთის ქვეყნის კანონმდებლობის ან ოფიციალური რეგულაციების შესაბამისად ან გაეროს უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე;

(ლ) ჩვენ არა ვართ სახელმწიფო მფლობელობაში მყოფი საწარმო;

(მ) ჩვენ გვესმის, რომ კონტრაქტის მომზადებამდე და გაფორმებამდე წინამდებარე სატენდერო წინადადება და თქვენს მიერ გამოგზავნილი შეტყობინება კონტრაქტის მინიჭების შესახებ, ჩვენს შორის იურიდიულ ვალდებულებას წარმოადგენს; და

(ნ) ჩვენ გვესმის, რომ თქვენ არა ხართ ვალდებული მიიღოთ ყველაზე დაბალი შეფასებული ფასის მქონე სატენდერო წინადადება ან ნებისმიერი სხვა თქვენთვის წარმოდგენილი წინადადება;

ტენდერის მონაწილის სახელი -----

პირის სახელი, რომელიც სათანადოდ უფლებამოსილია ხელი მოაწეროს სატენდერო წინადადებას ტენდერის მონაწილის სახელით \_\_\_\_\_

სატენდერო წინადადების ხელმომწერი პირის თანამდებობა \_\_\_\_\_

ხელმოწერის თარიღი [ჩასვით თარიღი] დღე, თვე, წელი -----

# დანართი 1

## შეთანხმება კეთილსინდისიერების შესახებ დამკვეთს ტენდერის მონაწილისაგან, თანდართული უნდა იყოს მის სატენდერო წინადადებაზე

ვის \_\_\_\_\_ [დამკვეთის სახელწოდება]

ვისგან ----- [ტენდერის მონაწილის სახელწოდება]

“წინამდებარე შეთანხმებით ვაცხადებთ და ვაღიარებთ ვიღებთ რომ არც ჩვენ და არც არავინ, ჩვენი დირექტორების, თანამშრომლების, აგენტების, ერთობლივი საწარმოს პარტნიორების, ან ქვე-კონტრაქტორების („მხარეები“), მათი არსებობის შემთხვევაში, ჩათვლით, ჩვენი სახელით სათანადო უფლებამოსილებით ან ჩვენი თანხმობით, ან ხელშეწყობით მოქმედებისას, არ ვიყავით ჩართულები და არც ჩავერთვებით არანაირი სახის აკრძალულ პრაქტიკაში (როგორც ეს ქვევით არის განმარტებული) სატენდერო პროცესთან დაკავშირებით ან სამუშაოების შესრულებისა და საქონლისა და მომსახურების მოწოდებისას [მიუთითეთ კონტრაქტი ან მოწვევა სატენდერო წინადადების წარმოდგენაზე] (“კონტრაქტის”) ფარგლებში და ვკისრულობთ თქვენს ინფორმირებას იმ შემთხვევაში, თუ ამგვარი აკრძალული ქმედების შესახებ ინფორმაცია ჩვენს ორგანიზაციაში მომუშავე, წინამდებარე შეთანხმებასთან შესატყვისობაზე პასუხისმგებელი ნებისმიერი პირის ყურადღებას მიიპყრობს.

ჩვენ, სატენდერო პროცესის განმავლობაში და ტენდერში გამარჯვების შემთხვევაში კონტრაქტის მიმდინარეობისას დავნიშნავთ და ოფისში ვიყოლიებთ ოფიცერს, რომელზეც გექნებათ სრული და დაუყოვნებელი წვდომა და რომელსაც მინიჭებული ექნება მოვალეობა და საჭირო უფლებამოსილება უზრუნველყოს წინამდებარე შეთანხმებასთან შესატყვისობა.

იმ შემთხვევაში, თუ (i) ჩვენ, ჩვენი დირექტორების, თანამშრომლების, აგენტების, ერთობლივი საწარმოს პარტნიორების, ან ქვე-კონტრაქტორების, მათი არსებობის შემთხვევაში, ჩათვლით, ბრალდებულნი ვიყავით რომელიმე სასამართლოში რაიმე დარღვევაზე, რომელიც გულისხმობდა აკრძალულ ქმედებას ნებისმიერ სატენდერო პროცესთან ან სამუშაოების, საქონლისა და მომსახურების მოწოდებასთან დაკავშირებით წინამდებარე შეთანხმების თარიღამდე ხუთწლიანი პერიოდის განმავლობაში; ან (ii) ჩვენი დირექტორები, თანამშრომლები, აგენტები, ერთობლივი საწარმოს პარტნიორები, ან ქვე-კონტრაქტორები, მათი არსებობის შემთხვევაში, გათავისუფლებულები იყვნენ ან გადადგნენ დაკავებული თანამდებობიდან აკრძალულ ქმედებებში ჩართულობის გამო, ან (iii) ჩვენ, ჩვენი დირექტორების, თანამშრომლების, აგენტების, ერთობლივი საწარმოს პარტნიორების, ან ქვე-კონტრაქტორების, მათი არსებობის შემთხვევაში, ჩათვლით, NEFCO-ს ან ევროკავშირის დაწესებულებების და საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების მიერ არ ვიყავით დაშვებულნი სატენდერო პროცედურებზე აკრძალულ ქმედებებში ჩართულობის საფუძველზე, ჩვენ წარმოვადგენთ ხსენებული ბრალდების, თანამდებობიდან გათავისუფლების ან გადადგომის და ტენდერში მონაწილეობაზე დაუშვებლობის დეტალებს, იმ ზომების დეტალებთან ერთად, რომელიც გავატარებთ ან გავატარებთ იმის უზრუნველყოფისათვის, რომ ვერც ამ კომპანიამ, და ვერც მისმა დირექტორებმა, თანამშრომლებმა ან აგენტებმა ვერ ჩაიდინონ ვერანაირი აკრძალული ქმედებები კონტრაქტთან მიმართებაში [მიუთითეთ დეტალები, საჭიროებისამებრ].



ჩვენთვის კონტრაქტის მინიჭების შემთხვევაში, ჩვენ ვანიჭებთ უფლებას შემსყიდველს/კლიენტს/დამკვეთს/ NEFCO-ს, და ნებისმიერი მათგანის მიერ დაქირავებულ აუდიტორებს და ასევე ნებისმიერ დაწესებულებას ან ორგანოს, რომელსაც გააჩნია ეს უფლებამოსილება შესაბამისი სამართლის საფუძველზე, ჩაატაროს ჩვენი და კონტრაქტის ფარგლებში არსებული ჩვენი ყველა ქვე-კონტრაქტორის დოკუმენტაციის ინსპექტირება. ვალდებულებას ვიღებთ ვაწარმოოთ და შევინახოთ ეს დოკუმენტაცია შესაბამისი კანონმდებლობის თანახმად და ნებისმიერ შემთხვევაში მინიმუმ ექვსი წლის მანძილზე კონტრაქტის დასრულების თარიღიდან.”

წინამდებარე შეთანხმების მიზნებისათვის, აკრძალული ქმედება გულისხმობს,

- „**კორუფციული ქმედება**“ არის რაიმე ღირებულის შეთავაზება, მიცემა, მიღება ან მოთხოვნა, პირდაპირ ან ირიბად, რაც ზეგავლენას მოახდენს რომელიმე მხარის მოქმედებაზე;
- „**თაღლითური ქმედება**“ არის ნებისმიერი ქმედება ან უმოქმედობა, მათ შორის გაყალბება, რაც მხარეს შეგნებულად ან დაუდევრობით შეიყვანს შეცდომაში ან წარმოადგენს შეცდომაში შეყვანის მცდელობას ფინანსური ან სხვა სახის სარგებელის მიღების ან ვალდებულებათა შესრულებისაგან თავის არიდების მიზნით;
- „**იძულება**“ არის რომელიმე მხარის ან ამ მხარის საკუთრების დაზიანება ან გაფუჭება ან დაზიანების და გაფუჭების მუქარა პირდაპირ ან ირიბად, რომლის მიზანია მხარის ქმედებაზე არამართლზომიერი ზეგავლენის მოხდენა;
- „**წინასწარ განზრახული მოქმედება**“ არის შეთანხმება ორ ან მეტ მხარეს შორის, რომელიც გამიზნულია არამართლზომიერი შედეგის მისაღწევად, მათ შორის სხვა მხარის ქმედებაზე არამართლზომიერი ზემოქმედება;
- „**ობსტრუქციული ქმედება**“ არის (ა) წინასწარი შეცნობით გამოძიებისათვის მნიშვნელოვანი მტკიცებულებების განადგურება, გაყალბება, შეცვლა ან მიჩქმალვა ან გამოძიებისათვის არასწორი ინფორმაციის მიწოდება, რაც მიზნად ისახავს ბანკის მიერ კორუფციის, თაღლითობის, წინასწარ განზრახული მოქმედების ან იძულების ფაქტების გამოძიებისათვის ხელის შეშლას; ან/და რომელიმე მხარის მიმართ განხორციელებული მუქარა, დევნა ან შანტაჟი, რომელიც მიზნად ისახავს აღნიშნული მხარის მიერ გამოძიებასთან დაკავშირებული საქმის დეტალების შესახებ ინფორმაციის გამჟღავნებისა ან გამოძიებასთან თანამშრომლობისათვის ხელის შეშლას, ან (ბ) ქმედება, რომელიც მიზნად ისახავს NEFCO -ს მიერ ინსპექციისა და აუდიტის განხორციელებისათვის არსებითად ხელის შეშლას და ასევე ინფორმაციაზე წვდომის უფლების განხორციელების ხელის შეშლას, რომელიც მარეგულირებელ, ან მაკონტროლებელ ორგანოს გააჩნია შესაბამისი კანონის, რეგულაციის, შეთანხმების ან კონტრაქტის საფუძველზე.
- **ფულის გათეთრება** არის (i) ქონების გასხვისება ან გადაცემა, მისი უკანონო წარმომავლობის დაფარვის ან შენიღბვის ან მისი საქმიანობის სამართლებრივი შედეგების თავიდან ასაცილებლად, ნებისმიერი იმგვარი პიროვნების დახმარების მიზნით, რომელიც ჩართული იყო კრიმინალურ აქტივობაში, როდესაც ინფორმირებული ხარ რა, რომ ეს ქონება კრიმინალური ქმედების შედეგად ან მსგავს საქმიანობაში მონაწილეობით არის მოპოვებული; (ii) ქონებასთან ან მის ფლობასთან დაკავშირებული ჭეშმარიტი ხასიათის, წყაროს, ადგილმდებარეობის, განკარგვის, მოძრაობის, უფლებების დაფარვა ან შენიღბვა, ინფორმირებული ხარ რა, რომ ეს ქონება კრიმინალური ქმედების შედეგად ან მსგავს საქმიანობაში მონაწილეობით არის მოპოვებული; (iii) ქონების შესყიდვა, ფლობა ან გამოყენება, ინფორმირებული ხარ რა მისი მიღებისას რომ ეს ქონება კრიმინალური ქმედების შედეგად ან მსგავს საქმიანობაში მონაწილეობით არის მოპოვებული;

(iv) ზემოხსენებულ პუნქტებში მითითებულ რომელიმე საქმიანობაში მონაწილეობა, მასთან ასოცირება, მასთან დაკავშირებული ვალდებულების აღების მცდელობა, მხარდაჭერა, თანამონაწილეობა, წაქეზება;

- **ტერორიზმის დაფინანსება** არის ნებისმიერი გზით - პირდაპირ ან ირიბად, იმგვარი ფინანსური სახსრების უზრუნველყოფა ან შეგროვება, რომელიც ნაწილობრივ ან მთლიანად გამიზნულია ქვემოთმოყვანილ ტერორიზმთან ბრძოლის დოკუმენტში მითითებული დანაშაულებრივი ქმედებების განსახორციელებლად: ევროკავშირის საბჭოს ჩარჩო გადაწყვეტილება 2002/475/JHA, მუხლები 1-4, 2002 წლის 13 ივნისი;

თარიღი:

ხელმოწერა:

[სახელი, გვარი, თანამდებობა]

[ფირმის ან ერთობლივი საწარმოს დასახელება]

### ფორმა 3: უწყისი #1: საპროექტო მომსახურება

თარიღი: \_\_\_\_\_

ტენდერი: \_\_\_\_\_

ტენდერის მონაწილის სახელწოდება: \_\_\_\_\_

*იხილეთ ორიგინალი დოკუმენტი (ინგლისური ვერსია)*

შენიშვნა:

1. ფასები და ვალუტა უნდა შეესაბამებოდეს ინსტრუქციები ტენდერის მონაწილეთათვის პირობებს.
2. V თავში - დამკვეთის მოთხოვნები - განსაზღვრული ყველა პუნქტი შეტანილი და განფასებული უნდა იქნას სათანადო უწყისებში. ის პუნქტები, რომელთა ფასიც არ იქნა მითითებული, განფასებული პუნქტების ხარჯზე დაიფარება.
3. უწყისების მონაცემები შეყვანილი უნდა იქნას XLS ტიპის დოკუმენტებში (რომელიც სატენდერო დოკუმენტაციაში ცალკე ფაილად იქნება შეტანილი) და სატენდერო წინადადებასთან ერთად წარმოდგენილი იქნას როგორც ბეჭდური, ისე ციფრული ვერსიების სახით.

## ფორმა 4: უწყისი #2: დანადგარი, საქონელი და აღჭურვილობა

თარიღი: \_\_\_\_\_

ტენდერი: \_\_\_\_\_

ტენდერის მონაწილის სახელწოდება: \_\_\_\_\_

### *იხილეთ ორიგინალი დოკუმენტი (ინგლისური ვერსია)*

#### შენიშვნა:

1. ფასები და ვალუტა უნდა შეესაბამებოდეს ინსტრუქციები ტენდერის მონაწილეთათვის პირობებს.
2. V თავში - დამკვეთის მოთხოვნები - განსაზღვრული ყველა პუნქტი შეტანილი და განფასებული უნდა იქნას სათანადო უწყისებში. ის პუნქტები, რომელთა ფასიც არ იქნა მითითებული, განფასებული პუნქტების ხარჯზე დაიფარება.
3. უწყისების მონაცემები შეყვანილი უნდა იქნას XLS ტიპის დოკუმენტებში (რომელიც სატენდერო დოკუმენტაციაში ცალკე ფაილად იქნება შეტანილი) და სატენდერო წინადადებასთან ერთად წარმოდგენილი იქნას როგორც ბეჭდური, ისე ციფრული ვერსიების სახით.
4. \* მასალებისა და აღჭურვილობის მოცულობები წინასწარია და ექვემდებარება კორექტირებას პროექტირების სტადიაზე.

## ფორმა 5: უწყისი #3: დამხმარე სამუშაოები

*იხილეთ ორიგინალი დოკუმენტი (ინგლისური ვერსია)*

შენიშვნა:

1. ფასები და ვალუტა უნდა შეესაბამებოდეს ინსტრუქციები ტენდერის მონაწილეთათვის პირობებს.
2. V თავში - დამკვეთის მოთხოვნები - განსაზღვრული ყველა პუნქტი შეტანილი და განფასებული უნდა იქნას სათანადო უწყისებში. ის პუნქტები, რომელთა ფასიც არ იქნა მითითებული, განფასებული პუნქტების ხარჯზე დაიფარება.
3. უწყისების მონაცემები შეყვანილი უნდა იქნას XLS ტიპის დოკუმენტებში (რომელიც სატენდერო დოკუმენტაციაში ცალკე ფაილად იქნება შეტანილი) და სატენდერო წინადადებასთან ერთად წარმოდგენილი იქნას როგორც ბეჭდური, ისე ციფრული ვერსიების სახით.
4. \* სამუშაოების მოცულობები წინასწარია და ექვემდებარება კორექტირებას პროექტირების სტადიაზე.

## ფორმა 6: უწყისი #4: კრებსითი უწყისი

თარიღი: \_\_\_\_\_

სატენდერო წინადადება: \_\_\_\_\_

ტენდერის მონაწილის დასახელება: \_\_\_\_\_

*იხილეთ ორიგინალი დოკუმენტი (ინგლისური ვერსია)*

შენიშვნა:

1. ფასები და ვალუტა უნდა შეესაბამებოდეს ინსტრუქციები ტენდერის მონაწილეთათვის პირობებს.
2. V თავში - დამკვეთის მოთხოვნები - განსაზღვრული ყველა პუნქტი შეტანილი და განფასებული უნდა იქნას სათანადო უწყისებში. ის პუნქტები, რომელთა ფასიც არ იქნა მითითებული, განფასებული პუნქტების ხარჯზე დაიფარება.
3. უწყისების მონაცემები შეყვანილი უნდა იქნას XLS ტიპის დოკუმენტებში (რომელიც სატენდერო დოკუმენტაციაში ცალკე ფაილად იქნება შეტანილი) და სატენდერო წინადადებასთან ერთად წარმოდგენილი იქნას როგორც ბეჭდური, ისე ციფრული ვერსიების სახით.

ფორმა 7: სატენდერო წინადადების საგარანტიო დეკლარაცია

თარიღი

სატენდერო წინადადება №

ალტერნატიული წინადადების ნომერი \_\_\_\_\_

ვის . . . . . [ჩასვით დამკვეთის სრული დასახელება]

ჩვენ, ქვემოთ ხელისმომწერი, ვაცხადებთ, რომ:

ჩვენ გვესმის, რომ თქვენი პირობების შესაბამისად სატენდერო წინადადებებს უნდა ახლდეს საგარანტიო განცხადება.

თანახმა ვართ, რომ ჩამოგვერთვას NEFCO-ს მიერ მთლიანად ან ნაწილობრივ დაფინანსებული ნებისმიერი კონტრაქტისათვის გამართულ სატენდერო ვაჭრობაში მონაწილეობის უფლება ჩვენს მიერ სატენდერო პირობების დარღვევიდან სამი წლის განმავლობაში, თუ ჩვენ დავარღვევთ ჩვენს ვალდებულებებს სატენდერო წინადადებასთან დაკავშირებით შემდეგი მიზეზების გამო:

(ა) გამოვიხმობთ ჩვენს სატენდერო წინადადება მისი მოქმედების ვადის პერიოდში, რომელიც მივუთითეთ სატენდერო წინადადების ფორმაში;

(ბ) მას შემდეგ, რაც დამკვეთმა შეგვატყობინა სატენდერო წინადადებების მიღების შესახებ, სატენდერო წინადადების მოქმედის პერიოდში (ი) ვერ შევძელით ან უარი ვთქვით საკონტრაქტო ხელშეკრულების განხორციელებაზე ან (იი) ვერ შევძელით ან უარი ვთქვით კონტრაქტის განხორციელების გარანტიის წარდგენაზე "ინსტრუქციები ტენდერში მონაწილეთათვის" შესაბამისად.

ჩვენ გვესმის, რომ სატენდერო წინადადების საგარანტიო განცხადების ვადა იწურება (ი) როდესაც მივიღებთ თქვენგან; გამარჯვებული ტენდერის მონაწილის შესახებ შეტყობინებას ან (იი) სატენდერო წინადადების მოქმედების ვადის გასვლიდან ოცდარვა დღის განმავლობაში.

ტენდერის მონაწილის სახელწოდება\*: \_\_\_\_\_

ტენდერის მონაწილის სახელით სატენდერო წინადადების ხელმოწერაზე სათანადოდ უფლებამოსილი პირის სახელი და გვარი \*\* \_\_\_\_\_

სატენდერო წინადადების ხელმომწერი პირის თანამდებობა \_\_\_\_\_

ზემოხსენებული პირის ხელმოწერა \_\_\_\_\_

\* ერთობლივი საწარმოს მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადების შემთხვევაში, მიუთითეთ ერთობლივი საწარმოს როგორც ტენდერის მონაწილის სახელწოდება

\*\* სატენდერო წინადადების ხელმომწერ პირს უნდა ჰქონდეს ტენდერის მონაწილის მიერ მინიჭებული მინდობილობა, რომელიც თანდართული უნდა იყოს სატენდერო წინადადებაზე

**- შენიშვნა -**

თუ სატენდერო წინადადება ერთობლივმა საწარმომ წარმოადგინა, სატენდერო წინადადების საგარანტიო განცხადება უნდა გაკეთდეს ერთობლივი საწარმოს ყველა პარტნიორის სახელი.

## ფორმა 8: მწარმოებლის ნებართვა

**ტენდერის მონაწილის შენიშვნა:** ტენდერის მონაწილემ მწარმოებელს უნდა მოსთხოვოს ამ ფორმის შევსება, ქვემოთ მითითებული ინსტრუქციების შესაბამისად. წინამდებარე ნებართვის წერილი ხელმოწერილი უნდა იქნას მწარმოებლის მავალდებულებელი დოკუმენტების ხელმოწერის სათანადო უფლებამოსილების მქონე პირის მიერ. ტენდერის მონაწილემ ეს წერილი თავის სატენდერო წინადადებაში იმ შემთხვევაში უნდა შეიტანოს, თუ ამგვარი მოთხოვნა „ინსტრუქციები ტენდერში მონაწილეთათვის“ არის მითითებული. ოთხკუთხა ფრჩხილებში [ ] მოცემული ტექსტი, მხოლოდ ამ ფორმის მოსამზადებლად უნდა იქნას გამოყენებული და ამოღებული უნდა იქნას საბოლოო დოკუმენტიდან.

თარიღი: [ჩასვით სატენდერო წინადადების წარმოადგენის თარიღი (დღე, თვე, წელი)]

სატენდერო წინადადების No.: [ჩასვით სატენდერო პროცესის ნომერი]

ვის: [ჩასვით შემსყიდველის სრული სახელწოდება]

ვინაიდან,

ჩვენ [ჩასვით მწარმოებლის სრული სახელწოდება], რომლებიც წარმოვადგენთ [ჩასვით წარმოებული დანადგარებისა და აღჭურვილობის ტიპი] ოფიციალურ მწარმოებლებს, და საკუთრებაში გვაქვს შემდეგ მისამართზე არსებული ქარხნები [ჩასვით მწარმოებლის ქარხნების სრული მისამართი], ქვემოთმოყვანილით ნებართვას ვაძლევთ [ჩასვით ტენდერის მონაწილის სრული სახელწოდება] წარადგინოს სატენდერო წინადადება, რომლის დანიშნულებასაც წარმოადგენს ჩვენს მიერ წარმოებული შემდეგი დანადგარებისა და აღჭურვილობის უზრუნველყოფა [ჩასვით დანადგარებისა და აღჭურვილობის დასახელება და მოკლე აღწერა], და შემდგომ აწარმოოს კონტრაქტთან დაკავშირებული მოლაპარაკებები და ხელი მოაწეროს მას.

ზოგადი პირობების შესაბამისად, წინამდებარე დოკუმენტით ვიძლევთ სრულ გარანტიას და ვკისრულობთ საგარანტიო ვალდებულებას ზემოხსენებული ფირმის მიერ შეთავაზებულ დანადგარებთან და აღჭურვილობასთან დაკავშირებით.

ხელმოწერა: [ჩასვით მწარმოებლის უფლებამოსილი წარმომადგენლის(ების) ხელმოწერა(ები)]

სახელი, გვარი: [ჩასვით მწარმოებლის უფლებამოსილი წარმომადგენლის(ების) სრული სახელი]

თანამდებობა: [ჩასვით თანამდებობა]

სათანადოდ უფლებამოსილია წინამდებარე ნებართვის ხელმოწერაზე [ჩასვით მწარმოებლის სრული დასახელება] სახელით

დათარიღებულია \_\_\_\_\_თარიღი \_\_\_\_\_, \_\_\_\_\_ [ჩასვით ხელმოწერის თარიღი]



## IV თავი. უფლებამოსილი ქვეყნები

NEFCO უფლებას ანიჭებს ყველა ქვეყნის კომპანიასა და ინდივიდს, რომ წარმოადგინოს დანადგარების, საქონლის, აღჭურვილობის და დამხმარე სამუშაოების შემოთავაზება, NEFCO-ს მიერ დაფინანსებული პროექტებისათვის.

საერთაშორისო სამართლის თანახმად, აკრძალულია NEFCO-ს სესხის თანხის, სააქციო ინვესტიციების ან გარანტიების გამოყენება იმ პირებისა თუ ორგანიზაციებისათვის გადასახდელად, ან დანადგარებისა და აღჭურვილობის იმპორტისათვის, რომელთათვის გადახდაც ან რომელთა იმპორტიც შესაბამისად აკრძალულია გაეროს დებულების 7-ე თავის თანახმად, გაეროს უსაფრთხოების საბჭოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებასთან შესაბამისობის ნემისმიერი აქტით. ამ აკრძალვას დაქვემდებარებული პირები ან ორგანიზაციები, ან მომწოდებლები, რომლებიც დანადგარებს, აღჭურვილობას და მომსახურებას უზრუნველყოფენ, არ არიან უფლებამოსილი მიენიჭოთ NEFCO-ს მიერ დაფინანსებული კონტრაქტი.

# ტენდერის მონაწილის კვალიფიკაცია

კონტრაქტის შესასრულებლად მოთხოვნილი კვალიფიკაციის დასადასტურებლად II თავის თანახმად (შეფასების და საკვალიფიკაციო კრიტერიუმები) ტენდერის მონაწილემ უნდა წარმოადგინოს ქვემოთმოყვანილ საინფორმაციო ფორმებში მითითებული ინფორმაცია.

## უფლებამოსილება

### ფორმა ELI – 1.1

#### ინფორმაცია ტენდერის მონაწილის შესახებ

თარიღი: -----  
სატენდერო წინადადების ნომერი: -----  
გვერდის ნომერი: ----- დან

1. ტენდერის მონაწილის იურიდიული დასახელება
2. ერთობლივი საწარმოს შემთხვევაში, თითოეული პარტნიორის იურიდიული სახელწოდება
3. ტენდერის მონაწილის ფაქტიური ან განსაზღვრული, გაფორმების ან რეგისტრაციის ქვეყანა
4. ტენდერის მონაწილის დაფუძნების, გაფორმების ან რეგისტრაციის წელი
5. ტენდერის მონაწილის იურიდიული მისამართი მისი დაფუძნების, გაფორმების ან რეგისტრაციის ქვეყანაში
6. ტენდერის მონაწილის უფლებამოსილი წარმომადგენელი სახელი: მისამართი: ტელეფონის / ფაქსის ნომრები: ელ-ფოსტის მისამართი:
7. თან ერთვის შემდეგი დოკუმენტების ორიგინალები: <input type="checkbox"/> ზემოაღნიშნულ მუხლში 1 მითითებული იურიდიული პირის დაფუძნების, გაფორმების ან რეგისტრაციის მოწმობა.

## ფორმა ELI 1.2

### ინფორმაცია ერთობლივი საწარმოს პარტნიორის/ქვეკონტრაქტორის შესახებ

თარიღი: -----

სატენდერო წინადადების ნომერი: -----

გვერდის ნომერი: ----- დან

1. ტენდერის მონაწილის იურიდიული დასახელება
2. ერთობლივი საწარმოს შემთხვევაში, თითოეული პარტნიორის იურიდიული სახელწოდება
3. ერთობლივი საწარმოს პარტნიორის ან ქვეკონტრაქტორის დაფუძნების, გაფორმების ან რეგისტრაციის ქვეყანა
4. ერთობლივი საწარმოს პარტნიორის ან ქვეკონტრაქტორის ერთობლივი საწარმოს წევრად გაფორმების წელი
5. ერთობლივი საწარმოს ან ქვეკონტრაქტორის იურიდიული მისამართი დაფუძნების, გაფორმების ან რეგისტრაციის ქვეყანაში
6. ინფორმაცია ერთობლივი საწარმოს ან ქვეკონტრაქტორის უფლებამოსილი წარმომადგენლის შესახებ სახელი: მისამართი: ტელეფონის / ფაქსის ნომრები: ელ-ფოსტის მისამართი:
7. თან ერთვის შემდეგი დოკუმენტების ორიგინალები: <input type="checkbox"/> ზემოაღნიშნულ მუხლში 1 მითითებული იურიდიული პირის დაფუძნების, გაფორმების ან რეგისტრაციის მოწმობა.

**ინფორმაცია შეუსრულებელი კონტრაქტების შესახებ**

**ფორმა CON – 2**

ტენდერის მონაწილის იურიდიული სახელწოდება: \_\_\_\_\_ თარიღი \_\_\_\_\_

ერთობლივი საწარმოს პარტნიორის იურიდიული სახელწოდება: \_\_\_\_\_

ტენდერის ნომერი: \_\_\_\_\_

გვერდის ნომერი \_\_\_ \_\_\_ დან

შეუსრულებელი კონტრაქტები II თავის - შეფასებისა და საკვალიფიკაციო კრიტერიუმების- შესაბამისად			
<input type="checkbox"/> კონტრაქტების შეუსრულებლობას ადგილი არ ჰქონია განსაზღვრულ პერიოდში <input type="checkbox"/> შეუსრულებელი კონტრაქტებს ადგილი ჰქონდა			
წელი	კონტრაქტის შეუსრულებელი ნაწილი	კონტრაქტის იდენტიფიკაცია	მთლიანი საკონტრაქტო თანხა (ამჟამინდელი ღირებულება, ევროს ეკვივალენტში)
მიმდინარე დავა (სასამართლო პროცესი)			
<input type="checkbox"/> დავის არარსებობა <input type="checkbox"/> მიმდინარე დავა (სასამართლო პროცესი) ქვემოთმოყვანილის შესაბამისად			
წელი	შედეგის პროცენტი მთლიან აქტივთან მიმართებაში	კონტრაქტის იდენტიფიკაცია	მთლიანი საკონტრაქტო თანხა (ამჟამინდელი ღირებულება, ევროს ეკვივალენტში)
		კონტრაქტის იდენტიფიკაცია: შემსყიდველის სახელწოდება: შემსყიდველის მისამართი: დავის საგანი:	
		კონტრაქტის იდენტიფიკაცია: შემსყიდველის სახელწოდება: შემსყიდველის მისამართი: დავის საგანი:	

## ფინანსური მდგომარეობა

### ფორმა FIN – 3.1

ტენდერის მონაწილის იურიდიული სახელწოდება: \_\_\_\_\_ თარიღი \_\_\_\_\_

ერთობლივი საწარმოს პარტნიორის იურიდიული სახელწოდება: \_\_\_\_\_

ტენდერის ნომერი: \_\_\_\_\_

გვერდის ნომერი — — — დან

ეს ფორმა უნდა შეავსოს ტენდერის თითოეულმა მონაწილემ ან ერთობლივი საწარმოს თითოეულმა წევრმა

#### ბოლო 5 წლის ფინანსური მონაცემები (ლარებში)

ფინანსური ინფორმაცია	გასული 3 (სამი) წლის ფინანსური მდგომარეობა (ლარის ექვივალენტში, ათასებში)						
	20..	20..	20..	20..	20..	საშუალო	საშუალო კოეფიციენტი
<b>ინფორმაცია ბალანსის უწყისიდან</b>							
აქტივების მთლიანი ღირებულება (TA)							
პასივების მთლიანი ღირებულება (TL)							
წმინდა ღირებულება (NW)							
მიმდინარე აქტივები (CA)							
მიმდინარე პასივები (CL)							
<b>ინფორმაცია მოგება-ზარალის უწყისიდან</b>							
საერთო შემოსავალი (TR)							
დასაბეგრი მოგება (PBT)							

☐ თანდართულია ზემოთ მოთხოვნილი წლების ფინანსური უწყისების ასლები (ბალანსის უწყისები, ყველა შესაბამისი შენიშვნის ჩათვლით, და მოგება-ზარალის უწყისები), რომლებიც აკმაყოფილებს შემდეგ პირობებს:

(ა) ყველა ეს დოკუმენტი უნდა ასახავდეს განმცხადებლის ან ერთობლივი საწარმოს წევრის და არა მათი შვილობილი ან სათაო კომპანიის ფინანსური მდგომარეობას.

(ბ) წარსული წლების ფინანსური უწყისები შემოწმებული უნდა იყოს სერტიფიცირებული ბუღალტრის მიერ, და თუ ამას არ ითხოვს ტენდერის მონაწილის ქვეყნის კანონმდებლობა, დამხმარე დოკუმენტაციის სახით, წარმოდგენილი უნდა იქნას ტენდერის მონაწილის ქვეყნის საგადასახადო სამსახურის მიერ გაცემული დოკუმენტაცია.

(გ) წარსული წლების ფინანსური უწყისები სრულყოფილი უნდა იყოს მათ მიმართ გაკეთებული ყველა შენიშვნის ჩათვლით.

(დ) წარსული წლების ფინანსური უწყისები უნდა შეესაბამებოდეს საანგარიშო პერიოდს, რომელიც უკვე დასრულებულია და აუდიტორულად შემოწმებულია (ნაწილობრივი პერიოდის უწყისები არ მოითხოვება და არ იქნება მიღებული)

(ე) სხვა ვალუტებიდან ლარში კონვერტაცია საქართველოს ეროვნული ბანკის (<https://www.nbg.gov.ge/index.php?m=582&lng=eng>) მიერ გამოქვეყნებული საშუალო წლიური გადაცვლის კურსის გამოყენებით უნდა იქნას დაანგარიშებული

..... აუდიტორის ბეჭედი და ხელმოწერა.\* .....

\*გთხოვთ, მიუთითეთ [www.saras.gov.ge](http://www.saras.gov.ge)-ზე რეგისტრაციის ნომერი

ფორმა FIN – 3.2

სამშენებლო სამუშაოების საშუალო წლიური ბრუნვა

ტენდერის მონაწილის იურიდიული სახელწოდება: \_\_\_\_\_ თარიღი \_\_\_\_\_

ერთობლივი საწარმოს პარტნიორის იურიდიული სახელწოდება: \_\_\_\_\_

ტენდერის ნომერი: \_\_\_\_\_

გვერდის ნომერი — — — დან

საშუალო წლიური ბრუნვა		
წელი	თანხა და ვალუტა	ლარში *
20..		
20..		
20..		
20..		
20..		
სამშენებლო სამუშაოების საშუალო წლიური ბრუნვა*		

\* სამშენებლო სამუშაოების საშუალო წლიური ბრუნვა ანგარიშდება II თავში (შეფასებისა და საკვალიფიკაციო კრიტერიუმები) მითითებული წლების განმავლობაში მიმდინარე და დასრულებული კონტრაქტების ფარგლებში მიღებული დადასტურებული გადახდების ჯამი გაყოფილი იმავე წლების რაოდენობაზე.

\*\*სხვა ვალუტებიდან ლარში კონვერტაცია საქართველოს ეროვნული ბანკის (<https://www.nbg.gov.ge/index.php?m=582&lng=eng>) მიერ გამოქვეყნებული საშუალო წლიური გადაცვლის კურსის გამოყენებით უნდა იქნას დაანგარიშებული

..... აუდიტორის ბეჭედი და ხელმოწერა\* .....

\*გთხოვთ, მიუთითეთ [www.saras.gov.ge](http://www.saras.gov.ge)-ზე რეგისტრაციის ნომერი

**ფორმა EXP – 2.4.1**  
**ზოგადი გამოცდილება**

ტენდერის მონაწილის იურიდიული სახელწოდება: \_\_\_\_\_ თარიღი \_\_\_\_\_

ერთობლივი საწარმოს პარტნიორის იურიდიული სახელწოდება: \_\_\_\_\_

ტენდერის ნომერი: \_\_\_\_\_

გვერდის ნომერი — — დაწ

<p>მსგავსი კონტრაქტის №: — [მიუთითეთ კონკრეტული ნომერი] — [მიუთითეთ სულ მოთხოვნილი კონტრაქტების რაოდენობა]</p>	ინფორმაცია	
კონტრაქტის იდენტიფიკაცია		
კონტრაქტის მინიჭების თარიღი კონტრაქტის დასრულების თარიღი		
როლი კონტრაქტში		
ჯამური საკონტრაქტო თანხა		ლარი / ევრო
იმ შემთხვევაში, თუ წარმოადგენთ ერთობლივი საწარმოს პარტნიორთაგანს, მიუთითეთ თქვენი მონაწილეობა ჯამურ საკონტრაქტო თანხაში	_____ %	ლარი / ევრო _____
დამკვეთის სახელწოდება:		
დამკვეთის ფაქტიური საკონტრაქტო მონაცემები: მისამართი:  ტელეფონის/ფაქსის ნომერი: ელ-ფოსტა: საკონტრაქტო პირო:		

\*ტენდერის მონაწილემ უნდა წარმოადგინოს წინამდებარე ფორმაში მითითებული ყველა კონტრაქტის ასლი და შესრულებული სამუშაოების აქტი



ფორმა EXP – 2.4.1 (cont.)

ზოგადი გამოცდილება (cont.)

ტენდერის მონაწილის იურიდიული სახელწოდება: \_\_\_\_\_ თარიღი \_\_\_\_\_

ერთობლივი საწარმოს პარტნიორის იურიდიული სახელწოდება: \_\_\_\_\_

ტენდერის ნომერი: \_\_\_\_\_

გვერდის ნომერი — — დან

<p>მსგავსი კონტრაქტის №: —  <i>[მიუთითეთ კონკრეტული ნომერი]</i>          — <i>[მიუთითეთ სულ მოთხოვნილი კონტრაქტების რაოდენობა]</i></p>	<p>ინფორმაცია</p>
<p>მსგავსების აღწერა:</p>	
<p>თანხა</p>	
<p>ფიზიკური მოცულობა</p>	
<p>სირთულე</p>	
<p>ტექნოლოგია</p>	

## ნაწილი 2 – დამკვეთის მოთხოვნები

### V თავი. დამკვეთის მოთხოვნები

უზრუნველყოფილია ინგლისურ ენაზე, ცალკე დოკუმენტის სახით. დოკუმენტის ქართული ვერსია მხოლოდ ტენდერის მონაწილეთათვის საქმის გასამარტივებლად არის შექმნილი (შეუსაბამობის არსებობის შემთხვევაში, უპირატესობა მიენიჭება ინგლისურ ვერსიას).

### ნაწილი 3 – კონტრაქტის ფორმები

# თავი VI. კონტრაქტის ზოგადი პირობები

## სარჩევი

1. ....ზოგადი დებულებები
  - 1.1 ....განსაზღვრებები
  - 1.2 ....ინტერპრეტაცია
  - 1.3 ....კომუნიკაცია
  - 1.4 ....კანონმდებლობა და ენა
  - 1.5 ....პრიორიტეტული დოკუმენტები
  - 1.6 ....საკონტრაქტო შეთანხმება
  - 1.7 ....გადაცემა
  - 1.8 ....საავტორო უფლება
  - 1.9 ....კონფიდენციალურობა
  - 1.10 ..საპროექტო ტერიტორიასთან მისვლა
  - 1.11 ..ინტერესთა კონფლიქტი
  - 1.12 ..კანონმდებლობასთან შესაბამისობა
  - 1.13 ..ერთობლივი და ინდივიდუალური პასუხისმგებლობა
  - 1.14 ..ინსპექტირება და აუდიტი NEFCO-ს მიერ
  - 1.15 ..პერსონალი
2. ....საკონტრაქტო დოკუმენტები
3. ....აკრძალული საქმიანობა
- 4.....უფლებამოსილება
- 5.....შეტყობინებები
- 6.....დავების მოგვარება
- 7.....სამუშაოების ჩამონათვალი და მოცულობა
- 8.....მიწოდება
- 9.....კონტრაქტორის პასუხისმგებლობა
10. ....საკონტრაქტო ფასი
11. ....გადახდის პირობები
12. ....გადასახადები და მოსაკრებელი
13. ....შესრულების გარანტია
14. ....ქვე-კონტრაქტების გაფორმება
15. ....სპეციფიკაციები და სტანდარტები

16. ....შეფუთვა და დოკუმენტები
17. ....დაზღვევა
18. ....ტრანსპორტირება
19. ....შემოწმებები და გამოცდები
20. ....პირგასამტეხლო
21. ....გარანტია
22. ....ზარალის ანაზღაურება პატენტის დარღვევის შემთხვევაში
23. ....პასუხისმგებლობის შეზღუდვა
24. ....ცვლილებები კანონებსა და რეგულაციებში
25. ....ფორს მაჟორი
26. ....ცვლილების ბრძანებები და კონტრაქტის ცვლილებები
27. ....ვადის გადაწევა
28. ....დასრულება

## თავი VI. კონტრაქტის ზოგადი პირობები

კონტრაქტის მოცემული ზოგადი პირობები, კონტრაქტის განსაკუთრებულ პირობებთან და სხვა დოკუმენტებთან ერთად, წარმოადგენს სრულ დოკუმენტს, რომელშიც მხარეების უფლებები და მოვალეობებია ასახული.

### ზოგადი დებულებები

#### 1.1. განსაზღვრებები

კონტრაქტის პირობებში („აღნიშნული პირობები“), რომელიც მოიცავს განსაკუთრებულ პირობებს და აღნიშნულ ზოგად პირობებს, ქვემოთ წარმოდგენილ სიტყვებსა და გამონათქვამებს აქვთ ქვემოთ წარმოდგენილი მნიშვნელობები. თუ კონტექსტი სხვაგვარად არ მოითხოვს, წინამდებარე კონტრაქტში ნებისმიერ ადგილას გამოყენებულ ქვემოთ ჩამოთვლილ ტერმინებს ენიჭება შემდეგი მნიშვნელობები:

##### 1.1.1. კონტრაქტი

- “კონტრაქტი” გულისხმობს საკონტრაქტო შეთანხმებას, მიღების წერილს, ტენდერის წერილს, აღნიშნულ პირობებს, სპეციფიკაციებს, გრაფიკებს და სხვა დოკუმენტებს (ასეთი დოკუმენტების არსებობის შემთხვევაში), რომლებიც შესულია საკონტრაქტო შეთანხმებაში, ან მიღების წერილში.
- „საკონტრაქტო შეთანხმება“ გულისხმობს 1.6 ქვე-პუნქტში [საკონტრაქტო შეთანხმება] ხსენებულ საკონტრაქტო შეთანხმებას.
- „საკონტრაქტო დოკუმენტები“ გულისხმობს საკონტრაქტო შეთანხმების დოკუმენტებს, შესაბამის ცვლილებებთან ერთად.
- „კონტრაქტის ფასი“ გულისხმობს კონტრაქტორის მიმართ გადასახდელ თანხას, რაც საკონტრაქტო შეთანხმებით არის განსაზღვრული და ექვემდებარება გარკვეული დამატებებისა თუ ცვლილებების, ან შემცირების განხორციელებას, წარმოდგენილი კონტრაქტის შესაბამისად.
- „დასრულება“ გულისხმობს კონტრაქტორის მიერ შესაბამისი სამუშაოების, კონტრაქტით განსაზღვრული პირობების შესაბამისად განხორციელებას.
- „მიღების წერილი“ გულისხმობს ტენდერის წერილის ოფიციალური მიღების წერილს, რომელიც ხელმოწერილია დამკვეთის მიერ და რომელიც დანართების სახით მოიცავს შეთანხმებებს, რომლებიც ხელმოწერილი და გაფორმებულია ორივე მხარის მიერ. მსგავსი მიღების წერილის არ არსებობის შემთხვევაში, „მიღების წერილი“ გულისხმობს საკონტრაქტო შეთანხმებას, ხოლო მიღების წერილის გამოცემის, ან მიღების თარიღად ჩაითვლება საკონტრაქტო შეთანხმების გაფორმების თარიღი.
- „ტენდერის წერილში“ იგულისხმება ტენდერის წერილის დოკუმენტი, რომელიც დასრულებულია კონტრაქტორის მიერ და მოიცავს ხელმოწერილ შეთავაზებას დამკვეთის მიმართ, დანადგარებთან და სამუშაოებთან მიმართებაში.
- „სპეციფიკაცია“ გულისხმობს სპეციფიკაციის დოკუმენტს, რომელიც შესულია კონტრაქტში, სპეციფიკაციების ნებისმიერ დამატებასთან და მოდიფიკაციასთან ერთად, კონტრაქტის შესაბამისად. აღნიშნული დოკუმენტი განსაზღვრავს დანადგარებს და სამუშაოებს.
- “ნახაზები” აღნიშნავს დანადგარის ნახაზებს, რაც წარმოადგენს კონტრაქტის ნაწილს და დამკვეთის მიერ (ან დამკვეთის სახელით) დამატებით გამოცემულ და მოდიფიცირებულ ნახაზებს, კონტრაქტის შესაბამისად.
- „გრაფიკებში“ იგულისხმება კონტრაქტორის მიერ დასრულებული და ტენდერის წერილთან ერთად წარმოდგენილი გრაფიკები, რაც შესულია კონტრაქტში. აღნიშნული დოკუმენტი (დოკუმენტები) შესაძლოა მოიცავდეს სამუშაოების

მოცულობებს, მონაცემებს, სიებს და ერთეულის ღირებულებების და/ან ფასების გრაფიკებს.

- „ტენდერში“ იგულისხმება ტენდერის წერილი და სხვა დოკუმენტაცია, რაც კონტრაქტორს წარმოდგენილი აქვს ტენდერის წერილთან ერთად, როგორც სახითაც ის ასახულია კონტრაქტში.
- „კონტრაქტის ზოგადი პირობები“ გულისხმობს კონტრაქტის ზოგად პირობებს.
- „კონტრაქტის განსაკუთრებული პირობები“ გულისხმობს კონტრაქტის განსაკუთრებულ პირობებს.

#### 1.1.2. მხარეები და პირები

- „მხარე“ გულისხმობს დამკვეთს, ან კონტრაქტორს, კონტექსტის შესაბამისად.
- „დამკვეთში“ იგულისხმება პიროვნება და აღნიშნული პიროვნების კანონიერი მემკვიდრეები, რომლებიც ხელშეკრულების განსაკუთრებულ პირობებში დასახელებულები არიან დამკვეთად.
- „კონტრაქტორში“ იგულისხმება დამკვეთის მიერ მიღებული ტენდერის წერილში კონტრაქტორად დასახელებული პირი (პირები) და აღნიშნული პირის (პირების) კანონიერი მემკვიდრეები.
- „ქვე-კონტრაქტორი“ გულისხმობს კონტრაქტში ქვე-კონტრაქტორად დასახელებულ პირს, ან ქვე-კონტრაქტორად დანიშნულ ნებისმიერ პირს, დანადგარის ნაწილთან, ან შესაბამის სამუშაოებთან მიმართებაში; ასევე აღნიშნული პირების კანონიერ მემკვიდრეებს - თანამდებობრივი პოზიციების შესაბამისად.
- „NEFCO“ გულისხმობს კონტრაქტის განსაკუთრებულ პირობებში დასახელებულ ფინანსურ დაწესებულებას (ასეთის არსებობის შემთხვევაში).
- „სესხის ამღები“ გულისხმობს კონტრაქტის განსაკუთრებულ პირობებში, სესხის ამღებად დასახელებულ პირს (ასეთი პირის დასახელების შემთხვევაში).
- „უფლებამოსილი ქვეყნები“ გულისხმობს NEFCO-ს შესყიდვების სახელმძღვანელო პრინციპების მიხედვით უფლებამოსილად განსაზღვრულ ქვეყნებს და ტერიტორიებს.

#### 1.1.3. თარიღები, გამოცდები (ტესტები), პერიოდები და დასრულება

- „მისაღები-ჩასაბარებელი გამოცდა“ გულისხმობს კონტრაქტით განსაზღვრულ გამოცდებს (ასეთების არსებობის შემთხვევაში), რომელიც უნდა განხორციელდეს სპეციფიკაციების შესაბამისად, „მიღების სერტიფიკატის“ გაცემის მიზნით.
- „დღეში“ იგულისხმება კალენდარული დღე, ხოლო „წელიწადში“ იგულისხმება 365 დღე.
- „დაწყების თარიღი“ გულისხმობს კონტრაქტის განსაკუთრებული პირობებით განსაზღვრულ თარიღს, როდესაც კონტრაქტორს შეუძლია სამუშაოების წარმოების დაწყება.
- „დეფექტებზე პასუხისმგებლობის სერტიფიკატი“ გულისხმობს დამკვეთის მიერ გაცემულ სერტიფიკატს, კონტრაქტორის მიერ დეფექტების გამოსწორების შემდეგ.
- „დეფექტებზე პასუხისმგებლობის პერიოდი“ გულისხმობს კონტრაქტის განსაკუთრებული პირობების 19.9 ქვე-პუნქტით განსაზღვრულ პერიოდს და მისი დაანგარიშება ხდება დასრულების თარიღიდან.

#### 1.1.4. თანხა და გადახდები

- „კონტრაქტის ღირებულება“ გულისხმობს მე-10 ქვე-პუნქტით განსაზღვრულ ფასს - საკონტრაქტო ღირებულებას და ასახავს კონტრაქტის შესაბამისად განხორციელებულ ფასის კორექტირებას.

#### 1.1.5. დანადგარი და შესაბამისი სამუშაოები

- „დანადგარში“ იგულისხმება ყველა სახის მასალა, ნედლეული, მექანიზმები და აღჭურვილობა და/ან სხვა მასალა, რომლის მოწოდებაც ევალება კონტრაქტორს დამკვეთისთვის, კონტრაქტის შესაბამისად.
- „შესაბამისი სამუშაოები“ გულისხმობს დანადგარის მოწოდებასთან დაკავშირებულ სამუშაოებს, როგორც არის მაგალითად ინსტალაცია, ან ინსტალაციის ზედამხედველობა, ექსპლუატაციაში გაშვება, ტრენინგი და თავდაპირველი უზრუნველყოფა და კონტრაქტორის სხვა მსგავსი სახის ვალდებულებები - კონტრაქტის შესაბამისად.

### 1.1.6. სხვა განსაზღვრებები

- „დამკვეთის ქვეყანა“ გულისხმობს კონტრაქტის განსაკუთრებული პირობებით განსაზღვრულ ქვეყანას.
- „ფორს-მაჟორი“ განსაზღვრულია 25-ე პუნქტით - ფორს მაჟორი.
- „კანონებში“ იგულისხმება ყველა ეროვნული (ან სახელმწიფო) კანონმდებლობა, განკარგულება, ბრძანება და სხვა კანონები და რეგულაციები, ასევე კანონიერად დაფუძნებული ხელისუფლების ორგანოს დადგენილებები.
- „შესრულების გარანტია“ გულისხმობს მე-13 ქვე-პუნქტით - შესრულების გარანტია, განსაზღვრულ გარანტიას (ან გარანტიებს).
- „საპროექტო ტერიტორია“ გულისხმობს კონტრაქტის განსაკუთრებულ პირობებში დასახელებულ ადგილს.
- „გაუთვალისწინებელი“ გულისხმობს, საბაზისო მონაცემების საფუძველზე, გამოცდილი კონტრაქტორის მიერ არა საფუძვლიანად გათვალისწინებულ (გარემოებებს).
- „განაცხადი ცვლილებაზე“, ან „ცვლილება“ განსაზღვრულია 26 ქვე-პუნქტით - განაცხადი ცვლილებებზე და კონტრაქტის ცვლილებები.
- „ჯანმრთელობის და უსაფრთხოების მართვის გეგმა“ (HSMP) გულისხმობს გეგმას, რომელიც კონტრაქტორმა უნდა მოამზადოს, წარმოადგინოს და განახორციელოს, კონტრაქტის ზოგადი პირობების 28.7 პუნქტის შესაბამისად.
- „კონტრაქტორის მიერ ობიექტისთვის მომზადებული გარემოს დაცვის და სოციალური მართვის გეგმები“ (SSEMP) გულისხმობს გეგმას, რომელიც კონტრაქტორმა უნდა მოამზადოს, წარმოადგინოს და განახორციელოს, კონტრაქტის ზოგადი პირობების 28.8 პუნქტის შესაბამისად.

### 1.2. ინტერპრეტაცია

კონტრაქტის ინტერპრეტაცია. თუ კონტექსტი სხვაგვარად არ მოითხოვს, წინამდებარე კონტრაქტში ნებისმიერ ადგილას გამოყენებულ ქვემოთ ჩამოთვლილ ტერმინებს ენიჭება შემდეგი მნიშვნელობები:

- (a) სიტყვები, სადაც მითითებულია ერთი სქესი, გულისხმობს ყველა სქესს;
- (b) სიტყვები, სადაც მითითებულია მხოლოებითი რიცხვი, ასევე გულისხმობს მრავლობითს და სიტყვები, სადაც მითითებულია მრავლობითი რიცხვი, ასევე გულისხმობს მხოლოდით რიცხვს;
- (c) ისეთი პირობები, რომლებიც მოიცავენ სიტყვას „შეთანხმება“, ან „შეთანხმებული“, საჭიროებს შეთანხმების წერილობით ასახვას;
- (d) „წერილობით“, ან „წერილობითი“ გულისხმობს ხელით დაწერილს, დაბეჭდილს, ამობეჭდილს, ან ელექტრონულად მომზადებულს, მუდმივი აღრიცხვის უზრუნველყოფით;
- (e) სიტყვა „ტენდერი“ „საკონკურსო ვაჭრობის“ სინონიმია, ხოლო „ტენდერის მონაწილე“ - „საკონკურსო ვაჭრობის მონაწილის“, სიტყვები „სატენდერო დოკუმენტები“ და „საკონკურსო ვაჭრობის დოკუმენტები“ იდენტურია.



(f) აღნიშნული პირობების ინტერპრეტაციის დროს, დოკუმენტის კიდეზე არსებული სიტყვები და სხვა სათაურები არ უნდა იქნას გათვალისწინებული.

იმ შემთხვევაში, თუ კონტექსტი მოითხოვს ამას, მხოლოდითი ნიშნავს მრავლობითს და პირიქით.

### **1.3. ინკოტერმი (საერთაშორისო სავაჭრო ტერმინების განმარტების საერთაშორისო წესები)**

- (a) კონტრაქტის რომელიმე დებულებასთან შეუსაბამობის შემთხვევაში, რომელიმე სავაჭრო ტერმინის მნიშვნელობა და მხარეების უფლებები და მოვალეობები განისაზღვრება ინკოტერმის შესაბამისად.
- (b) ინკოტერმი, გამოყენების შემთხვევაში, დარეგულირდება ინკოტერმის არსებული გამოცემით განსაზღვრული წესების შესაბამისად, რაც მოცემულია კონტრაქტის განსაკუთრებულ პირობებში და გამოცემულია საერთაშორისო სავაჭრო პალატის მიერ, პარიზი, საფრანგეთი.

### **1.4. შეთანხმება სრულად**

კონტრაქტი მოიცავს სრულ შეთანხმებას დამკვეთსა და კონტრაქტორს შორის და სწორედ აღნიშნული დოკუმენტით ხდება მხარეებს შორის, აღნიშნული კონტრაქტის გაფორმებამდე არსებული ყველა სახის კომუნიკაციის, მოლაპარაკებებისა და (წერილობითი, თუ ზეპირი) შეთანხმებების ჩანაცვლება.

### **1.5. ცვლილება**

კონტრაქტის არცერთი ცვლილება, ან ვარიაცია არ იქნება მოქმედი, თუ არ მოხდება მისი წერილობით ასახვა, დათარიღება, კონტრაქტთან მიმართებაში, და არ მოეწერება ხელი, თითოეული მხარის შესაბამისად უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ.

### **1.6. უფლებაზე უარის თქმის უფლებებელყოფა**

- (a) კონტრაქტის ზოგადი პირობების ქვემოთ წარმოდგენილი 1.6 (ბ) პუნქტის თანახმად, რომელიმე მხარის მიერ კონტრაქტის რომელიმე პირობის შესრულებისას რაიმე სახის შერბილება, განსაზღვრული ქმედებისაგან თავის შეკავება, დაყოვნება, ან ინდულგენცია, ან რომელიმე მხარის მიერ სხვისთვის დროის მიცემა, არ მიაყენებს ზიანს და არ იმოქმედებს, და არ შეზღუდავს აღნიშნული მხარის უფლებებს მოცემული კონტრაქტის ფარგლებში. რომელიმე მხარის მიერ კონტრაქტის დარღვევის აღმოფხვრის მოთხოვნის უფლებაზე უარის თქმა, არ იმოქმედებს კონტრაქტის მომავალ, ან მიმდინარე დარღვევაზე.
- (b) კონტრაქტის ფარგლებში, მხარის უფლებებზე, ძალაუფლებაზე, ან საშუალებებზე უარის თქმა აუცილებელია გაფორმდეს წერილობით, უნდა იყოს დათარიღებული და ხელმოწერილი იმ მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ, რომელიც აკმაყოფილებს აღნიშნულ მოთხოვნას უარზე და აუცილებელია იმ უფლების და მოცულობის დაზუსტება, რასთან მიმართებაშიც ხდება უარის განცხადება.

### **1.7. ნაწილობრივი იურიდიული ბათილობა**

კონტრაქტის რომელიმე დებულების, ან პირობის აკრძალვის, ან იურიდიული ძალის დაკარგვის, თუ იურიდიულად შეუსრულებლობის შემთხვევაში, აღნიშნული აკრძალვა, ბათილობა, ან იურიდიული შეუსრულებლობა, არ მოახდენს ზემოქმედებას კონტრაქტის დანარჩენი დებულებებისა თუ სხვა პირობების იურიდიულ ძალასა, თუ იურიდიულ შეუსრულებლობაზე.

### **1.8. კომუნიკაცია**

რამდენადაც აღნიშნული პირობებით გათვალისწინებულია ნებართვების, სერტიფიკატების, თანხმობების, განსაზღვრებების, თხოვნების და დოკუმენტის მოქმედების შეწყვეტის უფლების მინიჭება, ან გაცემა, აღნიშნული კომუნიკაცია:

- (a) წერილობით უნდა იქნას წარმოებული და გადაცემული ხელით (მიღების ხელმოწერით დადასტურებით), გაგზავნილით მეილით, ან კურიერის საშუალებით, ან გაგზავნა უნდა მოხდეს ისეთი ელექტრონული გადაცემის შეთანხმებული სისტემის გამოყენებით, რაც განსაზღვრულია კონტრაქტის განსაკუთრებული პირობებით; და
- (b) გადაცემულ, გაგზავნილ, ან გადაგზავნილ იქნას სესხის ამღების მიერ მითითებულ მისამართზე, რაც ასახულია კონტრაქტის განსაკუთრებულ პირობებში, თუმცა:
  - (i) იმ შემთხვევაში, თუ სესხის ამღები მიუთითებს სხვა მისამართს, კომუნიკაციის გაგრძელება მოხდება შესაბამისად; და
  - (ii) იმ შემთხვევაში, თუ სესხის ამღები არ მიუთითებს სხვა მისამართს, დამტკიცების, ან თანხმობის მოთხოვნის პროცესში, აღნიშნული შესაძლოა გაიგზავნოს იმ მისამართზე, საიდანაც მოხდა თხოვნის მიღება.

არ უნდა მოხდეს დამტკიცების, სერტიფიკატების, შეთანხმებების და განსაზღვრებების უსაფუძვლოდ უარყოფა, ან დაყოვნება. სერტიფიკატის მხარის მიმართ გაცემის შემთხვევაში, სერტიფიკატის გამცემმა სერტიფიკატის ასლი უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს.

### 1.9. კანონი და ენა

კონტრაქტი ექვემდებარება ქვეყნის, ან კონტრაქტის განსაკუთრებული პირობებით განსაზღვრული სხვა იურისდიქციის კანონმდებლობას.

კონტრაქტის განმსაზღვრელი ენა იქნება კონტრაქტის განსაკუთრებული პირობებით განსაზღვრული ენა.

კომუნიკაციისთვის განსაზღვრული ენა განსაზღვრულია კონტრაქტის განსაკუთრებული პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნულ დოკუმენტში ენა დაზუსტებული არ არის, კომუნიკაციის ენად განისაზღვრება კონტრაქტის ენა.

კონტრაქტის შემადგენელი ნაწილი: დამხმარე დოკუმენტაცია და ამობეჭდილი ლიტერატურა, შესაძლებელია წარმოდგენილი იყოს სხვა ენაზე, თუმცა წარმოდგენილი უნდა იყოს ასევე შესაბამისი პასაჟების ზუსტი თარგმანი (კონტრაქტით) განსაზღვრულ ენაზე. აღნიშნულ შემთხვევაში, კონტრაქტის ინტერპრეტაციისას, უპირატესობა მიენიჭება თარგმანს.

კონტრაქტორი ვალდებულია, რომ (კონტრაქტით) განსაზღვრულ ენაზე თარგმნის ღირებულება დაფაროს თავად და ასევე აიღოს კონტრაქტორის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებთან დაკავშირებით შესრულებული თარგმანების სიზუსტესთან დაკავშირებული რისკების პასუხისმგებლობა.

### 1.10. დოკუმენტები პრიორიტეტის მიხედვით

კონტრაქტის შემადგენელი დოკუმენტები განმარტავენ ერთიმეორეს. ინტერპრეტაციის მიზნით, დოკუმენტებს პრიორიტეტი ენიჭება შემდეგი თანმიმდევრობის შესაბამისად:

- (a) საკონტრაქტო შეთანხმება (ასეთი შეთანხმების არსებობის შემთხვევაში);
- (b) მიღების წერილი;
- (c) ტენდერის წერილი;
- (d) კონკრეტული პირობები;
- (e) მოცემული ზოგადი პირობები;
- (f) სპეციფიკაცია;
- (g) ნახაზები და

(h) გრაფიკები და კონტრაქტის შემადგენელი სხვა დოკუმენტები.

დოკუმენტებში რაიმე გაურკვევლობის, ან შეუსაბამობის აღმოჩენის შემთხვევაში, დამკვეთი ვალდებულია, რომ გამოსცეს საჭირო განმარტება, ან ინსტრუქცია.

### **1.11. საკონტრაქტო შეთანხმება**

მხარეები ვალდებული არიან, რომ გააფორმონ საკონტრაქტო შეთანხმება, კონტრაქტორის მიერ მიღების წერილის მიღებიდან 28 დღის ვადაში, იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული სხვაგვარად არ არის განსაზღვრული კონტრაქტის განსაკუთრებული პირობებით. საკონტრაქტო შეთანხმება დაეფუძნება ფორმას, რომელიც კონტრაქტის განსაკუთრებული პირობების დანართის სახით არის წარმოდგენილი. საკონტრაქტო შეთანხმების გაფორმებასთან დაკავშირებით, კანონმდებლობით განსაზღვრული ადმინისტრაციული მოსაკრებელის და მსგავსი სახის ხარჯების (ასეთი ხარჯების არსებობის შემთხვევაში) ღირებულებას დაფარავს დამკვეთი.

### **1.12. გადაცემა**

არცერთ მხარეს არ აქვს უფლება, რომ გადასცეს (სხვას) კონტრაქტი მთლიანად, ან კონტრაქტის რომელიმე ნაწილი, ან მოახდინოს რაიმე სარგებელის, ან პროცენტის გადაცემა კონტრაქტში, ან კონტრაქტის ფარგლებში, თუმცა თითოეულ მხარეს:

- (a) შეუძლია მოახდინოს მთლიანი, ან გარკვეული ნაწილის გადაცემა, მეორე მხარის წინასწარი შეთანხმების საფუძველზე, მეორე მხარის შეხედულებისამებრ, და
- (b) შეუძლია ბანკის, ან ფინანსური დაწესებულების სასარგებლოდ, დაზღვევის სახით, გადასცეს მისი უფლება სავალდებულო თანხასთან, ან გადახდის ვადის დადგომასთან მიმართებაში, კონტრაქტის ფარგლებში.

### **1.13. საავტორო უფლება**

1.13.1. კონტრაქტორის მიერ დამკვეთისთვის გადაცემული ყველა ნახაზის, დოკუმენტების და სხვა მასალების შემადგენელი მონაცემებისა და ინფორმაციის საავტორო უფლება, კანონიერად ეკუთვნის კონტრაქტორს, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული დოკუმენტების უზრუნველყოფა დამკვეთის მიმართ ხდება უშუალოდ მესამე მხარის მიერ, ან კონტრაქტორის საშუალებით, მაგრამ მესამე მხარის, მათ შორის მასალების მომწოდებლების მიერ, აღნიშნული მასალების საავტორო უფლება ეკუთვნის აღნიშნულ მესამე მხარეს.

### **1.14. კონფიდენციალური ინფორმაცია**

კონტრაქტორის და დამკვეთის პერსონალი ვალდებულია, რომ გაამჟღავნოს ყველა კონფიდენციალური და სხვა სახის ინფორმაცია, რაც შესაძლოა მოთხოვნილ იქნას შესაბამისი დასაბუთების საფუძველზე, კონტრაქტორის კონტრაქტით გათვალისწინებულ ვალდებულებებთან შესაბამისობის შემოწმების და კონტრაქტის სათანადო განხორციელების შესაძლებლობის უზრუნველყოფის მიზნით.

თითოეულმა მათგანმა უნდა დაიცვას კონტრაქტთან დაკავშირებული ინფორმაციის პრივატულობა და კონფიდენციალურობა, იმ გამონაკლისების გარდა, რაც საჭიროა კონტრაქტით განსაზღვრული მათი ვალდებულებების შესასრულებლად და მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით. თითოეულმა მათგანმა არ უნდა გამოაქვეყნოს, ან გაამჟღავნოს მეორე მხარის მიერ მომზადებული დანადგართან და აღჭურვილობასთან დაკავშირებული მონაცემები, მეორე მხარის წინასწარი თანხმობის გარეშე. თუმცა, კონტრაქტორს აქვს უფლება, რომ გაამჟღავნოს საჯაროდ ხელმისაწვდომი ინფორმაცია, ან ის ინფორმაცია, რაც საჭიროა მისი კვალიფიკაციის დასადგენად, სხვა პროექტებთან მიმართებაში მისი მონაწილეობის პროცესში.

ზემოაღნიშნულის მიუხედავად, კონტრაქტორს შეუძლია გადასცეს მის ქვე-კონტრაქტორს (ქვე-კონტრაქტორებს) დამკვეთისაგან მიღებული დოკუმენტები, მონაცემები და სხვა სახის ინფორმაცია, რაც საჭიროა იმისთვის, რომ ქვე-კონტრაქტორმა (ქვე-კონტრაქტორებმა) შეასრულოს კონტრაქტით გათვალისწინებული სამუშაოები. ამ შემთხვევაში, კონტრაქტორმა ქვე-კონტრაქტორისგან (ქვე-კონტრაქტორებისაგან) უნდა აიღოს კონფიდენციალურობ ან დაკავშირებული ისეთივე პასუხისმგებლობა, რაც ეკისრება კონტრაქტორს, მოცემული პუნქტის ფარგლებში.

#### **1.15. საპროექტო ტერიტორიასთან მისვლა**

კონტრაქტორმა უფლება უნდა მისცეს დამკვეთის მიერ უფლებამოსილ ნებისმიერ პირს, რომ შევიდეს საპროექტო ტერიტორიაზე და ნებისმიერ ადგილას, სადაც მიმდინარეობს, ან დაგეგმილია აღნიშნულ კონტრაქტთან დაკავშირებული სამუშაოების განხორციელება.

#### **1.16. ინტერესთა კონფლიქტი**

კონტრაქტორი, ისევე როგორც მისი პერსონალი და მისი ქვე-კონტრაქტორები და მათი პერსონალი, არ უნდა იყოს დაკავებული, პირდაპირი, თუ არა-პირდაპირი გზით, ისეთი საქმიანობით, ან პროფესიული აქტივობით, რაც კონფლიქტში მოდის აღნიშნული კონტრაქტის ფარგლებში მათთვის განსაზღვრულ ვალდებულებასთან.

#### **1.17. კანონმდებლობასთან შესაბამისობა**

კონტრაქტის განხორციელების პროცესში, კონტრაქტორმა უნდა უზრუნველყოს მოქმედ კანონებთან შესაბამისობა, იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული საკითხი სხვაგვარად არ არის ჩამოყალიბებული კონტრაქტის განსაკუთრებულ პირობებში:

- (a) დამკვეთმა უნდა მიიღოს და გადაიხადოს ყველა ადგილობრივი, სახელმწიფო, ან ეროვნული ხელისუფლების, ან საჯარო სამსახურის მიერ დამკვეთის ქვეყნისთვის განსაზღვრული ყველა ნებართვის, დამტკიცების და/ან ლიცენზიების (საფასური), რასაც (i) მოითხოვს აღნიშნული ხელისუფლება, ან დაწესებულება დამკვეთისაგან, დამკვეთის სახელის მისაღებად; და (ii) რაც საჭიროა როგორც კონტრაქტის განსახორციელებლად, ასევე კონტრაქტით, კონტრაქტორისა და დამკვეთისთვის განსაზღვრული ვალდებულებების შესასრულებლად;
- (b) კონტრაქტორმა უნდა მიიღოს და გადაიხადოს ყველა ადგილობრივი, სახელმწიფო, ან ეროვნული ხელისუფლების, ან საჯარო სამსახურის მიერ დამკვეთის ქვეყნისთვის განსაზღვრული ყველა ნებართვის, დამტკიცების და/ან ლიცენზიების (საფასური), რასაც მოითხოვს აღნიშნული ხელისუფლება, ან დაწესებულება კონტრაქტორისგან, სახელის მისაღებად და რაც აუცილებელია კონტრაქტის შესასრულებლად. აღნიშნული მოიცავს, მაგრამ არ არის შეზღუდული შემდეგით: ვიზები კონტრაქტორის და ქვე-კონტრაქტორის პერსონალისთვის და კონტრაქტორის იმპორტირებული აღჭურვილობის შემოსვლის ნებართვა. კონტრაქტორმა უნდა მიიღოს ყველა სხვა საჭირო ნებართვა, თანხმობა და/ან ლიცენზია, რაც არ წარმოადგენს დამკვეთის პასუხისმგებლობას, აღნიშნული დოკუმენტის ზოგადი პირობების 1.10 (ა) ქვე-პუნქტის თანახმად და რაც აუცილებელია კონტრაქტის შესასრულებლად. კონტრაქტორმა უნდა დაიცვას და უზრუნველყოს დამკვეთის დაცვა ყველა იმ პასუხისმგებლობის, ზარალის, პრეტენზიების, ჯარიმების და ხარჯებისაგან, რაც შესაძლოა გამოიწვიოს და განაპირობოს, კონტრაქტორის ან მისი პერსონალის, მათ შორის ქვე-კონტრაქტორებისა და მათ პერსონალის მიერ აღნიშნული კანონების დარღვევამ, რაც არ ათავისუფლებს მათ აღნიშნული დოკუმენტის ზოგადი პირობების 10.1 ქვე-პუნქტით განსაზღვრული ვალდებულებებისგან.

### **1.18. საერთო და ინდივიდუალური პასუხისმგებლობა**

იმ შემთხვევაში, თუ კონტრაქტორი წარმოადგენს ერთობლივ საწარმოს, კონსორციუმს, ან ორი ან მეტი იურიდიული პირისგან შემდგარ ასოციაციას (JVCA), ყველა ეს პირი ერთობლივად და ცალ-ცალკე პასუხისმგებელია კონტრაქტით გათვალისწინებული დებულებების შესრულებაზე - დამკვეთის წინაშე, იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული საკითხი სხვაგვარად არ არის ჩამოყალიბებული კონტრაქტის განსაკუთრებულ პირობებში. მოცემულ შემთხვევაში, აღნიშნულ პირებს შორის უნდა განისაზღვროს ერთი პირი, რომელიც იმოქმედებს ლიდერის სტატუსით და რომელსაც მიენიჭება ერთობლივ კომპანიაზე (JVCA) ვალდებულების დაკისრების უფლებამოსილება. აღნიშნული ორგანიზაციის (JVCA) შემადგენლობა, ან სტრუქტურა არ შეიცვლება, დამკვეთის წინასწარი თანხმობის გარეშე.

### **1.19. ინსპექტირება და აუდიტი NEFCO-ს მიერ**

კონტრაქტორმა უფლება უნდა მისცეს NEFCO-ს და/ან NEFCO-ს მიერ დანიშნულ პირებს, რომ შეამოწმონ ობიექტი და/ან კონტრაქტის შესრულებასთან დაკავშირებული კონტრაქტორის (მათ შორის მისი ქვე-მომწოდებლების, კონტრაქტორების, ქვე-კონტრაქტორების, კონსულტანტების, ან ქვე-კონსულტანტების) ანგარიშები და ჩანაწერები და მოხდეს აღნიშნული ანგარიშების და ჩანაწერების აუდიტორული შემოწმება NEFCO-ს მიერ დანიშნული აუდიტების მიერ, თუკი ამას მოითხოვს NEFCO.

კონტრაქტორი ვალდებულია, რომ შეინახოს კონტრაქტთან დაკავშირებული დოკუმენტები და ჩანაწერები მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ყოველ შემთხვევაში - კონტრაქტის არსებითად შესრულებიდან მინიმუმ ექვსი წლის განმავლობაში.

კონტრაქტორმა უნდა წარმოადგინოს აკრძალული საქმიანობის ბრალდების გამოძიებისთვის საჭირო ყველა დოკუმენტაცია და მოსთხოვოს კონტრაქტის მცოდნე მის თანამშრომლებსა, თუ აგენტებს, NEFCO-ს შეკითხვებზე პასუხების გაცემა.

### **1.20. პერსონალი**

კონტრაქტორმა სამსახურში უნდა აიყვანოს კონტრაქტის განსაკუთრებული პირობებით განსაზღვრული წამყვანი პერსონალის გრაფიკში დასახელებული წამყვანი პერსონალი, აღნიშნული გრაფიკით განსაზღვრული ფუნქციების შესასრულებლად, ან დამკვეთის მიერ დამტკიცებული სხვა პერსონალი. დამკვეთი დაამტკიცებს წამყვანი პერსონალის ჩანაცვლების შემოთავაზებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შესაბამისი კვალიფიკაცია და შესაძლებლობა არსებითად გათანაბრებული, ან უკეთესია წამყვანი პერსონალის გრაფიკში წარმოდგენილი პერსონალის ნუსხაზე.

## **2. საკონტრაქტო დოკუმენტები**

საკონტრაქტო შეთანხმების შემადგენელი დოკუმენტები ექვემდებარება პრიორიტეტულობის მიხედვით განსაზღვრას და კონტრაქტის შემადგენელი ყველა დოკუმენტი (და ყველა ნაწილი) უნდა იყოს ურთიერთდამოკიდებული, ურთიერთშემავსებელი და ერთმანეთის განმარტებითი ხასიათის. საკონტრაქტო შეთანხმება წაკითხულ უნდა იქნას ერთი მთლიანი დოკუმენტის სახით.

## **3. აკრძალული საქმიანობა**

**3.1.** NEFCO მოითხოვს, რომ სესხის ამღებებმა (მათ შორის NEFCO-ს სესხების ბენეფიციარებმა), ასევე NEFCO-ს დაფინანსებული კონტრაქტების ტენდერის მონაწილეებმა, მომწოდებლებმა, ქვე-მომწოდებლებმა, კონტრაქტორებმა, ქვე-კონტრაქტორებმა, კონცესიონერებმა, კონსულტანტებმა და ქვე-კონსულტანტებმა დაიცვან ეთიკის უმაღლესი სტანდარტი, აღნიშნული კონტრაქტების შესყიდვების

პროცედურების და განხორციელების უზრუნველყოფისას. აღნიშნული პოლიტიკის თანახმად, NEFCO:

(a) მოცემული დებულების მიზნით, განსაზღვრავს:

- (1) „კორუფცია“ ნიშნავს პირდაპირ ან არაპირდაპირ რაიმე ფასეული ნივთის შეთავაზებას, მიცემას, აღებას ან მოთხოვნას, რაც არასათანადო ზეგავლენას მოახდენს მეორე მხარის ქმედებაზე;
- (2) “თაღლითობა” ნიშნავს განზრახ ან წინდაუხედაობით ფაქტების გამოტოვებას ან არასწორ ინტერპრეტაციას, იმისთვის, რომ მხარემ მიიღოს ფინანსური, ან სხვა სახის სარგებელი, ან თავიდან მოხდეს პასუხისმგებლობის აღების თავიდან აცილება;
- (3) “ზეწოლა” ნიშნავს პირდაპირ ან არაპირდაპირ დაზიანებას ან დაზიანების მუქარას მხარის, ან მათი ქონების მისამართით, რათა მოხდეს არასათანადო ზეგავლენა მხარის მიერ განხორციელებულ საქმიანობაზე;
- (4) “საიდუმლო გარიგება” ნიშნავს საიდუმლო გარიგებას ორ ან მეტ მხარეს შორის, არასათანადო მიზნის მისაღწევად, მათ შორის მეორე მხარის საქმიანობაზე არასათანადო ზემოქმედების მიღწევის მიზნით; და
- (5) „ქურდობა“ გულისხმობს მეორე მხარის მფლობელობაში არსებული საკუთრების არაკანონიერ მითვისებას.

(b) შეწყვეტს დანადგარის და აღჭურვილობის, სამუშაოების, მომსახურების, ან კონცესიების კონტრაქტის NEFCO-ს ნაწილის დაფინანსებას იმ შემთხვევაში, თუ ნებისმიერ დროს გაირკვევა, რომ აკრძალულ საქმიანობაში ჩართულები არიან სესხის ამღების წარმომადგენლები, ან NEFCO-ს დაფინანსების ბენეფიციარის წარმომადგენლები, შესყიდვების, ან აღნიშნული კონტრაქტის განხორციელების პროცესში, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ სესხის ამღებს არ განუხორციელებია დროული და სათანადო რეაგირება, რაც დამაკმაყოფილებელი იქნებოდა NEFCO-სთვის, შექმნილი მდგომარეობის გამოსასწორებლად;

(c) კომპანია, რომელსაც უნდა მიენიჭოს NEFCO-ს დაფინანსებული კონტრაქტი, შესაძლოა გამოცხადდეს NEFCO-ს მიერ არა უფლებამოსილად განუსაზღვრელი ვადით, ან დროის გარკვეული მონაკვეთით, იმ შემთხვევაში, თუ გაირკვევა, რომ აღნიშნული კომპანია ეწეოდა აკრძალულ საქმიანობას NEFCO-ს მიერ დაფინანსებული კონტრაქტისთვის გამოცხადებულ ტენდერში მონაწილეობისას, ან აღნიშნული კონტრაქტის განხორციელების პროცესში; და

(d) იმ შემთხვევაში, თუ სესხის ამღები, ან კომპანია, იურიდიული პროცესის საბოლოო განაჩენით, აღმოჩნდება NEFCO-ს წევრ ქვეყანაში, ან სხვა საერთაშორისო ორგანიზაციის, მათ შორის აღსრულების დაწესებულებების აღსრულების (ან მსგავსი) მექანიზმების საშუალებით აღმოჩნდება, რომ ის ჩართულია აკრძალულ საქმიანობაში, NEFCO იტოვებს უფლებას, რომ

- (i) ასეთი სესხის ამღებს გაუუქმოს NEFCO-ს დაფინანსება მთლიანად, ან ნაწილობრივ; და
- (ii) განაცხადოს NEFCO-ს მიერ დაფინანსებული კონტრაქტის მინიჭებაზე მსგავსი კომპანიის არა უფლებამოსილების შესახებ და აღნიშნული არა უფლებამოსილება გამოაცხადოს განუსაზღვრელი ვადით, ან დროის გარკვეული მონაკვეთით.

#### **4. უფლებამოსილება**

**4.1.** კონტრაქტორს და მის ქვე-კონტრაქტორებს უნდა ჰქონდეთ უფლებამოსილი ქვეყნის ნაციონალობა. კონტრაქტორი და ქვე-კონტრაქტორი მიიჩნევა ქვეყნის ეროვნების

მქონედ, იმ შემთხვევაში, თუ ის არის მოქალაქე, ან დაფუძნებულია, გაერთიანებულია, ან რეგისტრირებულია და მუშაობს აღნიშნული ქვეყნის კანონმდებლობით განსაზღვრული დებულებების შესაბამისად.

**4.2.** NEFCO-ს დაფინანსებული ხელშეკრულების ფარგლებში მოსაწოდებელი ყველა დანადგარის და აღჭურვილობის და შესაბამისი მომსახურების, თავდაპირველი ქვეყანა უნდა იყოს უფლებამოსილი ქვეყნების სიიდან. აღნიშნული პუნქტის მიზნებისთვის, თავდაპირველი ქვეყანა გულისხმობს ქვეყენას, სადაც მოხდა დანადგარის და აღჭურვილობის შექმნა, მოპოვება, დამუშავება, წარმოება, დამზადება, ან დამუშავება; ან წარმოების, დამუშავების, ან კომპლექტის სახით სხვა, კომერციულად აღიარებული საგანი, რაც არსებითად განსხვავდება მისი ძირითადი მახასიათებლების მიხედვით, მისი კომპონენტებისაგან.

## **5. შეტყობინებები**

**5.1.** კონტრაქტის თანახმად, ერთი მხარის მიერ მეორე მხარისთვის გაგზავნილი წერილობითი შეტყობინება, კონტრაქტის განსაკუთრებულ პირობებში მითითებულ მისამართზე უნდა იქნას გაგზავნილი. ტერმინი „წერილობითი“ გულისხმობს წერილობითი ფორმით კომუნიკაციას, მიღების დადასტურებით.

**5.2.** შეტყობინება ძალაში შედის შეტყობინების გადაცემის, ან შეტყობინების ძალაში შესვლის დღეს, რომელიც დადგება უფრო გვიან.

## **6. დავების მოგვარება**

**6.1.** დამკვეთმა და კონტრაქტორმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, კონტრაქტის ფარგლებში, ან კონტრაქტთან დაკავშირებით, მათ შორის წარმოქმნილი ნებისმიერი დავის მშვიდობიანად მოსაგვარებლად - პირდაპირი და არაოფიციალური მოლაპარაკების გზით.

**6.2.** იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული კონსულტაციის დაწყებიდან ოცდარვა (28) დღის ვადაში, მხარეები ვერ შეძლებენ მათ შორის არსებული დავის მოგვარებას ორმხრივი კონსულტაციის გზით, ერთმა მხარემ უნდა აცნობოს მეორე მხარეს, სადავო საკითხთან დაკავშირებით არბიტრაჟის დაწყების გადაწყვეტილების შესახებ, რადგან არბიტრაჟი ვერ დაიწყება აღნიშნული შეტყობინების გაგზავნის გარეშე. ნებისმიერი დავა, რომელთან დაკავშირებითაც შეტყობინება არბიტრაჟის დაწყების შესახებ გაიცემა მოცემული პუნქტის შესაბამისად, საბოლოოდ გადაწყდება არბიტრაჟის მიერ. არბიტრაჟის პროცესი წარმართება კონტრაქტის განსაკუთრებული პირობებით განსაზღვრული პროცედურული რეგულაციების შესაბამისად.

**6.3.** არბიტრაჟთან დაკავშირებით ზემოთ წარმოდგენილი ინფორმაციის მიუხედავად:

(a) მხარეები ვალდებული არიან, რომ გააგრძელონ კონტრაქტით დაკისრებული მოვალეობების შესრულება, იმ შემთხვევაში თუ ისინი არ შეთანხმდებიან სხვაგვარად და

(b) დამკვეთი ვალდებულია, რომ გადაუხადოს კონტრაქტორს მისთვის გადასახდელი თანხა.

## **7. სამუშაოების მოცულობა**

**7.1.** დანადგარის და აღჭურვილობის და შესაბამისი სამუშაოების მოწოდება უნდა მოხდეს დამკვეთის მოთხოვნების V თავის შესაბამისად.

## **8. მოწოდება**

**8.1.** კონტრაქტის ზოგადი პირობების 27.1 პუნქტის თანახმად, დანადგარის და აღჭურვილობის მოწოდება და შესაბამისი სამუშაოების დასრულება უნდა განხორციელდეს დამკვეთის მოთხოვნების VI თავის მოწოდების და დასრულების

გრაფიკის შესაბამისად. კონტრაქტორის მიერ წარმოსადგენი გადაზიდვის (შიპინგის) და სხვა დოკუმენტები, განსაზღვრულია კონტრაქტის განსაკუთრებული პირობებით. აღნიშნული დოკუმენტები დამკვეთმა უნდა მიიღოს დანადგარის და აღჭურვილობის მიღებამდე, მიუღებლობის შემთხვევაში, ყველა შესაძლო ხარჯებზე ვალდებულება ეკისრება კონტრაქტორს.

## **9. კონტრაქტორის პასუხისმგებლობა**

**9.1.** კონტრაქტორმა უნდა უზრუნველყოს დანადგარის და აღჭურვილობის მოწოდება და შესაბამისი სამუშაოების, მათ შორის სამუშაოების მოცულობებით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულება, კონტრაქტის ზოგადი პირობების მე-7 პუნქტის შესაბამისად, ხოლო მოწოდების და დასრულების გრაფიკი - კონტრაქტის ზოგადი პირობების 8 მიხედვით.

## **10. კონტრაქტის ფასი**

**10.1.** კონტრაქტის ფასი უნდა იყოს ფიქსირებული კონტრაქტის განხორციელების განმავლობაში, იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული საკითხი სხვაგვარად არ არის განსაზღვრული კონტრაქტის განსაკუთრებული პირობებით.

**10.2.** კონტრაქტის ფასის გადახდა უნდა მოხდეს კონტრაქტის განსაკუთრებული პირობებით დადგენილი წესით.

## **11. გადახდის პირობები**

**11.1.** კონტრაქტორის წერილობით თხოვნა გადახდაზე გაეგზავნება დამკვეთს, რასაც თან უნდა ახლდეს ინვოისები, სადაც საჭიროებისამებრ ასახული იქნება მიწოდებული დანადგარი და აღჭურვილობა და შესრულებული სამუშაოები, ასევე კონტრაქტის ზოგადი პირობებით (8) განსაზღვრული დოკუმენტები, კონტრაქტით განსაზღვრული სხვა ვალდებულებების განხორციელების საფუძველზე.

გადახდა განხორციელდება კონტრაქტის განსაკუთრებული პირობებით განსაზღვრული გრაფიკის შესაბამისად.

**11.2.** გადახდები დაუყოვნებლივ განხორციელდება დამკვეთის მიერ, დამკვეთის მიერ ინვოისის მიღებიდან, ან კონტრაქტორის მიერ გადახდის მოთხოვნის წარმოდგენიდან არა უგვიანეს ოცდაათი (30) დღის ვადაში.

**11.3.** ვალუტა, რაშიც უნდა მოხდეს გადახდების განხორციელება კონტრაქტორის მიმართ, აღნიშნული კონტრაქტის ფარგლებში, იქნება ის ვალუტა, რომელშიც სატენდერო ფასი იქნა გამოხატული.

**11.4.** საავანსო გადახდა: დამკვეთმა კონტრაქტორს უნდა გადაუხადოს ავანსი იმ ოდენობით და იმ დღეს, რომელიც მითითებულია კონტრაქტის განსაკუთრებულ პირობებში, კონტრაქტორის მიერ **უპირობო საბანკო გარანტიის** წარმოდგენის საფუძველზე, რომელიც გაცემული უნდა იყოს დამკვეთისათვის მისაღები ფორმით და დამკვეთისათვის მისაღები ბანკის მიერ ავანსის თანხის ოდენობით და ავანსის ვალუტაში.

კონტრაქტორმა ავანსი უნდა გამოიყენოს მხოლოდ აღნიშნული კონტრაქტის შესრულებისთვის საჭირო საპროექტო მომსახურების, აღჭურვილობის, დანადგარის, მასალების და შესაბამისი სამუშაოების ხარჯების დასაფარად. დამკვეთისათვის მისაღები ფორმისა და შემადგენლობის ინვოისების და სხვა დოკუმენტების ასლების დამკვეთისათვის წარდგენის საშუალებით, კონტრაქტორმა უნდა აჩვენოს, რომ საავანსო გადახდა აღნიშნული მიზნებისათვის იყო გამოყენებული.

## **12. გადასახადები და მოსაკრებელი**

**12.1.** დამკვეთის ქვეყნის გარეთ წარმოებულ დანადგართან და აღჭურვილობასთან მიმართებაში, კონტრაქტორი ვალდებულია, რომ სრულად დაფაროს დამკვეთის ქვეყნის



საზღვრებს გარეთ დაკისრებული ყველა გადასახადი, მოსაკრებელი, სალიცენზიო და თუ ყველა სხვა მსგავსი სახის მოსაკრებელი.

- 12.2. დამკვეთის ქვეყანაში წარმოებულ დანადგართან და აღჭურვილობასთან მიმართებაში, კონტრაქტორი ვალდებულია, რომ სრულად დაფაროს დამკვეთისათვის კონტრაქტით გათვალისწინებული დანადგარისა და აღჭურვილობის მიწოდებამდე დაკისრებული ყველა გადასახადი, მოსაკრებელი, სალიცენზიო გადასახადი და სხვ.
- 12.3. იმ შემთხვევაში, თუ დამკვეთის ქვეყანაში კონტრაქტორისთვის ხელმისაწვდომი იქნება გარკვეული გადასახადებისაგან გათავისუფლება, შეღავათები, შემცირებები, ან პრივილეგიები, დამკვეთი ყველანაირად უნდა ეცადოს, რომ კონტრაქტორმა შეძლოს აღნიშნული საგადასახადო დანაზოგის მაქსიმალური მოცულობით მიღება.

### 13. შესრულების გარანტია

- 13.1. კონტრაქტის განსაკუთრებული პირობებით განსაზღვრული მოთხოვნის შემთხვევაში, კონტრაქტის მინიჭების შესახებ შეტყობინების მიღებიდან ოცდარვა (28) დღის განმავლობაში, კონტრაქტორმა უნდა წარმოადგინოს კონტრაქტის შესრულების გარანტია, კონტრაქტის განსაკუთრებული პირობებით განსაზღვრული თანხის მოცულობით.  
იმ შემთხვევაში, თუ შესრულების გარანტიას გასცემს დამკვეთის ქვეყნის ფარგლებს გარეთ არსებული ფინანსური დაწესებულება, შესრულების გარანტია, აღნიშნული გარანტიის ძალაში შესვლის მიზნით, უნდა დაამტკიცოს დამკვეთის ქვეყანაში არსებულმა შესაბამისმა ფინანსურმა ორგანიზაციამ, რომელიც მისაღები იქნება დამკვეთისათვის.
- 13.2. მოთხოვნის შემთხვევაში და კონტრაქტის ზოგადი პირობების 13.1 პუნქტის შესაბამისად, შესრულების გარანტია წარმოდგენილი უნდა იყოს კონტრაქტის ვალუტაში, ან დამკვეთისთვის მისაღებ თავისუფლად კონვერტირებად ვალუტაში, და წარმოდგენილი უნდა იყოს დამკვეთის მიერ კონტრაქტის განსაკუთრებული პირობებით განსაზღვრული ერთ-ერთი ფორმით, ან დამკვეთისთვის მისაღები სხვა ფორმით.
- 13.3. შესრულების გარანტიის თანხის გადახდა დამკვეთის მიმართ უნდა მოხდეს კომპენსაციის სახით იმ ზარალისთვის, რაც შესაძლოა გამოიწვიოს კონტრაქტორის მიერ კონტრაქტით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობამ.
- 13.4. შესრულების გარანტია დამკვეთის მიერ დაუბრუნდება კონტრაქტორს, კონტრაქტით გათვალისწინებული ვალდებულებების, მათ შორის საგარანტიო ვალდებულებების შესრულებიდან არა უგვიანეს ოცდარვა (28) დღის ვადაში.

### 14. ქვე-კონტრაქტები

- 14.1. კონტრაქტორმა წერილობით უნდა აცნობოს დამკვეთს კონტრაქტის ფარგლებში გაფორმებული ყველა ქვე-კონტრაქტის შესახებ, თუ აღნიშნული საკითხი უკვე არ არის დაზუსტებული ტენდერით. აღნიშნული შეტყობინება, თავდაპირველ ტენდერში, თუ მოგვიანებით, არ გაათავისუფლებს კონტრაქტორს კონტრაქტით მასზე დაკისრებული ვალდებულებებისა თუ მოვალეობებისაგან.
- 14.2. ქვე-კონტრაქტები შესაბამისობაში უნდა იყოს კონტრაქტის ზოგადი პირობების 3 და 4 დებულებებთან.

### 15. სპეციფიკაციები და სტანდარტები

- 15.1.
  - (a) კონტრაქტორმა უნდა უზრუნველყოს დანადგარის და აღჭურვილობის და შესაბამისი მომსახურების შესაბამისობა დამკვეთის მოთხოვნების V ნაწილით განსაზღვრულ ტექნიკურ მოთხოვნებთან.

(b) კონტრაქტორს აქვს უფლება, რომ მოიხსნას პასუხისმგებლობა დამკვეთის მიერ, ან დამკვეთის სახელით მომზადებულ ან წარმოდგენილ პროექტზე, მონაცემებზე, ნახაზზე, სპეციფიკაციასა თუ სხვა დოკუმენტზე, ან ცვლილებაზე. პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების შესახებ კონტრაქტორმა წერილობით უნდა აცნობოს დამკვეთს.

(c) კონტრაქტში მითითებულია კოდექსები და სტანდარტები, რომელთან შესაბამისობაშიც უნდა მოხდეს (კონტრაქტით გათვალისწინებული სამუშაოების) განხორციელება. აღნიშნული კოდექსების და სტანდარტების დამატება, ან კორექტირებული ვერსია დაზუსტებული უნდა იყოს დამკვეთის მოთხოვნების V ნაწილში. კონტრაქტის განხორციელების პროცესში, აღნიშნული კოდექსების და სტანდარტების ცვლილებების გამოყენება უნდა მოხდეს მხოლოდ დამკვეთის დამტკიცების შემდეგ და განხილულ უნდა იქნას კონტრაქტის ზოგადი პირობების 26 შესაბამისად.

## **16. შეფუთვა და დოკუმენტები**

**16.1.** კონტრაქტორმა უნდა უზრუნველყოს დანადგარის და აღჭურვილობის საჭიროებისამებრ შეფუთვა, საბოლოო დანიშნულების ადგილამდე ტრანზიტის დროს მათი დაზიანების, ან მდგომარეობის გაუარესების თავიდან ასაცილებლად, როგორც ეს კონტრაქტით არის გათვალისწინებული. ტრანზიტის დროს, შეფუთვა ისე უნდა იყოს უზრუნველყოფილი, რომ გაუძლოს, შეუზღუდავად, უხემ მოპყრობას და უკიდურესი ტემპერატურის ქვეშ ყოფნას, ასევე ატმოსფერულ ნალექს და ღია სივრცეში ყოფნას. აუცილებელი იქნება შეფუთვის ქეისის ზომის და წონის გათვალისწინება, საჭიროების შემთხვევაში, ასევე დანადგარის და აღჭურვილობის საბოლოო დანიშნულების ადგილის სიმორე და ტრანზიტის ყველა პუნქტში მძიმე საქონლის დამტვირთავ-განმტვირთავი მოწყობილობის არ არსებობა.

**16.2.** შეფუთვა, მარკირება და დოკუმენტაცია პაკეტების შიგნით და პაკეტებზე, აუცილებლად უნდა აკმაყოფილებდეს კონტრაქტით გათვალისწინებულ კონკრეტულ მოთხოვნებს, მათ შორის დამატებით მოთხოვნებს, ასეთი მოთხოვნების არსებობის შემთხვევაში, რაც განსაზღვრული იქნება კონტრაქტის განსაკუთრებული პირობებით, ასევე აუცილებელი იქნება დამკვეთის მიერ გაცემული ინსტრუქციების დაცვა.

## **17. დაზღვევა**

**17.1.** კონტრაქტის ფარგლებში მოწოდებული დანადგარის და აღჭურვილობის დაზღვევა აუცილებლობას წარმოადგენს. დაზღვევა უნდა განხორციელდეს უფლებამოსილ ქვეყანაში და თავისუფლად კონვერტირებად ვალუტაში, შემთხვევითი თუ საწარმოო დაზიანების, ან ზარალის მიმართ, ან შეძენასთან, ტრანსპორტირებასთან, შენახვასთან და მიწოდებასთან დაკავშირებით. დაზღვევის განხორციელება უნდა მოხდეს მოქმედი ინკოტერმის შესაბამისად, ან კონტრაქტის განსაკუთრებული პირობებით განსაზღვრული ფორმით.

## **18. ტრანსპორტირება**

**18.1.** დანადგარის და აღჭურვილობის ტრანსპორტირების უზრუნველყოფის პასუხისმგებლობა განისაზღვრება დაზუსტებული ინკოტერმის შესაბამისად, იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული საკითხი სხვაგვარად არ არის განსაზღვრული კონტრაქტის განსაკუთრებული პირობებით.

## **19. შემოწმება და გამოცდები**

- 19.1.** კონტრაქტორი ვალდებულია, რომ განახორციელოს კონტრაქტის განსაკუთრებული პირობებით, დანადგარისა და აღჭურვილობისათვის და შესაბამისი მომსახურებისთვის განსაზღვრული გამოცდების და/ან შემოწმებების ჩატარება, საკუთარი ხარჯებით და დამკვეთის ფინანსური ჩართულობის გარეშე.
- 19.2.** ინსპექტირება და გამოცდები შესაძლოა ჩატარდეს კონტრაქტორის, ან მისი ქვე-კონტრაქტორის შენობა-ნაგებობებზე, მიწოდების პუნქტში და/ან დანადგარის და აღჭურვილობის საბოლოო დანიშნულების ადგილას, ან დამკვეთის ქვეყნის სხვა რომელიმე პუნქტში, რაც განისაზღვრება კონტრაქტის განსაკუთრებული პირობებით. კონტრაქტის ზოგადი პირობების 19.3 თანახმად, კონტრაქტორის, ან მისი ქვე-კონტრაქტორის ნაგებობებზე გამოცდების ჩატარების შემთხვევაში, ყველა სახის საჭირო მოწყობილობა და დახმარება, მათ შორის ხელმისაწვდომობა ნახაზებსა და წარმოების მონაცემებზე, უზრუნველყოფილი იქნება ინსპექტორებისათვის, დამკვეთის ფინანსური ჩართულობის გარეშე.
- 19.3.** დამკვეთს, ან მის მიერ დანიშნულ წარმომადგენელს აქვს უფლება, რომ დაესწროს გამოცდებს და/ან შემოწმებებს, კონტრაქტის ზოგადი პირობების 19.2 შესაბამისად, იმ ფაქტის უზრუნველყოფით, რომ დამკვეთი უზრუნველყოფს მის დასწრებასთან დაკავშირებული საკუთარი ხარჯების, მათ შორის, ყველა სახის მგზავრობის და კვების და (სასტუმროში) ცხოვრების ხარჯების დაფარვას.
- 19.4.** როდესაც კონტრაქტორი მზად იქნება აღნიშნული გამოცდის და შემოწმების ჩასატარებლად, ის დამკვეთს გაუგზავნის წინასწარ შეტყობინებას, შესაბამისი ადგილის და დროის მითითებით. კონტრაქტორმა შესაბამისი მხარის, ან მწარმოებლისგან უნდა მიიღოს საჭირო ნებართვა, ან თანხმობა, რაც შესაძლებლობას მისცემს დამკვეთს, ან მის დანიშნულ წარმომადგენელს, რომ დაესწროს გამოცდას და/ან შემოწმების პროცესს.
- 19.5.** დამკვეთს შეუძლია მოითხოვოს კონტრაქტორისგან გამოცდის და/ან შემოწმების განხორციელება, რაც კონტრაქტით არ არის აუცილებელი, მაგრამ ჩაითვლება საჭიროდ რათა შემოწმდეს, რომ დანადგარის და აღჭურვილობის მახასიათებლები და შესრულება შეესაბამება სპეციფიკაციების კოდექსებს და კონტრაქტით გათვალისწინებულ სტანდარტებს, იმ ფაქტის უზრუნველყოფით, რომ მსგავსი ტესტის და/ან შემოწმების განხორციელების პროცესში კონტრაქტორის მიერ გაწეული დასაბუთებული ხარჯები, დაემატება კონტრაქტის ფასს. გარდა ამისა, იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული ტესტის და/ან შემოწმების განხორციელება აფერხებს კონტრაქტით განსაზღვრული ვალდებულებების განხორციელებას კონტრაქტორის მიერ, წარმოების და/ან სამუშაოების შესრულების პროცესში, მოხდება მიწოდების თარიღების და დასრულების თარიღების სათანადო კორექტირება, შესაბამის ვალდებულებებთან ერთად.
- 19.6.** კონტრაქტორმა უნდა წარუდგინოს დამკვეთს აღნიშნული გამოცდების და/ან შემოწმების შედეგების ამსახველი ანგარიში.
- 19.7.** დამკვეთს შეუძლია დაიწუნოს ნებისმიერი დანადგარი და აღჭურვილობა, ან აღნიშნული დანადგარისა და აღჭურვილობის რომელიმე ნაწილი, რომელიც ვერ გაივლის გამოცდას და/ან შემოწმებას, ან არ დააკმაყოფილებს სპეციფიკაციების მოთხოვნებს. კონტრაქტორმა უნდა გამოასწოროს, ან შეცვალოს აღნიშნული, დაწუნებული დანადგარი და აღჭურვილობა, ან აღნიშნული დანადგარისა და აღჭურვილობის რომელიმე ნაწილი, ან შეიტანოს შესაბამისი კორექტირება (ცვლილება), სპეციფიკაციების დასაკმაყოფილებლად - დამკვეთის ფინანსური ჩართულობის გარეშე და გაიმეოროს გამოცდა და/ან შემოწმება, დამკვეთის მიერ ხარჯების დაფარვის გარეშე, აღნიშნული კონტრაქტის შესაბამისად, შესაბამისი შეტყობინების გამოცემის საფუძველზე.
- 19.8.** კონტრაქტორი თანახმაა, რომ დანადგარის და აღჭურვილობის, ან აღნიშნული დანადგარის და აღჭურვილობის რომელიმე ნაწილის გამოცდა და/ან შემოწმება, ასევე დამკვეთის, ან მისი წარმომადგენლის დასწრება და კონტრაქტის ზოგადი პირობების

19.6 თანახმად ანგარიშის გამოცემა, არ ათავისუფლებს კონტრაქტორს კონტრაქტით გათვალისწინებული გარანტიებისა, თუ ვალდებულებებისგან.

**19.9.** დამკვეთმა დეფექტების შესახებ უნდა შეატყობინოს კონტრაქტორს დეფექტებზე პასუხისმგებლობის პერიოდის დასრულებამდე, რაც იწყება დასრულების დღეს და განსაზღვრება კონტრაქტის განსაკუთრებული პირობებით. დეფექტებზე პასუხისმგებლობის პერიოდის ვადა გადაიწვეს დეფექტების აღმოფხვრამდე.

**19.10.** დეფექტის შესახებ შეტყობინების გაგზავნისას, ყოველთვის, კონტრაქტორმა უნდა გამოასწოროს დეფექტი, დამკვეთის მიერ დეფექტის შესახებ გაცემული შეტყობინებით განსაზღვრული დროის მონაკვეთში.

## **20. საჯარიმო პირგასამტეხლო**

**20.1.** კონტრაქტის ზოგადი პირობების 27 დებულების გარდა, იმ შემთხვევაში, თუ კონტრაქტორი ვერ უზრუნველყოფს დანადგარის და აღჭურვილობის გარკვეული ნაწილის, ან დანადგარის და აღჭურვილობის სრულად მიწოდებას მიწოდებისთვის განსაზღვრულ ვადაში (ვადებში), ან ვერ უზრუნველყოფს შესაბამისი მომსახურების შესრულებას კონტრაქტით განსაზღვრული დროის მონაკვეთში, დამკვეთს შეუძლია, კონტრაქტის სხვა პირობების დარღვევის გარეშე, საჯარიმო პირგასამტეხლოს სახით გამოეკეთოს კონტრაქტის ფასიდან თანხა. აღნიშნული თანხა უნდა იყოს კონტრაქტის განსაკუთრებული პირობებით განსაზღვრული საკონტრაქტო ფასის იმ პროცენტის ეკვივალენტი, რაც დადგენილია თითოეული დაყოფიებული კვირისთვის, ან შესაბამისი ნაწილისთვის, ფაქტიურ მიწოდებამდე, ან (სამუშაოების) შესრულებამდე - კონტრაქტის განსაკუთრებული პირობებით განსაზღვრული პროცენტის მაქსიმალურ დაქვითვამდე. მაქსიმალური მოცულობის მიღწევის შემთხვევაში, დამკვეთს შეუძლია კონტრაქტის შეწყვეტა, კონტრაქტის ზოგადი პირობების 28 შესაბამისად.

## **21. გარანტია**

**21.1.** კონტრაქტორი იძლევა გარანტიას, რომ ყველა დანადგარი და აღჭურვილობა არის ახალი, გამოუყენებელი, და უახლესი, ან მიმდინარე მოდელის და მათში გათვალისწინებული პროექტის და მასალების უახლესი მიღწევები, თუ აღნიშნული საკითხი სხვაგვარად არ არის განსაზღვრული კონტრაქტით.

**21.2.** კონტრაქტის ზოგადი პირობების 15.1 (ბ) თანახმად, კონტრაქტორი იძლევა გარანტიას, რომ დანადგარს და აღჭურვილობას არ აქვს კონტრაქტორის რაიმე სახის მოქმედებით, ან დაუდევრობით განპირობებული, ან პროექტით, მასალების და დამუშავებით გამოწვეული რაიმე სახის დეფექტი და ჩვეულებრივ გამოიყენება საბოლოო დანიშნულების ქვეყანაში არსებულ პირობებში.

**21.3.** იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული საკითხი სხვაგვარად არ არის განსაზღვრული კონტრაქტის განსაკუთრებული პირობებით, გარანტია ქმედითუნარიანი იქნება დანადგარის და აღჭურვილობის, ან დანადგარის და აღჭურვილობის რომელიმე ნაწილის - სიტუაციის მიხედვით, მიღებიდან და კონტრაქტის განსაკუთრებული პირობების მიხედვით საბოლოო დანიშნულების ადგილზე მიღებიდან, ოცდაოთხი (24) თვის განმავლობაში.

**21.4.** დამკვეთმა უნდა აცნობოს კონტრაქტორს ასეთი დეფექტის არსებობის და ხასიათის შესახებ, და მიაწოდოს მას მის ხელთ არსებული და ყველა სახის ხელმისაწვდომი და შესაბამისი მტკიცებულება, აღნიშნული დეფექტის აღმოჩენისთანავე. დამკვეთმა უნდა უზრუნველყოს კონტრაქტორი, ასეთი დეფექტების შემოწმების შესაძლებლობით.

**21.5.** აღნიშნული შეტყობინების მიღების შემდეგ, კონტრაქტის ზოგადი პირობებით განსაზღვრული პერიოდის განმავლობაში, კონტრაქტორმა უნდა უზრუნველყოს დეფექტური დანადგარის და აღჭურვილობის, ან დეფექტური ნაწილის სასწრაფოდ შეკეთება, ან გამოცვლა, დამკვეთის მიერ ფინანსური ხარჯების გაწევის გარეშე.

იმ შემთხვევაში, თუ შეტყობინების მიღების მიუხედავად, კონტრაქტორი ვერ უზრუნველყოფს დეფექტის აღმოფხვრას კონტრაქტის ზოგადი პირობებით განსაზღვრულ დროის მონაკვეთში, დამკვეთს შეუძლია აიღოს გონივრული ვადა აღნიშნული მაკორექტირებელი საქმიანობისათვის, საჭიროების შესაბამისად - კონტრაქტორის რისკის ქვეშ და მისივე ხარჯებით და იმ უფლებების შეზღუდვის გარეშე, რაც შესაძლოა დამკვეთს ჰქონდეს კონტრაქტორთან მიმართებაში და კონტრაქტის ფარგლებში.

## **22. ზარალის ანაზღაურება პატენტის დარღვევის შემთხვევაში**

**22.1.** დამკვეთის კონტრაქტის ზოგად პირობებთან 22.2 შესაბამისობის თანახმად, კონტრაქტორი ვალდებულია, რომ უზრუნველყოს დამკვეთის და მისი თანამშრომლებისა და ოფიცრებისთვის ზარალის ანაზღაურების გარანტია და ზარალის თავიდან აცილება ნებისმიერი და ყველა სახის სასამართლო დევნასთან, ქმედებასთან, ან ადმინისტრაციულ საქმეებთან მიმართებაში, ასევე პრეტენზიებთან, მოთხოვნებთან, ზარალთან, დაზიანებასთან, ღირებულებასთან და ხარჯებთან, მათ შორის ადვოკატის გადასახადთან და ხარჯებთან დაკავშირებით, რაც შესაძლოა დაეკისროს დამკვეთს რომელიმე პატენტის, საწარმოო ნიმუშის, რეგისტრირებული პროექტის, სავაჭრო ნიშნის, საავტორო უფლების, ან სხვა ინტელექტუალური საკუთრების რეგისტრირებული უფლების დარღვევის, ან შესაძლო დარღვევის შედეგად, ან კონტრაქტის გაფორმების თარიღისთვის, შემდეგი მიზეზით:

- (a) დანადგარის და აღჭურვილობის მონტაჟი კონტრაქტორის მიერ, ან დანადგარის და აღჭურვილობის გამოყენება იმ ქვეყანაში, სადაც ობიექტია განთავსებულ; და
- (b) გაყიდვა დანადგარის და აღჭურვილობის წარმოებული პროდუქტების ნებისმიერ ქვეყანაში.

აღნიშნული ზარალის ანაზღაურების გარანტია არ დაფარავს დანადგარის და აღჭურვილობის, ან დანადგარის და აღჭურვილობის რომელიმე ნაწილის გამოყენებას კონტრაქტით გათვალისწინებულის გარდა, სხვა მიზნებისთვის, და არც ისეთ დარღვევას, რაც გამოწვეული იქნება დანადგარის და აღჭურვილობის, ან დანადგარის და აღჭურვილობის ნაწილის, ან სხვა აღჭურვილობასთან, დანადგართან, ან მასალებთან კომბინაციის შედეგად წარმოებული პროდუქციის გამოყენებით, რაც არ მოუწოდებია კონტრაქტორს, კონტრაქტის შესაბამისად.

**22.2.** კონტრაქტის ზოგადი პირობების 22.1. თანახმად, დამკვეთის წინააღმდეგ რაიმე პროცესუალური საქმის წარმოების, ან საჩივრის შემთხვევაში, დამკვეთმა დაუყონებლივ უნდა აცნობოს კონტრაქტორს აღნიშნულის შესახებ და კონტრაქტორს შეუძლია საკუთარი ხარჯებით და დამკვეთის სახელით, აწარმოოს აღნიშნული პროცესუალური საქმეები, ან საჩივარი და ნებისმიერი სახის მოლაპარაკება, ნებისმიერი საქმის წარმოების, ან საჩივრის მოსაგვარებლად.

**22.3.** იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული შეტყობინების მიღებიდან ოცდარვა დღის (28) ვადაში, კონტრაქტორი არ აცნობებს დამკვეთს, რომ ის აპირებს აღნიშნული პროცესუალური საქმის, ან საჩივრის წარმოებას, დამკვეთს შეუძლია იგივეს გაკეთება, საკუთარი სახელით.

კონტრაქტორის თხოვნის შემთხვევაში, დამკვეთი ყველა სახით უნდა დაეხმაროს კონტრაქტორს, აღნიშნული პროცესუალური საქმის, ან საჩივრის წარმოების პროცესში, ხოლო კონტრაქტორმა დამკვეთს უნდა აუნაზღაუროს ყველა დასაბუთებული ხარჯი, რაც მან გაწია აღნიშნული დახმარების პროცესში.

დამკვეთი ვალდებულია, რომ უზრუნველყოს კონტრაქტორის და მისი თანამშრომლებისა და ოფიცრებისთვის და ქვე-კონტრაქტორებისთვის ზარალის ანაზღაურების გარანტია და ზარალის თავიდან აცილება ნებისმიერი და ყველა სახის სასამართლო საქმისწარმოებასთან, ქმედებასთან, ან ადმინისტრაციულ საქმეებთან მიმართებაში, ასევე პრეტენზიებთან, მოთხოვნებთან, ზარალთან, დაზიანებასთან, ღირებულებასთან და ხარჯებთან, მათ შორის

ადვოკატის გადასახადთან და ხარჯებთან დაკავშირებით, რაც შესაძლოა დაეკისროს კონტრაქტორს რომელიმე პატენტის, საწარმოო ნიმუშის, რეგისტრირებული პროექტის, სავაჭრო ნიშნის, საავტორო უფლების, ან სხვა ინტელექტუალური საკუთრების რეგისტრირებული უფლების დარღვევის, ან შესაძლო დარღვევის შედეგად, ან კონტრაქტის გაფორმების თარიღისთვის, რაც შესაძლოა დაკავშირებული იყოს, ან განპირობებული იყოს დამკვეთის მიერ, ან დამკვეთის სახელით, მოწოდებული, ან შექმნილი პროექტის, მონაცემების, ნახაზების, სპეციფიკაციის, ან სხვა დოკუმენტების თუ მასალების გამო.

### **23. პასუხისმგებლობის შეზღუდვა**

**23.1.** უხეში დაუდევრობის ან მიზანმიმართული დარღვევის შემთხვევების გარდა:

- (a) კონტრაქტორი არ იქნება პასუხისმგებელი დამკვეთის მიმართ, კონტრაქტის ფარგლებში, ან კონტრაქტის ფარგლებს გარეთ, თუ სხვა მიზეზით, არაპირდაპირი, ან ირიბი ზარალის, ან ზიანის, საქმიანობის გაჩერების, წარმოების დანაკარგის, ან სარგებელის დანაკარგის თუ პროცენტების ხარჯებთან მიმართებაში, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ აღნიშნული გამონაკლისი არ ეხება კონტრაქტორის მიერ დამკვეთისთვის საჯარიმო პირგასამტეხლოს გადახდის ვალდებულებას; და
- (b) კონტრაქტორის ერთობლივი (ჯგუფური) ვალდებულება დამკვეთის მიმართ, კონტრაქტის ფარგლებში, თუ კონტრაქტის ფარგლებს გარეთ, არ უნდა აღემატებოდეს კონტრაქტის ღირებულებას, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ აღნიშნული შეზღუდვა არ უნდა შეეხოს დეფექტური აღჭურვილობის შეკეთების, ან შეცვლის ღირებულებას, ან კონტრაქტორის ვალდებულებას დამკვეთის მიმართ, ზარალის ანაზღაურების გარანტირების შესახებ, პატენტის უფლების დარღვევასთან დაკავშირებით.

### **24. ცვლილებები კანონებსა და რეგულაციებში**

**24.1.** იმ შემთხვევაში, თუ ტენდერის წარმოდგენამდე ოცდარვა (28) დღით ადრე, მოხდება რომელიმე კანონის, რეგულაციის, განკარგულების, ბრძანების, ან რეგლამენტის ძალაში შესვლა, გამოქვეყნება, ანულირება, ან ცვლილება დამკვეთის ქვეყანაში, სადაც ობიექტია განთავსებული (აღნიშნული გულისხმობს ოფიციალური ორგანოების მიერ გატარებულ ნებისმიერ ცვლილებას ინტერპრეტაციის, თუ გამოყენების თვალსაზრისით), რაც შემდგომში ზემოქმედებას მოახდენს მიწოდების თარიღზე და/ან კონტრაქტის ფასზე, უნდა მოხდეს აღნიშნული მიწოდების თარიღის და/ან კონტრაქტის ფასის შესაბამისად ზრდა, ან შემცირება, იმ მოცულობით, რაც მოცულობის ზემოქმედებაც მოხდება კონტრაქტორზე, კონტრაქტით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების კონტექსტში. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, აღნიშნული დამატებითი, ან შემცირებული ღირებულების გადახდა ან დარიცხვა არ მოხდება ცალკე, თუ იგივე მოცულობა უკვე ასახულია ფასის ცვლილებაში, საჭიროებისამებრ, კონტრაქტის ზოგადი პირობების 10 შესაბამისად.

### **25. ფორს მაჟორი**

**25.1.** კონტრაქტორი არ იქნება პასუხისმგებელი შესრულების გარანტიით გათვალისწინებულ ზარალზე, საჯარიმო პირგასამტეხლოს გადახდაზე, ან ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო კონტრაქტის დარღვევაზე, იმ შემთხვევაში, თუ კონტრაქტით გათვალისწინებული მისი ვალდებულებების შესრულების დაყოვნება, ან შეუსრულებლობა, გამოწვეულია ფორს მაჟორით.

**25.2.** აღნიშნული პუნქტის მიზნების კონტექსტში, “ფორს-მაჟორი” ნიშნავს მოვლენას, ან მდგომარეობას, რომელიც არ ექვემდებარება კონტრაქტორის კონტროლს და რომელიც არის გაუთვალისწინებელი, მისი თავიდან აცილება არის შეუძლებელი და მისი წარმოქმნა არ არის განპირობებული კონტრაქტორის დაუდევრობით, ან

უყურადღებობით. აღნიშნული მოვლენები აერთიანებს, მაგრამ არ არის შეზღუდული შემდეგით: დამკვეთის მოქმედება ერთპიროვნულად, ომები ან რევოლუციები, ხანძრები, წყალდიდობები, ეპიდემია, კარანტინით განპირობებული შეზღუდვები და ტვირთის ემბარგოები.

**25.3.** ფორს მაჟორული მდგომარეობის დადგომის შემთხვევაში, კონტრაქტორმა დაუყონებლივ, წერილობით უნდა აცნობოს დამკვეთს შექმნილი მდგომარეობის და შესაბამისი გამომწვევი მიზეზების შესახებ. კონტრაქტორი ვალდებულია, რომ გააგრძელოს კონტრაქტით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება რამდენადაც ეს პრაქტიკულად არის შესაძლებელი და გამომძიონოს ყველა შესაძლო ალტერნატიული საშუალება (კონტრაქტის) შესასრულებლად, რაც არ არის თავიდან აცილებული ფორს მაჟორით, იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნულ საკითხს დამკვეთი სხვაგვარად არ ჩამოყალიბებს - წერილობითი სახით.

## **26. ცვლილების ბრძანებები და კონტრაქტის ცვლილებები**

**26.1.** კონტრაქტის ზოგადი პირობების 5 შესაბამისად, დამკვეთს აქვს უფლება, რომ ნებისმიერ დროს, შეტყობინების სახით მოსთხოვოს კონტრაქტორს, კონტრაქტის ზოგად შინაარსში ცვლილებების შეტანა, ქვემოთ წარმოდგენილ ერთ-ერთ ან მეტ პუნქტთან მიმართებით:

(a) ნახაზები, პროექტები, ან სპეციფიკაციები - როდესაც კონტრაქტით გათვალისწინებული დანადგარი და აღჭურვილობა სპეციალურად უნდა მომზადდეს დამკვეთისთვის;

(b) გადაზიდვის, ან შეფუთვის მეთოდი;

(c) მიწოდების ადგილი; და

(d) კონტრაქტორის მიერ განსახორციელებელი სამუშაოები.

**26.2.** იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული ცვლილება იწვევს კონტრაქტის ღირებულების, ან განსაზღვრული დროის ზრდას, ან შემცირებას, კონტრაქტით გათვალისწინებული ვალდებულებების კონტრაქტორის მიერ შესრულებასთან მიმართებაში, შესაბამისი და დასაბუთებული ცვლილება აისახება კონტრაქტის ღირებულებაში, ან მიწოდების/დასრულების გრაფიკში, ან ორივეში და მოხდება კონტრაქტის შეცვლა, შესაბამისად. კონტრაქტორის მოთხოვნა აღნიშნული პუნქტით გათვალისწინებული ცვლილების შესახებ, უნდა დამტკიცდეს კონტრაქტორის მიერ დამკვეთის ცვლილების ბრძანების მიღების დღიდან ოცდარვა (28) დღის ვადაში.

**26.3.** კონტრაქტორის ხარჯები დამატებით სამუშაოებთან მიმართებაში, რომელთა განხორციელება საჭიროებას წარმოადგენს, მაგრამ არ არის შესული კონტრაქტში, საჭიროა შეთანხმდეს მხარეებს შორის წინასწარ და არ უნდა აღემატებოდეს კონტრაქტორის მიერ სხვა მხარეებისთვის დაკისრებულ ფასებს.

**26.4.** ზემოთაღნიშნულის გათვალისწინებით, კონტრაქტის პირობები არ შეიცვლება, ან არ მოხდება აღნიშნული პირობების მოდიფიკაცია, მხარეების წერილობითი თანხმობის გარეშე.

## **27. ვადის გადაწევა**

**27.1.** იმ შემთხვევაში, თუ კონტრაქტის შესრულების დროს, კონტრაქტორისათვის, ან ქვე-კონტრაქტორებისთვის, შეიქმნება დანადგარის და აღჭურვილობის დროული მიწოდების ან შესაბამისი სამუშაოების დასრულების ხელისშემშლელი ფაქტორები, კონტრაქტის ზოგადი პირობების 8 შესაბამისად, კონტრაქტორმა დაუყონებლივ, წერილობით უნდა აცნობოს დამკვეთს დაყოვნების, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და მისი გამომწვევი მიზეზის შესახებ. კონტრაქტორის შეტყობინების მიღებისთანავე, მაქსიმალურად შემჭიდროვებულ ვადებში, დამკვეთმა უნდა მოახდინოს შექმნილი მდგომარეობის შეფასება და საკუთარი შეხედულებისამებრ გადაუწიოს კონტრაქტორს

შესრულების ვადა. აღნიშნულ შემთხვევაში, ვადის გადაწევას დაამტკიცებენ მხარეები - კონტრაქტის ცვლილებით.

**27.2.** ფორს მაჟორის გარდა, კონტრაქტის ზოგადი პირობების 25 შესაბამისად, კონტრაქტორის მიერ მიწოდების და შესრულების ვალდებულებების დაყოვნება გამოიწვევს კონტრაქტორზე საჯარიმო პირგასამტეხლოს დაკისრებას, კონტრაქტის ზოგადი პირობების 20 შესაბამისად, იმ შემთხვევაში, თუ ვადის გადაწევა შეთანხმებული არ არის, კონტრაქტის ზოგადი პირობების 27.1 შესაბამისად.

## **28. კონტრაქტის შეწყვეტა**

**28.1.** კონტრაქტის შეწყვეტა ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო

(a) დამკვეთი, კონტრაქტის დარღვევით გამოწვეული მდგომარეობის გამოსწორებისთვის ზიანის მიყენების გარეშე, კონტრაქტორის მიმართ გაგზავნის შეტყობინებას ვალდებულებების შეუსრულებლობის შესახებ, რის საფუძველზეც დამკვეთს შეუძლია შეწყვიტოს კონტრაქტი მთლიანად, ან ნაწილობრივ:

**28.2.**

(i) თუ კონტრაქტორი ვერ უზრუნველყოფს დანადგარის და აღჭურვილობის და შესაბამისი სამუშაოების რომელიმე ნაწილის, ან მის სრულად მიწოდებას, კონტრაქტით განსაზღვრულ ვადებში, ან დამკვეთს მიერ კონტრაქტის ზოგადი პირობებით 27 გადავადებული დროის მონაკვეთში;

(ii) თუ კონტრაქტორი ვერ უზრუნველყოფს კონტრაქტით დაკისრებული რომელიმე ვალდებულების შესრულებას; ან

(iii) თუ კონტრაქტორი, დამკვეთის აზრით, დაკავებულია კონტრაქტის ზოგადი პირობებით 3 განსაზღვრული აკრძალული საქმიანობით, კონტრაქტის გაფორმებამდე მიმდინარე, ან კონტრაქტის შესრულების პროცესში.

**28.3.**

(b) იმ შემთხვევაში, თუ დამკვეთი შეწყვეტს კონტრაქტს მთლიანად, ან ნაწილობრივ, კონტრაქტის ზოგადი პირობების 28.1 (a) შესაბამისად, დამკვეთს, მისთვის მისაღები პირობებით და ფორმატით, შეუძლია შეისყიდოს მიუწოდებელი დანადგარის და აღჭურვილობის, ან შეუსრულებელი სამუშაოების მსგავსი დანადგარი და აღჭურვილობა, ან სამუშაოები, ხოლო კონტრაქტორი პასუხისმგებელი იქნება დამკვეთის წინაშე, მსგავსი დანადგარის და აღჭურვილობის, ან შესაბამისი სამუშაოების მსგავსი სამუშაოების დამატებითი ხარჯების ანაზღაურებაზე.

**28.4.** შეწყვეტა გადახდისუუნარობის გამო

დამკვეთს შეუძლია კონტრაქტის შეწყვეტა ნებისმიერ დროს, კონტრაქტორის ინფორმირების საფუძველზე, იმ შემთხვევაში, თუ კონტრაქტორი გაკოტრდება, ან გახდება გადახდისუუნარო. აღნიშნულ შემთხვევაში, (კონტრაქტი) შეწყდება კონტრაქტორის მიმართ კომპენსაციის გადახდის გარეშე, იმ ფაქტის უზრუნველყოფით, რომ (კონტრაქტის) აღნიშნული სახით შეწყვეტა იმ მოახდენს ზემოქმედებას იმ საქმიანობის, ან გამოსასწორებელი ქმედების უფლებაზე, რაც დაკისრებულია, ან დაეკისრება შემდგომში დამკვეთს.

**28.5.** კონტრაქტის შეწყვეტა მხარეების ინიცირებით

(a) დამკვეთს, კონტრაქტორთან გაგზავნილი შეტყობინების საფუძველზე, ნებისმიერ დროს შეუძლია კონტრაქტის მთლიანად, ან ნაწილობრივ შეწყვეტა, მხარეების ინიცირების საფუძველზე. შეტყობინება შეწყვეტის შესახებ უნდა ასახავდეს აღნიშნული შეწყვეტის ინიცირებას დამკვეთის მიერ, კონტრაქტორის მიერ



კონტრაქტით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების მოცულობის შეწყვეტას და აღნიშნული შეწყვეტის ამოქმედების თარიღს.

**28.6.** (b) გადაზიდვისთვის გამზადებული დანადგარის და აღჭურვილობის სრული კომპლექტი, კონტრაქტორის მიერ შეწყვეტის შესახებ შეტყობინების მიღებიდან ოცდარვა (28) დღის ვადაში, უნდა მიიღოს დამკვეთმა, კონტრაქტით გათვალისწინებული პირობებით და ფასებით. დარჩენილ დანადგართან და აღჭურვილობასთან მიმართებაში, დამკვეთს შეუძლია:

(i) მიიღოს დასრულებული ნაწილი კონტრაქტის პირობებით და ფასებით; და/ან

(ii) გააუქმოს დარჩენილი ნაწილი და გადაუხადოს კონტრაქტორს შეთანხმებული თანხა ნაწილობრივ დასრულებული დანადგარის და აღჭურვილობის და შესაბამისი სერვისებისთვის და მასალებისთვის და ნაწილებისთვის, რაც მანამდე შესყიდული იყო კონტრაქტორის მიერ.

## **29. კონკრეტული გეგმები და ანგარიშგება**

**29.1.** კონტრაქტორი ვალდებულია, რომ წარუდგინოს დამკვეთს დეტალური, კონკრეტული ობიექტის ჯანმრთელობის და უსაფრთხოების მართვის გეგმა (HSMP), მოქმედი კანონების შესაბამისი ჯანმრთელობის და უსაფრთხოების დებულებების საფუძველზე, დაწყების თარიღიდან ოცდარვა (28) დღის ვადაში. აღნიშნული გეგმა უნდა დაამტკიცოს დამკვეთმა, კონტრაქტის შესრულების დაწყებამდე.

**29.2.** კონტრაქტორი ვალდებულია, რომ წარუდგინოს დამკვეთს დეტალური, კონკრეტული ობიექტის გარემოს დაცვის და სოციალური მართვის გეგმები (SSEMP), მოქმედი კანონების შესაბამისი უსაფრთხოების, და გარემოს დაცვის დებულებების საფუძველზე, დაწყების დღიდან ოცდარვა (28) დღის ვადაში. აღნიშნული დოკუმენტები (SSEMP) უნდა დაამტკიცოს დამკვეთმა, კონტრაქტის განხორციელების დაწყებამდე.

## ნაწილი VII. კონტრაქტის კონკრეტული პირობები

კონტრაქტის მოცემული განსაკუთრებული პირობები წარმოადგენს კონტრაქტის ზოგადი პირობების დამატებას. კონფლიქტის წარმოქმნის შემთხვევაში, უპირატესობა მიენიჭება კონტრაქტის განსაკუთრებული პირობებით განსაზღვრულ დებულებებს.

კონტრაქტის  
ზოგადი  
პირობების  
საფუძველზე

კონტრაქტის კონკრეტული პირობები

### ზოგადი დებულებები

- 1.1.2. დამკვეთი: საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი (მგფ)
- 1.1.2. დამფინანსებელი ორგანიზაცია: NEFCO (ჩრდილოეთის ქვეყნების გარემოსდაცვითი ფინანსური კორპორაცია) - ჩრდილოეთის ქვეყნებს - დანიას, ფინეთს, ისლანდიას, ნორვეგიას და შვედეთის საერთაშორისო ფინანსურ ორგანიზაციას შორის გაფორმებული შეთანხმების შესაბამისად დაარსებული საერთაშორისო ფინანსური ორგანიზაცია, რომლის სათაო ოფისი მდებარეობს ჰელსინკში, შემდეგ მისამართზე: ფაბიანინკათუ 34, FIN-00100, ჰელსინკი, ფინეთი.
- 1.1.2. NEFCO-ს სესხის მიმღები: საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი
- 1.1.3. დაწყების თარიღი: *[კონტრაქტის გაფორმებიდან 15 დღე]*
- 1.1.6. დამკვეთის ქვეყანა: საქართველო
- 1.1.6. ობიექტები:
- 55-ე საჯარო სკოლა, ი. ჭავჭავაძის გამზ., #38, თბილისი;
  - სსიპ პირველი საჯარო ექსპერიმენტული სკოლა, საირმის ქ., #84, თბილისი;
  - მე-200 საჯარო სკოლა, ქერჩის ქ., #22, თბილისი.
- 1.3.(b) ინკოტერმის ვერსიას წარმოადგენს საერთაშორისო სავაჭრო პალატის (პარიზი) გამოცემა: ინკოტერმი 2010.
- 1.8 კომუნიკაცია შესაძლებელია შემდეგ მისამართებზე:
- დამკვეთის სახელზე შეტყობინებების გაგზავნის შემთხვევაში, მისამართი იქნება:
- საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი  
მისამართი: დ. აღმაშენებლის გამზ. #150  
თბილისი, 0112, საქართველო  
ტელეფონი: +99532 2437001 ან/02/03/04  
ელ. ფოსტა: [procurement@mdf.org.ge](mailto:procurement@mdf.org.ge)

კონტრაქტორის მისამართით შეტყობინებების გაგზავნის შემთხვევაში, მისამართი იქნება:

მისამართი:

ტელეფონი:

ელ. ფოსტა:

**1.9** მოქმედი კანონმდებლობა: **საქართველოს** კანონმდებლობა.

კომუნიკაციის ენა: **ქართული და ინგლისური**. უცხოელი კონტრაქტორები ვალდებული არიან, რომ უზრუნველყონ ქართულ ენაზე თარგმანი.

ძირითადი ენა: **ინგლისური**

**1.18** ინდივიდუალურ პირებს, ან ერთობლივ საწარმოში, კონსორციუმში, ან ასოციაციაში შემავალ კომპანიებს ეკისრებათ ცალკეული და სოლიდარული პასუხისმგებლობა.

**1.20** წამყვანი პერსონალის ნუსხა:

- მშენებლობის მენეჯერი
- საპროექტო ტერიტორიის (ობიექტის) მენეჯერი
- გარემოს დაცვის და სოციალური მენეჯერი
- ჯანმრთელობის და უსაფრთხოების მენეჯერი

**5.1** შეტყობინებების შემთხვევაში, დამკვეთის მისამართი იხ. ქვ.:

ადრესატი: ბ-ნი გიორგი შენგელია, აღმასრულებელი დირექტორი

მისამართი: დ. აღმაშენებლის გამზ. #150

სართული/ოთახის ნომერი: მე-3 სართული, ოთახი #301

ქალაქი: თბილისი

საფოსტო კოდი: 0112

ქვეყანა: საქართველო

ტელეფონი: +99532 2437001 ან/02/03/04

ფაქსი: +995 32 43 70 77

ელ. ფოსტის მისამართი: [procurement@mdf.org.ge](mailto:procurement@mdf.org.ge)

**6.2** საარბიტრაჟო პროცედურის წესები იხ. ქვემოთ:

- დადამკვეთსა და ქართველი კონტრაქტორს შორის დავის წარმოქმნის შემთხვევაში, დავას განიხილავს არბიტრაჟი, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
- დადამკვეთსა და უცხოელ კონტრაქტორს შორის დავის წარმოქმნის შემთხვევაში, დავა უნდა მოგვარდეს არბიტრაჟის მიერ, გაეროს საერთაშორისო სავაჭრო კანონმდებლობის კომისიის (UNCITRAL) არბიტრაჟის წესების შესაბამისად.
- არბიტრაჟის ადგილად განისაზღვრება საქართველოს ვაჭრობისა და მრეწველობის პალატაში არსებული საერთაშორისო კომერციული საარბიტრაჟო სასამართლო.
- არბიტრაჟის საქმისწარმოება წარიმართება კონტრაქტის ენაზე.

დავის არბიტრაჟის მიერ განხილვის მიუხედავად:

- მხარეებმა უნდა გააგრძელონ კონტრაქტის მიხედვით მათთვის

დაკისრებული ვალდებულებების შესრულება, იმ შემთხვევაში, თუ ისინი არ შეთანხმდებიან განსხვავებულ პოზიციაზე; და

- (b) დამკვეთი ვალდებულია, რომ გადაუხადოს კონტრაქტორს, მის მიმართ გადასახდელი თანხის მოცულობა.

### 8.1.

კონტრაქტორის მიერ გაგზავნისათვის საჭირო და სხვა სახის დოკუმენტები წარმოდგენილია ქვემოთ:

- (a) საქართველოს საზღვრებს გარეთ არსებული ტერიტორიიდან მოსაწოდებელი დანადგარი: დანადგარის მიწოდება უნდა მოხდეს მიწოდების და განბაჟების გადასახადის გადახდის გათვალისწინებით (DDP) <<საბოლოო დანიშნულების ადგილი, თითოეული სკოლის მისამართის მითითებით >>.

გაგზავნისთანავე, კონტრაქტორმა ფაქსის საშუალებით უნდა აცნობოს დამკვეთს და სადაზღვევო კომპანიას, გადაზიდვასთან დაკავშირებული დეტალების შესახებ, მათ შორის: კონტრაქტის ნომერი; დანადგარის აღწერა; მოცულობა; ჩვეულებრივი სატრანსპორტო დოკუმენტის ნომერი (როგორც არის სარკინიგზო, ან საგზაო ტვირთის ზედნადები, სატრანსპორტო ჩანაწერი, ან მულტი-მოდალური სატრანსპორტო დოკუმენტი); გაგზავნის თარიღი; ჩამოსვლის სავარაუდო თარიღი; გემი და დატვირთვის და განტვირთვის პორტები, შესაბამისად.

კონტრაქტორმა ქვემოთ მოცემული დოკუმენტები ფოსტით უნდა გაუგზავნოს დამკვეთს, ხოლო ასლი - სადაზღვევო კომპანიას:

- (i) კონტრაქტორის ინვოისის ასლები, სადაც მოცემულია დანადგარის აღწერა, მოცულობა, ერთეულის ფასი და ჯამური ღირებულება;
- (ii) მოლაპარაკებადი, სუფთა, საბორტო კონოსამენტის ორიგინალი და 3 ასლი, შემდეგი წარწერით: „წინასწარ გადახდილი ფრაქტი (გატარების გადასახადი) “და გადაცემის უფლების გარეშე (გადაცემას არ-დაქვემდებარებული) კონოსამენტის 3 ასლი;
- (iii) შეფუთვის სიის ასლები, თითოეული პაკეტის შემცველობის იდენტიფიცირებით;
- (iv) დაზღვევის სერტიფიკატი;
- (v) მწარმოებლის/კონტრაქტორის გარანტიის სერტიფიკატი;
- (vi) დანიშნული შემმოწმებელი ორგანოს მიერ გაცემული შემოწმების სერტიფიკატი და ანგარიში კონტრაქტორის მისაღები შემოწმების შესახებ;
- (vii) წარმომავლობის სერტიფიკატი.

ზემოაღნიშნული დოკუმენტები უნდა მიიღოს დამკვეთმა, დანადგარის პორტში, ან ჩამოსვლის ადგილას მიღებიდან მინიმუმ ერთი კვირით ადრე, ხოლო აღნიშნული დოკუმენტაციის არ მიღების შემთხვევაში, კონტრაქტორი პასუხისმგებელი იქნება შესაბამისი ხარჯების დაფარვაზე.

- (b) საქართველოს საზღვრებში მოწოდებულ დანადგართან მიმართებაში: აუცილებელი იქნება დანადგარის მიწოდება საპროექტო ტერიტორიაზე.

დანადგარის გადამზიდავისთვის მიწოდების შემდეგ, კონტრაქტორმა უნდა აცნობოს დამკვეთს და გაუგზავნოს ფოსტით ქვემოთ მითითებული დოკუმენტები:

- (i) კონტრაქტორის ინვოისის ასლები, სადაც მოცემულია დანადგარის აღწერა, მოცულობა, ერთეულის ფასი და ჯამური ღირებულება;
- (ii) სატრანსპორტო ზედნადები, რკინიგზით, ან სატვირთო ავტომობილით მიღება;
- (iii) მწარმოებლის, ან კონტრაქტორის საგარანტიო სერტიფიკატი;
- (iv) დანიშნული შემმოწმებელი ორგანოს მიერ გაცემული შემოწმების სერტიფიკატი და ანგარიში კონტრაქტორის მისაღები შემოწმების შესახებ;
- (v) საბაჟო მოსაკრებლის, ან დანადგარის პირდაპირ იმპორტირებულ კომპონენტებზე დაკისრებული სხვა საიმპორტო გადასახადების გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი.

ზემოთაღნიშნული დოკუმენტები უნდა მიიღოს დამკვეთმა, დანადგარის მიღებამდე. იმ შემთხვევაში, თუ არ მოხდება დოკუმენტების მიღება დამკვეთის მიერ, კონტრაქტორი პასუხისმგებელი იქნება ყველა შემდგომი ხარჯების დაფარვაზე.

სამუშაოები:

- (i) კონტრაქტორის ინვოისის ასლი, შესრულებული სამუშაოების სრული აღწერით

**10.1** ფასის ცვლილება არ უნდა იქნას გამოყენებული.

**11.1** გადახდის პირობები წარმოდგენილია ქვემოთ:

ყველა გადახდა განხორციელდება ლარში.

მოცემული კონტრაქტის ფარგლებში, კონტრაქტორის მიმართ განსახორციელებელი გადახდის მეთოდი და პირობები იქნება შემდეგი:

- (a) დანადგართან და შესაბამის სამუშაოებთან დაკავშირებული გადახდა უნდა განხორციელდეს კონტრაქტის ვალუტაში და შემდეგი სახით:
  - (i) საავანსო გადახდა: კონტრაქტის ფასის ოცი (20%) პროცენტის გადახდა უნდა მოხდეს კონტრაქტის გაფორმებიდან ოცდაათი (30) დღის ვადაში და შესრულების გარანტიის და საავანსო გარანტიის წარმოდგენის შემდეგ. საავანსო გადახდის საბანკო გარანტია მოქმედი იქნება პირველ გადახდამდე;
  - (ii) პირველი გადახდა: დანადგარის და შესაბამისი სამუშაოების კონტრაქტის ფასის ოცდაათი (30%) პროცენტის გადახდა უნდა მოხდეს განაცხადის წარმოდგენიდან ოცდაათი (30)

დღის ვადაში, რომელსაც თან უნდა ახლდეს დამკვეთის მიერ, შესაბამისი საპროექტო მომსახურების, დანადგარის და შესაბამისი სამუშაოებისთვის გაცემული მიღების სერტიფიკატი - საკონტრაქტო ფასის არანაკლებ 50%-ის მოცულობით.

(iii) მეორე გადახდა: დანადგარის და შესაბამისი სამუშაოების საკონტრაქტო ფასის ოცდაათი (30%) პროცენტის გადახდა უნდა მოხდეს განაცხადის წარმოდგენიდან ოცდაათი (30) დღის ვადაში. აღნიშნულ განაცხადს თან უნდა ახლდეს დამკვეთის მიერ დანადგარისა და შესაბამისი სამუშაოებისთვის გაცემული მიღების სერტიფიკატი.

(iv) საბოლოო გადახდა: დანადგარის და შესაბამისი სამუშაოების საკონტრაქტო ფასის ოცი (20%) პროცენტის გადახდა უნდა მოხდეს განაცხადის წარმოდგენიდან ოცდაათი (30) დღის ვადაში. აღნიშნულ განაცხადს თან უნდა ახლდეს დამკვეთის მიერ საბოლოო დანადგარისა და შესაბამისი სამუშაოების მიღების სერტიფიკატი.

(a) საავანსო გადახდამდე, კონტრაქტორმა დამკვეთს უნდა წარუდგინოს წერილობითი დასაბუთება კონტრაქტორის ბანკისგან იმის შესახებ, რომ კონტრაქტორი წარმოადგენს კანონიერ მფლობელს და მისთვის ექსკლუზიურად ხელმისაწვდომია ბანკის ის ანგარიში, რომელიც აღნიშნულ კონტრაქტში მითითებულია კონტრაქტორის ანგარიშის სახით. დამკვეთმა, აღნიშნული წერილობითი დასაბუთება უნდა წარმოადგინოს NEFCO-ს თანხების გადახდის მოთხოვნასთან ერთად. მოცემული კონტრაქტის იურიდიული ქმედითობის დროს კონტრაქტორის საბანკო მონაცემების ცვლილების შემთხვევაში, კონტრაქტორმა მისი ბანკისგან მიღებული ახალი წერილობითი დასაბუთება, დაუყოვნებლივ უნდა წარუდგინოს დამკვეთს.

**11.2** კონტრაქტორმა უნდა დაასახელოს სამამდე (3) ანგარიში და აცნობოს აღნიშნული ანგარიშების შესახებ დამკვეთს, კონტრაქტორის მიერ მიღების წერილის მიღებიდან 28 დღის ვადაში. გადახდები განახორციელდება მხოლოდ მოცემული პუნქტის თანახმად, კონტრაქტორის მიერ დასახელებულ ანგარიშზე (ანგარიშებზე).

**11.4** საავანსო გადახდის თანხა შეადგენს კონტრაქტის ჯამური ღირებულების 20%-მდე მოცულობას.

გადახდის განხორციელება დაიწყება შესრულების გარანტიის და საავანსო გადახდის საბანკო გარანტიის წარმოდგენის შემდეგ.

**13.1** აუცილებელი იქნება შესრულების გარანტიის წარმოდგენა;

შესრულების გარანტიის მოცულობა შეადგენს: **საკონტრაქტო ფასის 10%-ს.**

**13.2** შესრულების გარანტია უნდა გაიცეს დამკვეთისთვის მისაღები ფორმით მხოლოდ ადგილობრივი სანდო ბანკების მიერ, რომლებიც ოპერირებენ საქართველოს ტერიტორიაზე (საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი ბანკების სრული სია ხელმისაწვდომია საქართველოს ეროვნული ბანკის ვებ-გვერდზე, [შემდეგ ბმულზე: https://www.nbg.gov.ge/index.php?m=403&lng=eng](https://www.nbg.gov.ge/index.php?m=403&lng=eng)) და იმ ვალუტასა და

ისეთი პროპორციებით, რა ვალუტაშიც და რა პროპორციებითაც კონტრაქტის ფასის გადახდა არის გათვალისწინებული.

**13.4** დანადგარის მოწოდების და მიღების შემდეგ, შესრულების გარანტია შემცირდება საკონტრაქტო ფასის ორ ნახევარ (2.5) პროცენტამდე, კონტრაქტის ზოგადი პირობების 21.3 პუნქტის თანახმად კონტრაქტორზე დაკისრებული ვალდებულებების დაფარვის მიზნით.

**14.1** ქვე-პუნქტს ემატება შემდეგი წინადადება: “ქვე-კონტრაქტები ოფიციალურად უნდა დაამტკიცოს დამკვეთმა, შესაბამისი ქვე-კონტრაქტორების სამუშაოების დაწყებამდე”.

**16.2** შეფუთვა, მარკირება და დოკუმენტაცია პაკეტებში და პაკეტებზე შემდეგი სახით უნდა იყოს წარმოდგენილი:

შესაძლებელი უნდა იყოს შეფუთვის ამწით და ხელით, ასევე ავტო-ფურგონით ან სატვირთო ავტომობილით გადაადგილება.

ქართული და ინგლისური ტექსტი (საქართველოდან მოწოდებული საქონლისთვის ინგლისური ენა არ არის სავალდებულო) აუცილებლად უნდა იყოს დატანილი შეფუთვის ორ საწინააღმდეგო და ხილულ მხარეს, შეფუთვის მარკირებით: იარლიყით, ან წაუშლელი მელნით:

მარკირება:

მიმღები და მისამართი

გამგზავნი

კონტრაქტის #

კონტრაქტორის #

წყალგაუმტარი კონვერტი, შესაფუთი სიის ასლთან ერთად, უნდა დამაგრდეს თითოეული ქეისის გარე კედელზე. შესაფუთი სიის მეორე ასლი განთავსდება ქეისში და დამაგრდება ქეისის ნაწილებზე, ან ქეისის შიდა კედელზე.

კონტრაქტორი პასუხისმგებელია დამატებით ტრანსპორტირებასა და ყველა იმ ხარჯზე, რაც შესაძლოა გამოწვეული იყოს გადაზიდვით გამოწვეული დაზიანებით და არასწორ მისამართზე მიტანით, ან არასრული და/ან არასწორი მარკირებით.

საქონლის არასწორი შეფუთვის და შესაბამისი ინსტრუქციების დარღვევის შემთხვევაში, დამკვეთს შეუძლია უზრუნველყოს საქონლის ხელახალი შეფუთვა, კონტრაქტორის ხარჯზე. აღნიშნულით გამოწვეული ყველა სახის დაყოვნება წარმოადგენს კონტრაქტორის სრულ პასუხისმგებლობას.

აღნიშნულ ინსტრუქციებთან ერთად, დამკვეთის მიერ კონტრაქტორისათვის გაცემული წერილობითი ინსტრუქციები, კონტრაქტის ნებისმიერ ეტაპზე - გადაზიდვამდე, აუცილებლად უნდა შესრულდეს.

საქართველოს საზღვრებს გარედან მოწოდებულ საქონელთან დაკავშირებით, კონტრაქტორი ვალდებულია, რომ წარმოადგინოს საქართველოში საქონლის იმპორტისთვის საჭირო დოკუმენტები.

საქართველოს საზღვრებში მოწოდებულ საქონელთან დაკავშირებით,

კონტრაქტორმა უნდა წარმოადგინოს საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით საქონლის ტრანსპორტირებისთვის საჭირო დოკუმენტები.

17.1

სადაზღვეო უზრუნველყოფა უნდა იყოს „საწყობიდან საწყობამდე“ დანადგარის მიწოდების და განბაჟების გადასახადის (DDP) ღირებულების 110 პროცენტის ეკვივალენტი მოცულობის, „ყველა რისკის“ გათვალისწინებით, ომის რისკების გარდა. სადაზღვეო პოლისები უნდა დაამტკიცოს დამკვეთმა.

18.1

დანადგარის და აღჭურვილობის ტრანსპორტირების უზრუნველყოფის პასუხისმგებლობა განისაზღვრება ინკოტერმის შესაბამისად.

19.1

შემოწმება და გამოცდები უნდა ჩატარდეს:

#### **საქონლის გადაზიდვამდე**

ქარხნული მიღების გამოცდა (FAC), მათ შორის ვიზუალური შემოწმებები და ფიზიკური გაზომვა.

#### **მიწოდების შემდეგ**

დამკვეთის მიერ დანადგარის შემოწმება მოხდება განბაჟების დროს, ან ობიექტზე მიწოდებისთანავე, საჭიროების შესაბამისად. დანადგარის შესაბამისობა შემოწმდება დოკუმენტებით განსაზღვრული მითითებების შესაბამისად. დამკვეთმა:

- (a) ჩამოსვლის ოქმის გაცემა კონტრაქტორის მიმართ, საპროექტო ტერიტორიაზე კონტრაქტით გათვალისწინებული საქონლის მიწოდებიდან სამი დღის ვადაში. აღნიშნულ ოქმში მითითებული უნდა იყოს თარიღი, როდესაც მოხდა საქონლის მიწოდება, კონტრაქტის შესაბამისად; ან
- (b) დასაბუთება და კონტრაქტორის მიერ დასასრულებელი პუნქტის დაზუსტება, რაც შესაძლებელს გახდის მიწოდების ოქმის მომზადებას და გამოცემას. კონტრაქტორმა შემდეგ უნდა დაასრულოს აღნიშნული პუნქტი, მოცემული კონტრაქტის ფარგლებში შემდგომი შეტყობინების გამოცემამდე, იმისთვის, რომ მიიღოს მიწოდების ოქმი.

კონტრაქტორმა უნდა გადაიხადოს დამკვეთისათვის მიყენებული ზარალის კომპენსაცია, განბაჟების პროცესში გამოყენებული დანადგარის და რეალურად მოწოდებული დანადგარის შეუსაბამობის შემთხვევაში, საბაჟო მოსაკრებლის, გადასახადების და იმ ჯარიმების გათვალისწინებით, რისი გადახდას უნდა მოხდეს მოუწოდებელი ნაწილის მოწოდებისთვის.

**მიღება დამკვეთის მიერ:** დანადგარი მიჩნეული იქნება მიღებულად დამკვეთის მიერ იმ შემთხვევაში, როდესაც დანადგარი და სამუშაოები მოწოდებული იქნება კონტრაქტის შესაბამისად და მოხდება მიღება-ჩაბარების აქტის გაცემა.

კონტრაქტორს შეუძლია წერილობით სთხოვოს დამკვეთს მიღება-ჩაბარების აქტის გაცემა არა უგვიანეს 14 დღით ადრე, სანამ კონტრაქტორი მიიჩნევს, რომ საქონელი დამონტაჟებულია, გავლილი აქვს ყველა შეთანხმებული ტესტი და მზად არის მისაღებად-ჩასაბარებლად.

კონტრაქტორის თხოვნის მიღების შემდეგ, 28 დღის ვადაში, დამკვეთი ვალდებულია:



- (a) გასცეს მიღება-ჩაბარების სერტიფიკატი კონტრაქტორის მიმართ, რომელშიც ასახული იქნება საქონლის, ან ლოტების და მომსახურებების დასრულების თარიღი, კონტრაქტის შესაბამისად; ან
- (b) უგულებელყოს თხოვნა, წარმოადგინოს შესაბამისი დასაბუთება და დააზუსტოს კონტრაქტორის მიერ დასასრულებელი ნაწილი, რაც უზრუნველყოფს მიღება-ჩაბარების აქტის გაცემის შესაძლებლობას. შემდგომ, კონტრაქტორმა უნდა დაასრულოს აღნიშნული ნაწილი (პუნქტი), მოცემული კონტრაქტის ფარგლებში სხვა შეტყობინების გაცემამდე.

იმ შემთხვევაში, თუ მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერის დაყოვნება არ არის გამოწვეული კონტრაქტორის მიზეზით, დამკვეთი ვალდებულია, რომ მიიღოს დანადგარი, ბოლო მიწოდების ოქმის გაფორმებიდან არა უგვიანეს 12 თვის ვადაში.

შემდეგ, დამკვეთმა უნდა გასცეს შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტი და დასრულების სამუშაოები (თუ ჯერ არ არის განხორციელებული) და შესაბამისი გამოცდები, უნდა განხორციელდეს რაც შეიძლება სწრაფად, საგარანტიო პერიოდის ვადის ამოწურვამდე.

სხვა ინფორმაციასთან ერთად, მიღება-ჩაბარების აქტი უნდა ასახავდეს ინფორმაციას შესრულებული სამუშაოების შესახებ, შესაბამის ღირებულებასთან ერთად. დამკვეთის თხოვნით, მხარეებმა უნდა გააფორმონ ცალკე მიღება-ჩაბარების აქტი იმ სამუშაოებზე, რისი გაფორმებაც არ უნდა მოხდეს დანადგარის მიღება-ჩაბარების სერტიფიკატის გაფორმებამდე.

**19.9** დეფექტებზე პასუხისმგებლობის პერიოდი: (სამუშაოების) შესახებ მიღება-ჩაბარების აქტის გაცემიდან ოცდაოთხი (24) თვე.

**20.1** პირგასამტეხლო: კონტრაქტის ფასის 0.5 % კვირაში.

პირგასამტეხლოს მაქსიმალური მოცულობა: კონტრაქტის ფასის 10%.

**21 გარანტია**

**21.3** კონტრაქტის 21.3, 21.4 და 21.5 პუნქტების ვალდებულებების გათვალისწინებით, კონტრაქტორმა დაუყონებლივ უნდა გამოასწოროს დანადგართან და აღჭურვილობასთან და შესაბამის სამუშაოებთან დაკავშირებული დეფექტი - დამკვეთის დანახარჯის გარეშე, ან შეაკეთოს, ან ჩაანაცვლოს შესაბამისი ნაწილები - 21.3, 21.4 და 21.5 პუნქტების შესაბამისად, დეფექტების შესახებ შეტყობინების მიღების შემდეგ - შეკეთებული, ან ჩაანაცვლებული დანადგარის მიღებიდან 12 თვის განმავლობაში.

**21.5** შეკეთების, ან ჩაანაცვლების დროის მონაკვეთი: 30 (ოცდაათი) დღე.

## ნაწილი VIII. კონტრაქტის ფორმები

წინამდებარე თავში წარმოდგენილი კონტრაქტის ფორმები, რომლებიც შეესაბამება შემდეგ კონტრაქტის ნაწილს შეადგენენ. კონტრაქტის ხელშეკრულების, კონტრაქტის შესრულების გარანტიის და საავანსო გადახდის გარანტიის ფორმები, მხოლოდ ტენდერის გამარჯვებულმა მონაწილემ უნდა შეავსოს, კონტრაქტის მინიჭების შემდეგ.

1. მიღების წერილი
2. კონტრაქტის ხელშეკრულება
3. (კონტრაქტის) შესრულების გარანტია
4. საავანსო გადახდის საბანკო გარანტია

# 1. მიღების წერილი

--- დამკვეთის ბლანკზე ---

..... თარიღი .....

ვის: ..... კონტრაქტორის სახელი და მისამართი .....

საფუძველი: ..... შეტყობინება # ..... კონტრაქტის მინიჭების შესახებ

წინამდებარე წერილით გატყობინებთ, რომ თქვენი სატენდერო წინადადება, დათარიღებული ..... თარიღი ..... კონტრაქტის სახელი და საიდენტიფიკაციო ნომერი, როგორც კონტრაქტის კონკრეტულ პირობებშია მითითებული და განსახორციელებლად ..... კონტრაქტის მიღებულ თანხაზე, რომელიც შეადგენს ..... თანხა რიგობრივად და სიტყვიერად და ვალუტის სახელწოდება. .... „ინსტრუქციების ტენდერში მონაწილეთათვის“ შესაბამისად განხორციელებული კორექტირებებისა და ცვლილებების ჩათვლით, მიღებულია ჩვენი უწყების მიერ.

თქვენ მოგეთხოვებათ კონტრაქტის შესრულების გარანტიის წარდგენა 28 დღის განმავლობაში კონტრაქტის პირობების შესაბამისად, კონტრაქტის შესრულების გარანტიის იმ ფორმის გამოყენებით, რომელიც მოცემულია სატენდერო დოკუმენტის VIII თავში (კონტრაქტის ფორმები).

უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერა: .....

ხელმომწერის სახელი: .....

ხელმომწერის თანამდებობა: .....

უწყების დასახელება: .....

დანართი: საკონტრაქტო ხელშეკრულება

## 2. კონტრაქტის ხელშეკრულება

წინამდებარე კონტრაქტის ხელშეკრულება . . . . . [რიცხვი, თვე, წელი] დაიდო

(1) *[ჩაწერეთ დამკვეთის სრული დასახელება]* და *[ჩაწერეთ იურიდიული პირის ტიპი, მაგალითად, (ჩაწერეთ დამკვეთის ქვეყნის) მთავრობის (ჩაწერეთ სამინისტრო/სააგენტო) სამინისტროს უწყება, ან (ჩაწერეთ დამკვეთის ქვეყნის დასახელება) კანონმდებლობის ფარგლებში მოქმედი კორპორაცია]*, რომლის საქმიანობის ძირითადი ადგილი მდებარეობს *[ჩაწერეთ დამკვეთის მისამართი]* (შემდგომში „დამკვეთი“)

და

(2) *[ჩაწერეთ კონტრაქტორის სახელი]*, კორპორაცია, რომელიც მოქმედებს *[ჩაწერეთ კონტრაქტორის ქვეყანა]* კანონმდებლობის ფარგლებში და რომლის საქმიანობის ძირითადი ადგილი მდებარეობს *[ჩაწერეთ კონტრაქტორის მისამართი]*

შორის

ვინაიდან, დამკვეთმა მოიწვია ტენდერები დანადგარის და აღჭურვილობის და შესაბამისი სერვისებისთვის, რაც ასახულია *[დანადგარის და აღჭურვილობის და შესაბამისი სერვისების მოკლე აღწერა]* სახით და მიიღო ტენდერი კონტრაქტორისგან, აღნიშნული დანადგარის და აღჭურვილობის და შესაბამისი სამუშაოების მიწოდებაზე და დამკვეთი თანახმაა, რომ გადაუხადოს კონტრაქტორს კონტრაქტის ღირებულება, ან სხვა ისეთი თანხა, რაც შესაძლოა დაექვემდებაროს გადახდას, კონტრაქტის პირობების მიხედვით იმ დროს და ისეთი სახით, რასაც დადგენილია კონტრაქტით.

დამკვეთი და კონტრაქტორი თანხმდებიან შემდეგზე:

1. წინამდებარე ხელშეკრულებაში ტერმინებსა და გამოთქმებს იგივე მნიშვნელობა აქვთ, რაც მათ მინიჭებული აქვს ქვემოთ მითითებულ კონტრაქტის დოკუმენტაციაში.
2. ქვემოთ ჩამოთვლილი კონტრაქტის დოკუმენტები შეადგენს ამ ხელშეკრულების ნაწილს და წაკითხული და ინტერპრეტირებული უნდა იქნას, როგორც მისი შემადგენელი ნაწილი. მოცემულ ხელშეკრულებას უპირატესობა ენიჭება კონტრაქტის სხვა დოკუმენტებზე.

(ა) ხელშეკრულება

(ბ) მიღების წერილი

(გ) დანართი # *...[ჩაწერეთ დანართის ნომრები, ასეთი დანართების არსებობის შემთხვევაში]*

(დ) განსაკუთრებული პირობები

(ე) კონტრაქტის ზოგადი პირობები

(ვ) დამკვეთის მოთხოვნები

(ზ) ნახაზები და

(თ) დასრულებული გრაფიკები.

3. დამკვეთის მიერ კონტრაქტორისათვის განსახორციელებელი გადახდების გათვალისწინებით, როგორც წინამდებარე ხელშეკრულებაშია აღნიშნული, კონტრაქტორი იღებს ვალდებულებას დამკვეთის წინაშე, რომ უზრუნველყოს დანადგარის და აღჭურვილობის და შესაბამისი სამუშაოების მიწოდება და გაასწოროს დეფექტები კონტრაქტის დებულებებთან სრულ შესაბამისობაში.
4. წინამდებარე ხელშეკრულებით დამკვეთი იღებს ვალდებულებას დანადგარის და აღჭურვილობის და შესაბამისი სამუშაოების მოწოდებისა და მისი დეფექტების გასწორებისათვის გადაუხადოს კონტრაქტორს კონტრაქტის ფასი ან ნებისმიერი სხვა თანხა, რომელიც შეიძლება გადასახდელი იყოს კონტრაქტის დებულებების შესაბამისად იმ ვადებში და იმ ფორმით, როგორც მითითებულია კონტრაქტში.

ზემოაღნიშნულის დასტურად მხარეებმა გააფორმეს წინამდებარე ხელშეკრულება. . . . . [სესხის მიმღები ქვეყნის სახელი] . . . . . კანონმდებლობის შესაბამისად, ზემოთ მითითებულ დღეს, თვესა და წელს.

ხელმოწერა დამკვეთის სახელით: . . . . .

სახელი:  
თარიღი:

მოწმის თანდასწრებით: . . . . .

სახელი:  
მისამართი:  
თარიღი:

ხელმოწერა კონტრაქტორის სახელით: . . . . .

სახელი:  
თარიღი:

მოწმის თანდასწრებით: . . . . .

სახელი:  
მისამართი:  
თარიღი:

### 3. კონტრაქტის შესრულების გარანტია

[ბანკმა, ტენდერის წარმატებული მონაწილის თხოვნის საფუძველზე, უნდა შეავსოს წარმოდგენილი ფორმა, მითითებული ინსტრუქციების შესაბამისად]

თარიღი: [ჩასვით თარიღი (დღე, თვე და წელი)]

სატენდერო პროცესის #: [ჩაწერეთ სატენდერო პროცესის ნომერი და დასახელება]

ბანკის ფილიალი, ან ოფისი [გარანტორის დასახელება ]

**ბენეფიციარი** [ჩასვით დამკვეთის სრული სახელი]

**შესრულების გარანტიის #:** [ჩასვით კონტრაქტის შესრულების გარანტიის ნომერი]

ჩვენ გვაცნობეს, რომ [კონტრაქტორის სახელი (შემდგომში „კონტრაქტორი“) გააფრთხილა კონტრაქტი # [ჩაწერეთ ნომერი] დათარიღებული] *[ჩასვით თარიღი] [დღე და თვე] [წელი]* თქვენთან, *[ჩასვით დანადგარის და აღჭურვილობის და შესაბამისი მომსახურების დახასიათება]* მისაწოდებლად და წარმოქმნილი დეფექტების აღმოსაფხვრელად, ასეთი დეფექტების არსებობის შემთხვევაში (შემდგომში "კონტრაქტი").

გარდა აღნიშნულისა, ჩვენთვის ცნობილია, რომ კონტრაქტის პირობების შესაბამისად, საჭიროა კონტრაქტის შესრულების გარანტია.

კონტრაქტორის თხოვნის საფუძველზე, ჩვენ ვიღებთ უპირობო ვალდებულებას, გადავიხადოთ ნებისმიერი თანხა, ან თანხები, რომლის ოდენობა ჯამში არ აღემატება [ჩაწერეთ თანხის (თანხების) რაოდენობა სიტყვიერად და ცირებში] კონტრაქტის ფასს. აღნიშნული თანხა გადახდილი იქნება იმ ვალუტებში და იმ პროპორციული თანაფარდობით, როგორც კონტრაქტის ფასი. გადახდა განხორციელდება თქვენი პირველივე წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე, რომელსაც თან უნდა ახლდეს წერილობითი განცხადება, ან თვითონ ამ მოთხოვნაში ან ცალკე ხელმოწერილ დოკუმენტში, რომელიც თან ერთვის მოთხოვნას, რომ განმცხადებელმა დაარღვია თავისი ვალდებულებები კონტრაქტის ფარგლებში. თქვენ არ მოგეთხოვებათ თქვენი მოთხოვნის, ან მასში მითითებული თანხის საჭიროების დამტკიცება, ან საფუძვლის დასაბუთება.

გარანტიის მოქმედების ვადა იწურება არა უგვიანეს [ჩაწერეთ დღე, თვე, წელი]<sup>2</sup>, და გადახდის შესახებ ნებისმიერი მოთხოვნა ჩვენ უნდა მივიღოთ ამ ოფისში აღნიშნული თარიღისათვის, ან მასზე ადრე. წინამდებარე გარანტია ექვემდებარება „ერთიანი რეგლამენტი მოთხოვნის გარანტიებისათვის“ დებულებებს, საერთაშორისო სავაჭრო პალატა, გამოცემა #758.

*[ბანკის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერები]*

ბანკმა უნდა ჩაწეროს კონტრაქტის განსაკუთრებულ პირობებში დაზუსტებული და დასახელებული თანხა (თანხები), კონტრაქტის ვალუტაში, ან თავისუფლად კონვერტირებად ვალუტაში, რაც მისაღები იქნება დამკვეთისათვის.

- 2 კონტრაქტის ზოგადი პირობების 13.4 პუნქტის შესაბამისად დადგენილი თარიღები, კონტრაქტის ზოგადი პირობების 11.2 პუნქტის მიხედვით კონტრაქტორზე დაკისრებული საგარანტიო ვალდებულებების გათვალისწინებით, დაცული უნდა იყოს ნაწილობრივი შესრულების გარანტიით. დამკვეთმა უნდა მიიღოს ცნობად, რომ ამ თარიღის გადაწევის და კონტრაქტის ვადის გახანგრძლივების შემთხვევაში დამკვეთმა უნდა მიიღოს ამ გარანტიის გახანგრძლივების ნებართვა ბანკისგან. ასეთი მოთხოვნა წერილობით უნდა იყოს შესრულებული და უნდა გაკეთდეს გარანტიაში მითითებული გარანტიის ვადის ამოწურვამდე. ამ გარანტიის მომზადების დროს დამკვეთმა შეიმღება ჩათვალის საჭიროდ, რომ ფორმას შემდეგი ტექსტი დაუმატოს, ბოლოსწინა პარაგრაფის ბოლოს: “ჩვენ თანახმა ვართ ამ გარანტიის ერთჯერად გახანგრძლივებაზე არაუმეტეს [ექვსი თვე] [ერთი წელი] პერიოდის განმავლობაში, ამ გახანგრძლივების შესახებ დამკვეთის წერილობითი მოთხოვნის საპასუხოდ, ასეთი მოთხოვნები უნდა წარმოგვიდგინოთ ჩვენ, გარანტიის ვადის ამოწურვამდე.”

## 5. საავანსო გადახდის გარანტია

[ბანკმა, ტენდერის წარმატებული მონაწილის თხოვნის საფუძველზე, უნდა შეავსოს წარმოდგენილი ფორმა, მითითებული ინსტრუქციების შესაბამისად]

თარიღი: [ჩასვით თარიღი (დღე, თვე და წელი)]

სატენდერო პროცესის #: [ჩაწერეთ სატენდერო პროცესის ნომერი და დასახელება]

[ბანკის ბლანკი]

**ბენეფიციარი** [ჩასვით დამკვეთის იურიდიული სახელწოდება და მისამართი]

**საავანსო გადახდის გარანტიის #:** [ჩასვით საავანსო გადახდის გარანტიის ნომერი]

- I. ჩვენ გვაცნობეს, რომ . . . . . [კონტრაქტორის სახელი] . . . . . (შემდგომში "კონტრაქტორი") თქვენთან გააფორმა კონტრაქტი № [ჩასვით კონტრაქტის ნომერი] დათარიღებული [ჩასვით თარიღი], [კონტრაქტის დასახელება და დანადგარის და შესაბამისი სამუშაოების მოკლე დახასიათება] მოსაწოდებლად - (შემდგომში "კონტრაქტი").
- II. ამასთან ერთად ჩვენთვის ცნობილია, რომ კონტრაქტის პირობების შესაბამისად უნდა განხორციელდეს საავანსო გადახდა . . . . . [ვალუტის დასახელება და თანხა ციფრებით<sup>1</sup>. . . . . ( . . . . . თანხა სიტყვიერად. . . . . )] საავანსო გადახდის გარანტიის საფუძველზე.
- III. კონტრაქტორის მოთხოვნის შესაბამისად, ჩვენ [ბანკის დასახელება] ვიღებთ უპირობო ვალდებულებას, რომ გადაგიხადოთ თქვენ ნებისმიერი თანხა, ან თანხები, რომელიც ჯამში არ აღემატება შემდეგ თანხას [ჩაწერეთ ვალუტა და თანხა ციფრებით\* (\_\_\_\_\_) [ჩასვით თანხა სიტყვიერად], მას შემდეგ, რაც ჩვენ მივიღებთ თქვენს სათანადო მოთხოვნას, წერილობით განაცხადთან ერთად, რომელშიც აღნიშნული იქნება, რომ კონტრაქტორმა დაარღვია კონტრაქტით მასზე დაკისრებული ვალდებულება, რადგან კონტრაქტორმა გამოიყენა საავანსო გადახდა სხვა მიზნებისათვის და არა კონტრაქტით გათვალისწინებული ვალდებულებების შესასრულებლად.

აღნიშნული წარმოადგენს მოცემული გარანტიის ფარგლებში განსახორციელებელი ნებისმიერი მოთხოვნის და გადახდის პირობას, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ აღნიშნული საავანსო გადახდა უნდა მიიღოს კონტრაქტორმა მისი ანგარიშის ნომერზე.... [კონტრაქტორის ანგარიშის ნომერი]...და .....[ბანკის დასახელება და მისამართი].

წინამდებარე გარანტია ექვემდებარება „ერთიანი რეგლამენტი მოთხოვნის გარანტიებისათვის“ დებულებებს, საერთაშორისო სავაჭრო პალატა, გამოცემა #758.

IV. . . . .

ბანკის ბეჭედი და ხელმოწერა(ები)



კურსივით (დახრილი) შრიფტით აკრეფილი ტექსტი გამოყენებული უნდა იქნას მხოლოდ ამ ფორმის მომზადებისას და ამოღებული უნდა იქნას საბოლოო ვარიანტიდან.

<sup>1</sup> გარანტორმა უნდა ჩაწეროს თანხა, რომელიც წარმოადგენს საავანსო გადახდის თანხას და რაც წარმოდგენილი უნდა იყოს კონტრაქტის მიხედვით საავანსო გადახდის ვალუტაში (ვალუტებში), ან თავისუფლად კონვერტირებად ვალუტაში, რაც მისაღები უნდა იყოს დამკვეთისათვის.